

აკადემიკოს
პაატა გუგუშვილის

დღიურები
და
მოგონებები

ჩემი პირველი და ბოლო
გაგონებები

330(47-922)

1092

5-

აკადემიკოს
პაატა გუგუშვილის
დღიურები
და
მოგონებები

F 110.626/3

თბილისი
2015



წიგნში პირველად იბეჭდება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის მოგონებები და დღიურების ნაწილი, რითაც საზოგადოების ფართო წრისათვის ცნობილი გახდება მისი შემკვიდრობის კიდევ ერთი მხარე.

დღიურებისა და მოგონებების PDF ორიგინალები იხ. :

<http://1drv.ms/1FfPokU>

<https://www.scribd.com/collections/14096314/PG-Diaries>

პაატა ბუგუშვილის საიტი:

<https://paatagugushvili.wordpress.com/>

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი:

<http://pgie.tsu.ge/>

<https://facebook.com/gugushvilis.institutu>

რედაქტორი

რამაზ ბბესაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წიგნი გამოსაცემად მომზადდა

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობაში

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი



ბაგეთგან წარმოთქმული სიტყვა გასწოლილ ტყვიაზე უარესია. ათასი გასწოლილი ტყვია მხოლოდ ათასი ტყვია, ხოლო ყოველი სიტყვა მთელი მოვლენაა. ადამიანის მოღვაწეობის, ბრძოლისა და მისწრაფების აზრია და ისტორია. ათასი ტყვია შეიძლება ასცდეს მიზანს, ხოლო არც ერთი სიტყვა არასოდეს არ ასცდენია მიზანს, რომელსაც ის თუ დღეს არა, თუ წელს არა, ოდესმე აუცილებლად მოხვდება.

ბანა საოცარი არაა, რომ ადამიანი ადამიანს უმტკიცებდეს — ლაპარაკი, შენი სიტყვები შენივე მტრები რომ არ გახდნენ, ამიტომ შენი თავისუფლება უნდა მოიპოვო მდუმარებაში იმით, რომ დაემსგავსო მუნჯს.

მს ცხოვრება წააც უფრო წითულია და ტანჯვითაა სავსე, მით უფრო ტკბილია.

შღირსი ადამიანის ქება, ესაა ყველაზე დიდი შეურაცხყოფის მიყენება მისთვის და იმ ხალხისა და ქვეყნისათვისაც, რომელსაც იგი განაგებს.

მე ვიყავი და ყოველთვის ვიქნები ამიერიდანაც უკომპრომისო და ამიტომ ბევრი მტერი შევიძინე, რომლებმაც დიდი ზიანი მომაყენეს.

დიდი ადამიანები მხოლოდ მოდიან და სამუდამოდ წაიხიან ადამიანთა შორის.

მე უფროსს სწყინს, რომ შენ თავს იმართლებ, რომ შეგიძლია დაამტკიცო შენი სიმართლე, მაშინ ის სჯობია პირადად შენთვის, რომ ბრალდება მიიღო... მაგრამ ღირს კია ასეთი მოწიწებით შენარჩუნებული სიცოცხლე? ვფიქრობ, რომ არა.

დიდი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის დაბადებიდან 110-ე საიუბილეო წლისთავზე მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი ხდება უნიკალური გამოცემა – მისი დღიურები და მოგონებები.

რა თქმა უნდა, ამ ტიპის პუბლიკაციისადმი ინტერესს, როგორც წესი, ამძაფრებს თავად მისი დამწერის პიროვნული თვისებები და მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა. აკადემიკოსი პაატა ბუგუშვილი კი სწორედ XX საუკუნის საქართველოს იმ დიდ მოღვაწეთა რიგს განეკუთვნება, რომლის ცხოვრება, დანახული მის მიერვე, გულგრილად არ დატოვებს მკითხველს.

ბუნებრივია, რომ დღიურები და მოგონებები შეიცავენ არაერთ ფრაგმენტს ბატონი პაატას პირადი ცხოვრებიდან, თუმცა საკმაოდ გამოკვეთილადაა წარმოდგენილი იმ ეპოქის სირთულეები და მომხიბვლელობაც კი, რომელშიც აკადემიკოსი ბუგუშვილი მოღვაწეობდა. ის განსაკუთრებით მდიდარი იყო უფროსი თუ მისივე თაობის მეგობრებით, რომლებმაც, ცალ-ცალკე აღებულია, თავისი დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა თუ მეცნიერების განვითარებაში.

ჩემთვის განსაკუთრებული ინტერესს წარმოადგენს ბატონი პაატას მოგონებების ის ნაწილები, რომლებიც ეძღვნება ობიექტის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის დამაარსებელს ივანე ჯავახიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნასა და განვითარებას. მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებენ დღიურების ის ნაწილები, რომლებშიც ასახულია ქართველ ეკონომისტთა შორის დაპირისპირება, ის არაჯანსაღი ვითარება, რასაც ხელს უწყობდა იმ დროს არსებული პოლიტიკური რეჟიმი. სამწუხაროა, იმის ნაცვლად, რომ კოლეგები გვერდში დადგომოდნენ ბატონ პაატას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების რთულ საქმეში, არაერთი მათგანი ღიად თუ ფარულად ებრძოდა მას, რაც,

საბოლოო ჯამში, ისევ ეკონომისტთა სახელსა და ავტორიტეტს აყენებდა ზიანს.

დღიურები და მოგონებები მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ რთულ გზას, რომელიც განვლო აკადემიკოსმა პაატა ბუგუშვილმა და, მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებებისა, მან ურყევი საფუძველი შექმნა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის. მის მიერ დაარსებული ინსტიტუტი, რომელიც თითქმის უკვე მეოთხედი საუკუნეა, მის სახელს ატარებს – პაატა ბუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი – წარმატებით აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას.

დღეს ეს ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია. სიმბოლურია, რომ პაატა ბუგუშვილის მიერ დაარსებული ინსტიტუტი მისი დიდი მასწავლებლის, ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის ნაწილია. დიდი მასწავლებლისა და მისი გამორჩეული მოწაფის მიერ შექმნილი უნივერსიტეტი და ინსტიტუტი ერთად აგრძელებენ საქმიანობას და დარწმუნებული ვარ, ეს დიდებული ტანდემი ყოველთვის წარმატებული იქნება.

ვლადიმერ (ლადო) პაპავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი

2015 წლის 28 სექტემბერს სრულდება მე-20 საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნის, მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავი.

აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და პმიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკური ბზრის ისტორიის პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. ბანსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული — „საქართველოსა და პმიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და პმიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა ბუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. პი ისინიც: „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“; „ქართული ჟურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, მკახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვ., რომელთაც ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოსმაურება და მაღალი შეფასება დამსახურა.

მრავალმხრივი და ფართო ბატონი პაატას პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის სფეროც. ბღნიშვნის ღირსია მისი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომელთა დადებითი შეფასებები ბატონი პაატა ბუგუშვილის ნაშრომების შესახებ კარგადაა ცნობილი.

აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის მემკვიდრეობიდან, გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, აღსანიშნავია მისი დღიურები და მოგონებები,

რომელიც ბეჭდური სახით პირველად გამოდის (ბატონი პაატას სახელის უკვდავსაყოფად გამოსული მასალებიდან აღნიშვნის ღირსი საქართველოს მეცნიერებათა პროვინული პკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას რედაქტორობით მაღალ დონეზე შესრულებული წიგნი – „პაატა ბუგუშვილი“ (თბ., „სიახლე“, 2006). იგი მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოვიდა, რომელიც შეადგინა ღ გამოსაცემად მოამზადა იზოლდა პააშიძემ). იგი ასახავს ბატონი პაატას მრავალმხრივი მოღვაწეობისა ღ გაცემების სხვადასხვა სფეროს: პირად ღ ოჯახის წევრთა ცხოვრებას, მის შეხედულებებს ეკონომიკურ საკითხებსა ღ საერთოდ მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, კინოზე, თეატრზე, გამოჩენილ ადამიანებზე, ლიტერატურაზე ღ სხვ.

ამ წიგნის მიზანია გადმოსცეს აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის მემკვიდრეობის ეს უცნობი მხარეები. თუმცა, ერთ წიგნში მისი მთელი ამ მემკვიდრეობის მოთავსება, საკმაოდ დიდი მოცულობის გამო, შეუძლებელია. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ მხარეებზე. სხვა მხარეები კი ცალკე დამუშავებას საჭიროებენ, რაც მომავლის საქმეა. თუმცა, დღიურებისა ღ მოგონებების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ისიც ვერ ასახავს აკადემიკოს პაატა ბუგუშვილის მოღვაწეობის ყველა ნიუანსს (რომელიც გაცილებით ფართე ღ შინაარსიანია), ალბათ, ეს მათ არც მოეზოვება.

ბატონი პაატას მიერ განვლილი გზა მეტად შინაარსიანი ღ, ამავე დროს, წინააღმდეგობებით აღსავსეა. მას ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა. უსამართლო ჭიდილში ზოგჯერ მარცხდებოდა კიდეც (ოღონდ, არა მეცნიერულ პაექრობაში), მაგრამ საბოლოო გამარჯვება მას ერგო, როგორც კეთილი საქმის მსახურს, დიდ მეცნიერს, პედაგოგსა ღ საზოგადო მოღვაწეს.

ბატონი პაატა წლების განმავლობაში იბრძოდა მთავრულის დასანერგავად ქართულ დამწერლობაში. ამიტომ, ეს წიგნი, მისი სახელის პატივსაცემად, მხედრული მთავრულის გამოყენებით იბეჭდება.

რამაზ პბესაძე

თსუ პაატა ბუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი,
პროფესორი

მეცნიერებაში „გლადიატორის“ დრამატული ცხოვრება მის დღიურებში



ახლა, როდესაც კომუნისტური სისტემის დაცემის შემდეგ ლამის სამი ათეული წელი გავიდა, ლიბერალური, დემოკრატიული სისტემა, ასე თუ ისე, რაღაც ზომით დამკვიდრდა საქართველოში. გამოჩნდა კომუნიზმის დიქტატურის ეპოქის პერიოდის შესახებ „თამამი“, იმ დროის მიმართ ფრიად კრიტიკული მოგონებები და მემუარები, მაგრამ გამოცემული დღიურები, რამდენადაც აქედან ვხედავ, პრაქტიკულად არ არსებობს. საერთოდ, წერდა კი ვინმე იმ ეპოქაში დღიურებს?

პაატა ბუგუშვილის დღიურები, დიდად განსხვავებით მემუარებისა და მოგონებებისგან, სულ სხვა არსის, კლასისა და ტიპის ნაწარმოებია:

- ჰერ ერთი, ახალგაზრდა მემუარებისა და მოგონებების ავტორებს აქვთ საშუალება, მათ მიერ ასახული „სიმართლე“ post factum მოარგონ დღევანდელი დღის შეხედულებებსა და იდეოლოგიებს, თანამედროვეობის კონვენტურას. მუნდაც, დაწერონ მტკნარი სიცრუე და სიყალბე — იმ სახით და ისე, როგორც მათ ამჟამად აწყობთ...
- მეორე, რაც უფრო არსებითია — მემუარებისა და მოგონებების ავტორებს სულაც არ ემუქრებათ საშიშროება, პასუხი აგონ თავის დაწერილზე კომუნისტური დიქტატურის მკაცრი, არაპუმანური წეს-კანონების შესაბამისად, რაც, შესაძლო იყო, „გპულტმ“-ში პოლიტიკური პატიმრობითა და დახვრეტითაც დასრულებულიყო! შარესიც, ისეთი დოკუმენტის შექმნა და მითუმეტეს ხელმოწერა (ხელნაწერი დღიურები ხომ თავისთავად ხელმოწერაა), რომელშიც თუნდაც უმცირესი რამ ეწინააღმდეგებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა დამწერის ოჯახისთვისაც და მასში ნახსენები პირებისთვისაც! დღევანდელი, „დემოკრატიული და თავისუფალი აზროვნების“ გარემოში ძალზე ძნელი მისახვედრიც კია, რამდენად განსხვავდება პაატა ბუგუშვილის დღიურებში ასახული, დოკუმენტირებული მისი აზროვნება და შეხედულებები იმდროინდელი ოფიციალური იდეოლოგიური დოქტრინისაგან.
- და, მესამეც — დღიურების დამწერი შეგნებულად მიდის იმ რისკზე, რომ იგი მომავალში ყოველთვის იქნება სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ გარემოში აღზრდილი და მცხოვრები, სრულიად განსხვავებულად მოაზროვნე

მომავალი თაობების განსჯისა და კრიტიკის ქარცეცხლის ფრონტზე, ამას კი, დამეთანხმებით, დიდი სიმამაცე და დღიურებში ასახული საკუთარი პოზიციების სიმართლეში — *ყოველ მომავალ დროში* — მტკიცე რწმენა სჭირდება.

პაატა ბუგუშვილის დღიურები (სულ 15 სქელტანიანი რვეული) მის ოჯახში, ბინაში იწერებოდა და ინახებოდა ათასობით ტომისაგან შემდგარი ბიბლიოთეკის თაროებზე. მათ არსებობას ყურადღება მივაქციე მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დავკაცდი, ანუ სადღაც 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ცოლის შერთვა დავაპირე და მამამ წამაკითხა დედაჩემისადმი მიძღვნილი თავისი სასიყვარულო ლექსები. შემდგომ, გადავავალე რე დღიურები და შემოფოთებულმა ვკითხე პაატას — კი, მაგრამ, ისედაც ასე მკაცრად გდევნიან და არ გეშინია, ეს ნაწერები შენი პოლიტიკური რეპრესირებისთვის რომ გამოიყენონ-მეთქი? მიპასუხა: „*როგორ არ მეშინია, მაგრამ კალამი მაიძულებს ვწერო*“...

ბი პაატას სიტყვები მისი დღიურების შესახებ:

- ყველაზე მისანდობი ადამიანისათვის მაინც დღიურებია, ოღონდ ერთი საშიშროებაა... სხვამ არ ჩაიგდოს ხელში;
- ყველაზე დიდი მესაიდუმლე ისევ დღიურებია... (ოღონდ ვინ უწყის, რა ბედი ელის თვითონ დღიურებს;
- ყველაზე ერთგული მაინც დღიურებია... (ოღონდ ვინ იცის, ბრმა და უხეშ ძალას შეუძლია, ისინიც შენს წინააღმდეგ გამოიყენოს;
- ყველაზე მტკიცე მაინც დღიურებია, ვის ხელშიც და როგორ ვითარებაშიც არ მოხვდეს, ის თვითონ თავის აზრებს არ იცვლის;
- ყველაზე მარადიულიც დღიურებია, ის როგორც ყოველი დაწერილი, შეიძლება დიდხანს, ძლიერ დიდხანს ინახებოდეს და იცავდეს შენს აზრებს, შენს განცდებს, შენს წადილსა და მისწრაფებას და, ამდენადვე, შენს ინდივიდუალობას.

28. 12. 76; დღიურების რვეული 11

რამდენადაც ეს წიგნი, მოცულობითი შეზღუდვის გამო, ასახავს პ. ბუგუშვილის დღიურების მხოლოდ უმცირეს ნაწილს და, ამდენად, ვერ იქნება რეპრეზენტატიული პაატას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრამის სრული წარმოდგენისთვის, მე, მოკრძალებით, იუბილეებისთვის ფრიად არა ტიპობრივ ასპექტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას — პაატა ბუგუშვილის პირად და ოჯახურ დრამაზე, რაც ასე დამახასიათებელია სრულიად საქართველოსთვის...

პაატას მამა, ბესარიონი, ადრე დაქვრივდა. ხელთ დარჩა მცირეწლოვანი ოთხი შვილი — ათი წლის პაატა და პაატას უმცროსი სამი და.

პაატა ისე გაიზარდა, რომ, არსებითად, დედის ალერსი და დედის სახეც კი ძალზე ბუნდოვნად ახსოვდა (დედის ფოტოსურათიც კი არ გააჩნდა) და ამას ყოველთვის მწარედ განიცდიდა.

პაატა 31 წლისა დაქორწინდა დიდი და მხურვალე სიყვარულით (დღიურებში მრავლადაა მისი სატრფოს, პირველი ცოლის — თამარ მოლდისადმი მიძღვნილი სატრფიალო ლექსები და წერილები) და ქორწინებიდან ორიოდ წელიწადში დაედუბა საყვარელი მეუღლე და ჩვილი ვაჟი, ბიორგი (ამის გამო, თუმცა მე ბიორგობას დავიბადე, ბიორგი არ დამარქვა). მოგვიყვა, — მხოლოდ მეცნიერული შემოქმედების უსაზღვრო სიყვარულმა მიხსნა თვითმკვლელობისგან და ძალა მომცა, შემექმნა ახალ სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახიო.... სიბერეშიც კი, ავადმყოფობის დროს, როდესაც სიცხე უწევდა და ბოდვას იწყებდა, ზოგჯერ ბიორგისა და თამარს უხმობდა...

ბამუდმებულ დევნა-შევიწროებას განიცდიდა მეცნიერებისა და სახელმწიფო-პარტიული ელიტების ურთიერგადაჭველი ნეპოტიზტური, კლანური და, რაც ყველაზე არსებითია, ანტიეროვნული სტრუქტურის მხრივ, რაც მხილების წითელ ძაფად დაჰყვება მის დღიურებს — ვერასდროს ვერ „ერგებოდა“ მეცნიერებისა და ადმინისტრაციების მედროვეობაზე დაფუძნებულ გარემოს. ოცუილად კი არ უძახდნენ ნახევარხუმრობით პაატა ბუგუშვილს შეთამამებული მეგობრები, მისი მეცნიერული ბრძოლისუნარიანობისა და სიმამაცისთვის, „ზღადიატორს“...

მაგალითად, როდესაც თბილისის შნივერსიტეტში დიდი ივანე ჯავახიშვილის სამარცხვინო საჯარო განქიქება მოეწყო პროლეტარული სულისკვეთებით განმსჭვალული პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტობით გაჭედვით სააქტო დარბაზში (რის შემდეგაც მას რექტორობა დაატოვებინეს), შნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთაგან არსებითად მხოლოდ პაატა ბუგუშვილი იყო, ვინც არ იკადრა ამ მარაგში მონაწილეობა და დიდი ივანეს წინააღმდეგ გამოსვლა. ივ. ჯავახიშვილის აზრი პაატა ბუგუშვილის ამ მამაც საქციელზე გარკვეულწილად აირეკლა პაატას სადოქტორო დისერტაციის ივანესეულ ოფიციალურ რეცენზიაში, რაც, თავისთავად, ფრიად იშვიათი, არსებითად გამონაკლისი რამ იყო, მით უფრო, ეკონომისტის დისერტაციის მიმართ.

პაატა ბუგუშვილმა, პირველმა, ჯერ კიდევ 1973 წელს, გაბედა ქართული საზოგადოების ეროვნულად განწყობილი ნაწილის ყურადღება გაემახვილებინა ქართველობის დაწყებულ დემოგრაფიულ დეგრადაციასა და მოსალოდნელ დემოგრაფიულ პატასტროფაზე — მეცნიერული ნაშრომისთვის არნახული ტირაჟით (20 ათასი) გამოცემულ ძალზე პოპულარულ წიგნში „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების სა-

კითხები“, თუმცა, კომუნისტური იდეოლოგია, კომუნისტური დოქტრინა/სოციალიზმისას მხოლოდ ერთა გამუდმებულ, აღმავალ განვითარებას ალიარებად ზეწევდა პროპაგანდას.

ფუნდამენტური კომუნისტური დოქტრინის ამ უგულველყოფასა და მხილებას (მით უმეტეს, კაპიტალური წიგნით ფართო პოპულარიზებას) მაშინათვე მოჰყვა პაატას მორიგი გაძლიერებული დევნა-შევიწროება — საქ. კპ XXV ყრილობაზე (1976 წლის 22-24 იანვარი) ცპ პირველი მდივნის შევარდნაძის საპროგრამო გამოსვლის თითქმის მეოთხედი პაატა ბუგუშვილისა და ეკონომიკის ინსტიტუტის მკაცრ „კრიტიკას“ დაეთმო, არსებითად, ცილისწამებას, რასაც მცირე ხანში შესაბამისი რეპრესიებიც მოჰყვა. ოვეების განმავლობაში, კვირა არ გავიდოდა, რომ ცენტრალურ გაზეთებში პაატა ბუგუშვილის მიმართ ცილისმწამებლური, დამამცირებელი, განმქიქებელი სტატია არ გამოქვეყნებულიყო. ეკონომიკის ინსტიტუტში ჯერ ხანძარი მოაწყვეს (რომლის დროს კინალამ დაიღუპა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკა) და შემდეგი კვირების განმავლობაში „ჩაჯდა“ პროკურატურა და სხვა სარევიზიო ორგანოები — რაიმე დარღვევის უშედეგო ძებნით დასაქმებული...

კოლეგების უმეტესობა ცდილობდა, უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მისულ პაატას საჯაროდ არც გაჰკარებოდა — ემალებოდნენ, უფროსოდნენ, ზურგს აქცევდნენ (ბევრჯერ შევესწარი ამას, რადგანაც უნივერსიტეტში მამა ავტომობილით მე მიმყავ-მომყავდა და ხშირად აუდიტორიამდე ვაცილებდი). მხოლოდ ერთეულები, გულადები შემორჩენ გვერდზე და მათში უპირველესი აკად. ვასილ ჩანტლაძე იყო.

წლების განმავლობაში მრავალი, გამუდმებული მიმართვის მიუხედავად, ვერც ერთი ცენტრალური გაზეთი ვერ ბედავდა პაატა ბუგუშვილის რაიმე სტატიის დაბეჭდვას, არათუ ისეთს, რომელშიც ცილისწამების წინააღმდეგ გამოსვლა იყო, არამედ, თუნდაც, განცხადებულ რაიმე თემაზე...

პაატა ბუგუშვილი ერთადერთი მეცნიერი იყო, რომელმაც, მის მიმართ მიმდინარე რეპრესიების მიუხედავად, ღიად გაილაშქრა კრემლის მიერ დაგეგმილი საქართველოს დამლუპველი რეჟიმის ბეზრების მშენებლობის წინააღმდეგ — მისი დღიურები ამის უეჭველი მოწმეა!

ღღეს ვისლა ახსოვს ან ვისლა სჭირდება ამის ცოდნა, მაგრამ:

მამაჩემის მიმართ რეპრესიების განსაკუთრებული გამწვავების პერიოდში, ჩემმა დირექტორმა (ბაკადემიის ინფორმაციის ცენტრი, სადაც განყოფილების გამგე ვიყავი) და პაატას მეგობარმა პროფ. ილია მირცხულავამ ეზოში „სასეირნოდ“ საგანგებოდ გამიყვანა (ეშინოდა, რომ მის კაბინეტში მისაყურადებელი მოწყობილობები იდგა) და საიდუმლოდ, ჩურჩულით დამმოძღვრა: «მამაშენს ალბათ მალე დაიჭე-

რენ, მაგრამ შენ ნუ გეშინია, ოჯახს რეპრესიები არ შეეხება... „ზემოთ“ გავარკვით (ცპ ძლიერ მდივანს, შევარდნაძის ოპონენტს ვიქტორია სირაძეს, თავის მეგობარს გულისხმობდა, რომელიც სულ მალე შევარდნაძემ დაამარცხა), არც შენ დაგითხოვენ სამსახურიდან ზე შეიძლება დაგაწინაურონ კიდევცო (მართლაც, ვ. სირაძემ რამდენიმე დღეში დამიბარა ზე ცპ მეცნიერების ბანყოფილების გამგის მოადგილეობა შემოთავაზა)... თან, ახლა, ძალიან მკაცრად არავის სჯიან, ორ-სამ წელიწადში ალბათ რეაბილიტაციას მიიღებს პაატაო»...

ჩემი ძმა, ბუღალათი კი, სამი შვილის მამა, რომელიც ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა (მამაჩემის მეგობრის, შევარდნაძის ძლიერი ზე გავლენიანი ოპონენტის, მინისტრის ფარნა პნანიაშვილის ხელქვეითი), ფ. პნანიაშვილის დაპატიმრებისთანავე დაითხოვეს სამსახურიდან „შავი ბილეთით“, ისე, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსად იღებდნენ სამუშაოზე...

წლეულს, პაატა ბუგუშვილის სიკვდილიდან ლამის 30 წლის შემდეგ, ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა აღნიშნავს მისი დაბადებიდან 110 წლისთავს, მის მორიგ იუბილეს. პ. ბუგუშვილის ოჯახის წევრები დიდად მადლობელი ვართ ჩვენი ოჯახის პატრიარქის არდავიწყებისა ზე მისი ღვაწლის დაფასებისთვის.

ბმ წიგნის გამოცემის თაოსნობისთვის მადლიერებით მინდა ვახსენო ბატონები — ვლადიმერ პაპავა და რამაზ ბბესაძე; აგრეთვე, პ. ბუგუშვილის ყველა ის კოლეგა, თანამშრომელი და მოწაფე, რომლებიც დავიწყებას არ აძლევენ მამაჩემის ხსოვნას და რომელთა სულიერ მხარდაჭერას სისტემატურად ვგრძნობ.

ჩემი „ვლადიატორის“ სიყვარულით
ბესარიონ პ. ბუგუშვილი
ფინეთი, პანტაა

პროფ. ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.



უნივერსიტეტის დასრულება, 1926 წ. პ. ბუგუშვილი ნეკს შუაში, მის
მარცხნივ პ. ჩანტლაძე; სხედან ივ. ჯავახიშვილი და ფ. ბოგიჩაიშვილი

მეცნიერების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხილულ მოვლენათა ზედაპირზე გამოჩენილი მოძრაობა შინაგან ნამდვილ მოძრაობაზე დაიყვანოს

პ. მარქსი, კაპიტალი, ტ 3, ნაწილი 1, 1932, ტფ., გვ. 271

11.01.33

დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტიდან მისწერენ გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, რომ უკანასკნელმა გამოსცეს ჩემი ორი წიგნი:

1) „მეურნეობის ისტორია“. ეს იქნება მეორე შევსებული შესწორებული გამოცემა.

2) „ტექნიკის მარქსისტული ისტორია“, რომელიც წარმოადგენს პირობით 5-6 განაკვეთს და ამ სახით დამატებას ჩემი წიგნისა „ტექნიკის მარქსისტული ისტორიის შესახებ“.

ბმ უკანასკნელზე ვმუშაობ ახლა მთელი დღეები. ეს კომპილაციური შრომაა, ის დაახლოებით 5-6 ფორმა იქნება. რაც შეეხება პირველს, ის იქნება დაახლოებით 15-17 სასტამბო ფორმა.

ზვალ დავდებ ხელშეკრულებას გამომცემლობასთან. მფიქრობ, რომ ფორმაში 300 მანეთამდე უნდა მომცენ. თუ ეს საქმე ივლისის გასვლამდე მოვათავებ და მას შემდეგ ზაფხულის დასვენებაც შევძელი, ჯანმრთელობის აღდგენაც ძლიერ კარგი საქმე იქნება.

ბმ რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო გამომცემლობასთან უკვე დავდე ხელშეკრულება ჩემი ნაშრომის – „მარქსიზმ-ლენინიზმის მემკვიდრეობა ფორმაციებზე“ ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ. ფორმაში 250 მანეთზე მეტი ბ.მიგინეიშვილმა არაფრით არ ქნა: ცეკპში მისი საქმის შეწყვეტა რომ შემძლოს, ისეთი კაცი ვიყო, 500 მანეთსაც

იოლად მომცემდა, მაგრამ სახელგამმა ჩვენს ხარჯზე უნდა გაასწოროს ის ზარალი, რომელსაც ასეთი ხალხი იძლევა მაინც არაუშავს. ეს შრომა 8-9 ფორმამდე იქნება. მისი რეცენზია წარმოდგენილ იქნა ჯერ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტიდან, იმათგან ის გადაცემული ქონდა პროფესორ ზაჭაპურიძესა და დოცენტ ყალიჩავას, ხოლო ამის შემდეგ საჭიროდ დაინახეს, ის კიდევ გადასცემოდა სარეცენზიოდ პროფ. იგ. ვაშაყმაძეს (ბანათლების სახალხო კომისრის მოადგილეს). უკანასკნელი დღეს შემპირდა, რომ ზეგისთვის მზად ექნება რეცენზია და დამიბრუნებს. მნახოთ, თუ სიტყვა შეასრულა. მართი სიტყვით, მე ვფიქრობ, რომ ეს წიგნი თებერვლის ბოლომდე მაინც სტამბაში უნდა წავიდეს.


ქრესტომათიის მეორე ტომის პირველი წიგნის ბეჭდვის საქმე ისევ და ისევ აირია. მთხი თვება, რაც სტამბაში იყო. ბხლა სახელგამს ისევ უკან გამოუთხოვია. იქ კიდევ ერთ-ხანს ჯიჯგნეს და ატრიალეს წარამარა. შალვა მდილავაძემ (დირექტორის მოადგილე) მოინდომა მისი შემცირება. მისი აზრით, ის დიდია, მაგრამ არ გავაყვანინე თავისი. ბხლა ისევ სასწავლო სექტორს გადაეცა, მაგრამ უკანასკნელი სასწავლო სექტორს მაინც არ აძლევს. ჯერ ცმპბდან უნდა მივიღოთ ნებართვა მისი დაბეჭდვის, რადგან ქალაქის ეკონომიისა გამო, ყველა წიგნის ბეჭდვის ნებართვას იქიდან ვიღებთ. რა იქნება, არ ვიცი. მე კი უკვე 3500 მანეთი ჰონორარი მიმიღია თურმე იმ წიგნის ანგარიშიდან, ხოლო პირველი ტომის მეორე წიგნი კი ჯერ მზად არ მაქვს. ბეგმაც კი არ შემიდგენია, რაც, ცხადია, ისევ მათი ბრალია, მუშაობის სტიმული დამიკარგეს, ისე აჯანჯლებენ საქმეს. ბგერ თითქმის ერთი წელია, რაც ის წიგნი დასაბეჭდად გამზადებული ჩავაბარე და ჯერ კიდევ 10 ასოც არ აუწყვიათ.

ბსე რომ, მიმდინარე წელს 4 წიგნი უნდა დაბეჭდოდ. თუ ქრესტომათიის უკანასკნელი ტომიც მოვასწარი, მაშინ 5 წიგნი იქნება. ეს საქმე თუ კარგად დაბოლოვდა, შედეგად და შედეგად თუ ერთი მაგრამ არ დამცხეს, ხომ კარგი! ყოველ შემთხვევაში, ამის შემდეგ მე ვაპირებ ერთხანს ხელი ავიღო

წერისაგან ზე ვიმუშავო თავის თავზე, კარგად შევისწავლო
უცხო ენები. ჩემი ასაკისთვის, რაც დავწერე, ისიც საკმა-
რისზე უფრო მეტია. ყოველივე ამის შემდეგ მე რაიმე ღირე-
ბული შრომა უნდა დავწერო, რომელმაც ქართულ ისტო-
რიულ ლიტერატურაში ეპოქა უნდა შექმნას, თუმცა თამამად
შემიძლია ვთქვა, რომ ინსტიტუტში ისტორიის, როგორც
მეცნიერების, სწავლება პირველმა მე დავიწყე. ბმას უკვე
დღეს ხვდება თითქმის ყველა, განსაკუთრებით, მონინავე
სტუდენტები, რომლებიც, როგორც ირგვევა, ჩვენ ისტო-
რიკოსებზე მაღლა მაყენებენ.

13.01.33

მე ზე თამარა ბ-ბი მანჯანიშვილის ტეტრში მივდივართ.
ვინ იცის ზე იქნებ მე მას დავუმეგობრდე. თუმცა ის ძლიერ
მეტიჩარა ვინმეა ზე გვარიანი მეშინიც, მაგრამ ამავე დროს
ძლიერ კარგი ზე მეტად კულტურული, იცის ევროპული ენები
ზე აგრეთვე თავის თავის ფასიც. წრეულს ათავებს უნივერსი-
ტეტს. ბმას წინათ მელაპარაკებოდა, რომ ისტორია მიყ-
ვარსო. იქნებ მოწაფედ გავიხადო ისტორიაში. რაც შეეხება
მარი ფ-შვილს, ამ ქალს აშკარად ვუყვარვარ. ყველგან,
სადაც ვხვდები, სულ ჩემი წიგნები დააქვს ხელით ზე თანაც
მიჩვენებს, თქვენს წიგნებს ვსწავლობო. ქ-თ მ-ჩი მეტად
სანდომიანია, ცდილობს ჩემთან ჭკვიანი ქალის როლში
ითამაშოს, ფილოსოფოსობს. მითხრა, რომ აინტერესებს
ჩემი ნახვა, ოთახში როცა ვზივარ ზე ვმუშაობ. მაგრამ მე
ყველაზე უფრო მაინტერესებს, რას მოიტანს 13/I - საღამო,
თამარასთან რომ უნდა გავატარო. დღეს ტელეფონით
ვურეკავდი ზე მის მაგიერ ვიღაც სხვა მელაპარაკებოდა, რომ
ის სახლში არ არის, ხოლო შემდეგ იმავე ხმამ მითხრა, რომ
თამარა გთხოვთ თქვენ, სახლში გამოუწეროთ. მე დღეს
ღია ბარათი გავუგზავნე იმის შესახებ, რომ ბილეთი
მას ტელეფონით ვერ დავურეკე ზე რომ 13/I - ში
ის ნახევარზე გავუვლი.





პ. ბუგუშვილი, 1926 წ.

14.01.33

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომასთან“ დღეს დავდე ხელშეკრულება „ტექნიკის მარქსისტული ისტორიის“ (განაკვეთი 3-5) გამოცემის შესახებ. შალვა ბუხაიძე მწყალობს, ფონმაში 300 მანეთი მომცა. ზვალ პირველ ავანსს მივიღებ. დღეიდან მთელი დღეები ამ შრომაზე ვიმუშავებ. ის ძირითადად უკვე მოთავებულია. ამ თვის ბოლოსთვის უკვე საბოლოო რედაქციას მოვასწრებ ალბათ.

ბუშინ სალამოს მარჯანიშვილის თეატრში ვუყურე წარმოდგენას „მზის დაბნელება საქართველოში“. ის პირველად დაიდგა ტფილისში 1853 წელს. პარგი იყო ინტერმედია „ძველი და ახალი ტფილისი“. მას მსახიობი ბოძიაშვილი ასრულებდა. ეს უდავოდ უნარიანი კაცია. ჩემთან უნდა ყოფილიყო თ. ბ-ბი, მაგრამ იმის გამო, რომ მე მას დროზე ვერ შევატყობინე, ის თავის დობილთან წასულიყო საავად-

მყოფოში. პიდევე ერთხელ შევეცდები მასთან ჩათუატრებას.
01 იყო მ-რი შზ-ძე, ის კარგი ტუგრუნტელაა. 01უ მომიხვდა.
სადმე, ერთი უნდა გავათამაშო.

22.01.33

პროფ. ივ. პაშაყმაძემ დასწერა სახელგამისათვის ჩემი წიგნის წეცნზია:

„ბმზ. მუგუშვილის ნაშრომი „მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ“ აუცილებლად საინტერესო ნაშრომია ზ ღირსია ის საჩქაროდ გამოცემის. ბვტორი იცნობს ყველა საჭირო ლიტერატურას ამ საკითხზე ზ სარგებლობს მით. დიდძალი ციტატებია მოყვანილი მარქსიზმის კლასიკოსებიდან, რომელიც ნაშრომს, ნახევრად ქრესტომატიულ სახეს აძლევს,... მრავალი საკითხი ორთოდოქსალურ მარქსისტულად არის გაშუქებული, მაგრამ ზოგიერთ ძირითად საკითხებში, ჩემის აზრით, ავტორი მოიკოჭლებს: პირველი საკითხი — ეს არის პრობლემა საწანმლო ძალებისა ზ საწანმლო ურთიერთობების. რა არის მამოდრავებელი საზოგადოებისა? კითხულობს ავტორი ზ პასუხობს: საწანმლო ძალები. მაგრამ, რა ამოდრავებს საწანმლო ძალებს? — ამაზე პასუხს ის ვერ სცემს. ის ყურადღების გარეშე სტოგებს საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკაში საწანმლო ძალებსა ზ საწანმლო ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობას, რომელიც საზოგადოების ძირითად მამოდრავებელ ძალას წანმოადგენს. მართალია, ის ვრცლად აშუქებს კლასებსა ზ კლასთა შორის ბრძოლის როლს, მაგრამ ვერ აკავშირებს კლასების საკითხს ამ ძირითად წინააღმდეგობასთან, რომელზედაც ჩვენ მივუთითებთ. ბქ საჭიროა ავტორმა შეიტანოს შესწორებები, რაც, ჩემის აზრით, შეიძლება ძალზე იოლად, თუ ავტორი დაგვეთანხმება. 01უ ავტორი ამას არ იზამს, მას შეიძლება მიეწეროს მექანისტური, ანდა მენშევიკური თვალსაზრისი. მეორე საკითხი, ეს არის საკითხი აზიური წანმო-

ების წესის შესახებ. ბეტონი სამართლიანად აკრიტიკებს ბზიური წარმოების წესის მოძღვრებას, მაგრამ მის მიერ თითქმის გაიგივება ხდება პირველყოფილი კომუნიზმისა ბზიური წარმოების წესის. ბქ საჭიროა, ჩემის აზრით, შესწორება, ანდა უფრო გარკვეულად ბ საფუძვლიანად მისი გაშუქება. ჩემის აზრით, აქ ავტონი მიდის თითქმის პირველყოფილი კომუნიზმის უარყოფამდე, ანდა კიდევ თუ წვრილმანებზე გავჩერდებით, იგი ეთანხმება კ. ჰაუსცკის შეხედულებას პირველყოფილი კომუნიზმის მოხმარებით ხასიათზე, რაც, ვფიქრობ, არასწორია. ნაშრომში არის ბევრი წვრილმანი ხასიათის ფორმულირებები არასწორად, მაგრამ ძირითადადში საკითხები სწორად არის გაშუქებული. საჭიროა შრომის სახელწოდება შეიცვალოს ასე — „ნარკვევები საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე“. სასურველია, ავტორმა შეიტანოს აღნიშნული შესწორებები თავის ნაშრომში. ისე, ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ყოველივე ამისა, შრომა დაუყოვნებლივ უნდა დაიბეჭდოს, როგორც სახელმძღვანელო“.

19.01.33 წ. *0. ჰამეცადე*

16.02.33

ბამიჭირეს საქმე სახელგამში. ორი წიგნი მაქვს გაცემული ბ ორივეს კანცელარიაში ამჟავებენ. ჟრესტომათიის იმედი მაინც არ არის დაკარგული, მაგრამ ყველაზე უფრო ნარკვევები (ფორმაციებზე) მაფიქრებს. სასწავლო სექტორს უნდა დაებეჭდა, აქედან შალვა ოდილავაძემ (გამგის მოადგილე) გაიხსენა დადგინელება, რომ ისტორიის, ფილოსოფიისა ბ ეკონომიკის წიგნები, გარდა საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებისა, პარტსექტორში უნდა იბეჭდებოდეს. პარტსექტორის გამგე ვინმე მიქაძე ყოფილა, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩემი სიფათი იმთავითვე არ მოეწონა ბ პირდაპირ მითხრა, ეს წიგნი არ დაიბეჭდება, მაგრამ რისთვის, ამას ხომ განმარტება სჭირია — ბოლშევიკურ, პირ-

დაპირ სიტყვას ლაპარაკობს ეს ვიღაც რეგვენი. მერე მითხნა, ქალაღი არ არისო, თითქოს მისი შეტანა საერთო გეგმაში არ შეიძლებოდეს. ბრა, ის ვიღაც აშკარად ლ. ისარლოვის ახალი შესწორებული გამოცემა უნდა იყოს. ისე მეტყევა, თითქოს ის ბატონი ზე მე ყმა თუ არა, ნაყმევი მაინც ვყო. ბი გიდი, რა დრო დადგა?!

თ. ბ-ბი თანდათან მიახლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გატყობს გარკვეულ პოლიტიკას, თავს იკავებს. მტყობა, ძალიან თავმოყვანება, მაგრამ ისიც ეტყობა, რომ ეს თავის დატყენა არც ისე ადვილად გამოუდის. ბმ დღეებში კიდევ ერთს შევუტევ იმ ანგარიშით, რომ აპრილის ბოლომდე ან ასე, ან ისე გავათავებ. ქ. რ-ძე მიახლოვდება. ბუშინ ს. ყ-მ მასზე ცუდი ჭონი მითხნა, თუ ეს მართალია, მას პირდაპირ მისვლა მოუხდება...

11 თებერვალს ვუყურე „ტირნანოს“, ძლიერ კარგი დადგმა იყო. თამარ ბმირეჯიბი მახლდა. მნთ ლოჟაში ვიჯექით. იმ საღამოს ეტყობოდა, უნდოდა მას, ძალიან უნდოდა, რომ სიყვანული ამეხსნა. მეც კინაღამ დავაპირე, მაგრამ სულ სხვა რამეზე მომიხდა ლაპარაკის დაწყება. ჯობდა, მომხდარიყო მოსახდენი. „ყაჩაღებმა“ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ნაკლებ დროშიაც შეიძლებოდა ასეთივე ეფექტის მიცემა, ზოგიერთი ადგილების შეკვეცით. ღამის 3 საათზე გათავდა. სცენა უკეთესი იყო, ვიდრე აქტიონები. ზონავა ვირტუოზულად თამაშობდა, მასაძე ფუტდება – მონოტონური ხდება.

01.03.33

სტალინი: «Великое значение колхозов в том именно состоит, что они представляют основную базу для переделки крестьянина, для переработки его фсихологии в духе пролетарского социализма» (იხ. «Большевик», 1933, № 1-2, стр. 24).

მაგრამ იქნება ბლესობამ, როგორც სახალხო მეურნეობის უდიდესმა მასამ, რომელსაც, სასოფლო მეურნეობის წარმოების თავისებურებისა გამო, აწასოდეს მიუღწევია მჭიდრო, ორგანიზებულ კლასად ჩამოყალიბებამდე, შესაძლებელია, სწორედ ესაა მიაღწიოს ამას ღ ამით შექმნას საშიშროება „პროლეტარული სოციალიზმისათვის“?

მეტად რთული პრობლემაა: სოფლის მეურნეობა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ძირითადად წარმოადგენდა წარმოების ისეთ დარგს, რომელიც, წარმოების ორგანიზაციის თავისებურებებისა გამო (რაც უმთავრესად წარმოების წვრილ-წვრილად დაქსაქსულობაში გამოიხატება), შეუძლებელს ხდიდა უშუალო მწარმოებელთა - გლეხობის მასიური კავშირის შექმნის შესაძლებლობას. წარმოების ორგანიზაციის ფორმა, რისგანაც გამომდინარეობდა გლეხობის შეუკავშირებლობა საერთო მიზნისათვის, მთელი ისტორიის მანძილზე გასდევდა გლეხთა მოძრაობების დამარცხებებს. „ბლესი“ - ამ სიტყვის გაგებით, დღეს ყველა ცოცხალ კლასებზე უფრო ძველია, ის, როგორც სოფლის მეურნეობაზე დამყარებული უშუალო მწარმოებელი ღ სხვადასხვა ვარიაციით, მეტნაკლები ზომით, მეპატრონე წარმოების საშუალებებისა (ნომინალურად კი ყოველთვის ასე იყო), წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილი ფორმაციის უკანასკნელ სტადიაზე. იმ დროიდან დღემდე არც ერთი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თითქმის არც ერთი სოციალური კლასი (თანამედროვე საზოგადოებაში, ანდა სამრეწველო კაპიტალიზმის დამყარების შემდეგ) არ მოღწეულა ღ არ არსებობს. მხოლოდ ბლესობა არის დღესაც ასე მძლავრად ჩვენშიც ღ განსაკუთრებით კი სხვა (ე.ი. ბურჟუაზიულ) ქვეყნებში. იქნებ ჩვენს ქვეყანაში კოლექტივიზაციის საფუძველზე, პირველად ისტორიაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღმოსავლეთურ დესპოტიებში გრანდიოზული საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის თავმოყრილ „ბლესობას“, რასაც ეპიზოდური ხასიათი ქონდა), მოხდეს გლეხების დიდი მასების გაერთიანება ერთი წარმოების ორგანიზაციაში,

კოლექტიურ-კოოპერატიულ შრომაში. ამ გარემოებას ვი მოჰყვეს გლეხობის ორგანიზირება როგორც კლასისა. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ვინ იტყვის, რომ ძლეხობა, როგორც თუნდაც დაჩაგრული, მაგრამ მაინც ორგანიზებული კლასი, არ დაუპირისპირდება „პროლეტარიატს“, რომლის ხელში იქნება ხელისუფლება და მთავარი საწარმოო ძალები?

„პროლეტარიატი“ ხომ მაშინ დაკარგავს იმ შინაარსს, ამ სიტყვას მარქსის ხელში რომ ჰქონდა?

ისტორიის განვითარების თვალსაზრისზე შემდგარ ადამიანს დღეს შეუძლია ასეთი დასკვნა გააკეთოს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ამასვე ხომ არ შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ ჩვენში დღეს, როდესაც მთლიანი კოლექტივიზაცია ტარდება, ასე დაბალია ტექნიკის განვითარების საერთო დონე და შესაბამისად დაბალია ხალხის, გლეხობის, პროლეტარიატის უდიდესი მასის შეგნება, ცოდნა, გამოცდილება, პულტურა და, მათგან გამომდინარე, მისწრაფება სოციალისტური იდეისადმი?! ვინ იცის?! ან იქნებ ყოველი ეს დაბრკოლება დაძლიოს პროლეტარიატის ავანგარდმა პომუნიტურმა პარტიამ და მისი დღევანდელი რკინისებური დისციპლინით გადალახოს მთელი ის დაბრკოლებანი, რაც საერთო სირთულით ჩვენი დაბალი, მეტად დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარეობს და მთელ რიგ სიძნელეთა შედეგად, რომლის მსგავსი მრავალი ყოფილა გადალახული, დაამყაროს ნამდვილი პომუნიზმი?! იქნებ ასეც მოხდეს...

« . » »

ჩემ წინაშე ერთი რთული პრობლემაა, აგერ მესამე წელია, ის მინდა გადავჭრა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ამ წლის გასვლამდე ან უნდა მოხდეს, ანდა შემდეგ არასოდეს არ მოხდება — ეს ისაა, რომ მე ცოლი უნდა შევიწოთ — მომდევნო წლის განმავლობაში. სამს მივცემ წინადადებას. ამ სამიდან ერთი თუ მაინც არ მოხდა, მერე ამ საქმეზე საერთოდ ხელს ავიღებ და ბრმა შემთხვევას მივუტოვებ მასზე ზრუნვას.

პირველი სამიდან ერთი უკვე გათავდა. ორმე ნუ იკითხავთ, მას ვუყვარდი, მაგრამ წადგან თითქმის სამი თვე ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით ზე წინადადება არ მივეცი, ის უკვე სხვაზე თხოვდება. ბუშინწინ შემატყობინა ეს ამბავი, წადგან, როგორც ჩანს, შენგან ხეირი არ გამოვიდაო. ეს იყო ო. ბ-ი.

30.04.33

დღეები, დღეები, როგორ გარბიან, როგორ მიდიან ზე მტოვებენ მე. ოუმცა იქნებ ჯერ კიდევ არ მისწრებენ წინ, მაგრამ ვატყობ, საცაა, უკვე ჩამოვრჩები. მე ამაღამ თუ ბილეთი ამიღეს, ვაპირებ დასავლეთ საქართველოში წასვლას. ეს ჩემთვის ამ მდგომარეობაში ძალიან კარგი იქნება, ასე ვფიქრობ მე. ბმ დღიურის უკანასკნელი გვერდებიდან გაკეთებულია პარკი, რომელშიც ინახება ჩემი კიდევ ერთი რომანის დოკუმენტები, რომელიც საბოლოოდ გუშინწინ დამთავრდა. მივიღე შედეგი — ჩემთვის მეტად არასასიამოვნო ზე დიდად საზიანო. ეს მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ მე სითამამე მაკლდა, თავის დროზე ვერ ვსთქვი სათქმელი, ადრევე არ მივიღე სათანადო ზე გადამჭრელი ზომები — ყოველივე ეს კი, როგორც ირკვევა, მთლიანად ზე სავსებით ჩემზე ყოფილა დამოკიდებული, მაგრამ ყოველივე ამაში მე ხელს მიშლიდა მატერიალური პირობები. ბრ მქონდა ზე არცა მაქვს ბინა, რა უნდა მექნა, სად წამეყვანა. 26 მეტრიან ფართობში სამი სული ვცხოვრობთ, კიდევ მეოთხის მიმატება, ეს ხომ პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა. ერთი ახალი რომანი შეიძლება დაიწყოს, ეს იქნება ქ. კ-ლი. ის ერთ დროს მომწონდა, მაგრამ ახლა შეიძლება მას მეტად გულგრილად ვუყვარდე ზე არ ვიცი, რიდან რა გამოვა.

უკვე დაიწყეს ჩემი წიგნის „ტექნიკის მარქსისტული ისტორიის“ (კაპიტალისტური ეპოქის ტექნიკა) — აწყობა. მას კორექტორად ო. ბ-ი ყავს დანიშნული, თუ მან აწი იმუშავა.

20.01.34

ოსე გავიდა 1933 წელი, რომ მან ბევრი საგულისხმო რამ დამიტოვა, თუმცა მას ჩემს დღიურში მცირედი ადგილი ერგო. „სიყვარულის“ ფრონტზე სრული დამარცხება, რადგან არ ყოფილვარ ამ საკითხში მომზადებული...

სამეცნიერო და პედაგოგიური ფრონტი მდიდარი იყო თავ-გადასავლებით. ორი წიგნი გამოვეცი. ოცემა დიდი ხმაური გამოიწვია, განსაკუთრებით „ეკონომიკური ფორმაციების“ გამოსვლამ...

1934 წლის 7 აგვისტოს დილით პონსტანტინე გამსახურდია, ბიორგი ბამყრელიძე და მე ტფილისიდან ბ. მგალობლიშვილის ავტოთი გავდივართ ზევსურეთისაკენ. ზევსურეთში წასვლის იდეა ჩვენში მწიფდებოდა თითქმის ერთი წელიწადია და განემოებათა განვითარებამ აღნიშნული დრო ყველაზე ხელსაყრელი სახით ახლა წარმოადგინა.

პირველი პუნქტი, სადაც ჩვენ დავისვენეთ, ე.ი. ვისადილეთ, იყო სოფელი ღუშეთსა და ტფილისს შორის სამხედრო ბაზაზე. ნაშუადღევს უკვე ღუშეთში ვიყავით, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება შეგვპირდა, რომ მეორე დღეს, დილით, ავტოს გვიმონიდა ბარისახოსკენ, ე.ი. პირაქეთა ზევსურეთში ჩასასვლელად, მაგრამ ეგ არ მოხერხდა. 8 აგვისტო ჩვენ გავატარეთ ღუშეთში. ღუშეთში ჩემზე ადამიანთა შორის აღსანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა ნესტორამ. ეს არის ოსი, დღეს ღუშეთის კოოპ. სასადილოს გამგე. ტკბილი სიტყვა, უფრო ტკბილი საჭმელ-სასმელი — აი მისი იარაღი და, მაშასადამე, არსებობის საშუალებაც. მეორე ადამიანი კი არის ბრიგოლა ბპრილოვი, სომეხი, სასტუმროს ყოფილი პატრონი, ამჟამად კი გამგე. ბოლშევიკებმა მითხრეს, რომ ჩვენებურად სახლის პატრონს კომენდანტი ქვიაო და მეც კომენდანტი გამხადესო. მეორე მივხვდი, რომ კომენდანტი დარაჯი ყოფილა და ე.ი., მეც დარაჯი

გაუხდევართო, ოხუნჯობდა მრიგოლა ჩვენთან საღამოს.
როცა გაიგო, რომ ზევსურეთში მივდიოდით, ძალიან
გაუკვირდა, თავს წად იწუხებო, ისინი ისეთი ველური ხალ-
ხია, თქვენ ნახვადაც არ ღირანო. მერედა მეტად საშიში
ადგილებია გასავლელი, ქურდობენ, კაცს კლავენო ზ სხვა.
საერთოდ, ჩვენი იქ წასვლა მას შეცდომად ზ თავზე ხელის
აღების მაგვარ მოვლენად მიაჩნდა. გვითხრა, თავი მოგძუ-
ლებიათ, დედის ძუძუს მოწყვეტილხართო. ბმან ბევრი გვა-
ცინა. ეს განსაკუთრებით მოეწონა პონიას. 9 აგვისტოს
დილაადრიან ერთი ცხენით გავდივართ დუშეთიდან. ცხენზე
ჩვენი ბარგია ზ პონია ზის. მია, მე ზ გამყოლი სანდრო
ფეხით მივდივართ, თან მიგვაცილებს ადგილობრივი, ე.ი.
დუშეთის რაიონის კომკავშირის პირველი მდივანიც. დღით
დუშეთიდან წავედით ყვავილში ზ დ. ჭონქაძის სახლი ზ
ხმალი ვნახეთ, შთაბეჭდილება წარსულის ზეპირ მოგონებებს
უდრიდა. ბმ დღეს მაღაროსკარში მივედით ზ იქ ადგილობ-
რივი ექიმის სახლში მიგვიღეს. დილას, 10 ბგვისტოს, ჩვენ
მაღაროსკარში შეგვვდით ხევსურეთის „მთავრობას“, ე.ი.
ჩვენი მთავრობის წმმუნებულს ხევსურეთში ბ. შვენიაშვილს.
მან ჩვენზე კულტურული კაცის შთაბეჭდილება დატოვა. ეს
სწავლობს თანამედროვე ზევსურეთს ზ როგორც გადმოგვცა,
წაღაცას წერს კიდევ ზევსურეთზე. მან მიგვინერა პირიქითა
ზევსურეთის, ესე იგი ბარისახოს აღმასკომთან, რომ ჩვენ
შესაფერი პატივისცემით მივედეთ. ბზაზე გავიარეთ ჩარ-
გალში, ეს პაჟა-ფშაველას სოფელია, ვნახეთ პაჟას სახლი.
მვარაუდობდით, რომ იქ დაგვხვდებოდა მისი შვილი
პახტანგი, მაგრამ ჩვენ ღარიბულ სახლ-კარში ერთი დაბ-
მული ძაღლის მეტი ცოცხალი არსება არა გვინახავს რა.

მწო სოფელში ვისადილეთ, ცხენი დავიქირავეთ, რომელ-
ზედაც მე ზ მია რიგრიგობით ვჯდებოდით, სანამ საღამო
ხანს ბარისახომდე (პირიქეთა ხევსურეთის ცენტრია) არ
მივედით. ბარისახოს არაუშავდა. ბქ არის ცალი თვალით ზ
ფეხით შემოსული კულტურა. ბქ ჩვენ კარგად მიგვიღეს. სამ-
კითხველოში დავბინავდით. მეორე დილას სურათები გადა-

ვილეთ. სოფელში შევიარეთ ზე დავათვალიერეთ ადგილობრივი ყოფაცხოვრება. მე აქ გავეცანი ადგილობრივი საოჯახო მრეწველობის თავისებურებებს, საფეიქრო მრეწველობის ინვენტარს.

ბეჭილი - ქსოვილი (იქ ჩანენილი განმარტებები - რედ.); *ტიბუჩი* - თითისტანი; *ჯალატარი* - ისარი; *ქიტი*, *ქიტურა* - კოვზი; *თხორი* - ძაფის მორგვი; *პურსაქცევი* - პურის გადსაბრუნებელი; *ჩიკა* - სამფეხი სკამი, ჯონკო; *ბუნი* - ხანჯლის ქარქაშის ბოლო; *თბე* - ფურცელი; *ატრათი* - ქაღალდი; *ქიმური* - ტყავის მოსაქნელი დაზგა; *ქიმურის ენა* - ამ დაზგაზე ტყავის მოსაქნელი დიდი ჯოხი, რომლის მოძრაობით ქიმურზე მოიქნება ტყავი; *ცულქარცა* - „კირკა“.

მეორე დილას ბარისახოდან ახალი ცხენებით სანდრო უკან გავისტუმრეთ, გამოვემართეთ პირიქითა ხევსურეთში. ბარისახოდან ჩვენი გამყოლი იყო ბარისახოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ჩაჩაური ლიქოკელი, რომელსაც მესისხლეები ყოლია შატილში ზე რომელიც ამიტომ მიდიოდა მხოლოდ ლებაისკარამდე, მაგრამ შემთხვევამ სწორედ ისე მოაწყო, რომ მისი მესისხლე მას აქ შეახვედრა ზე ჩვენ კინაღამ შევიქენით ამ პატრიარქალური სიბნელის მონათა საზარელი შეჯახების მოწმე, რომ არ მოგვეხერხებინა მათი ერთმანეთისაგან აცილება. ჩაჩაური აქედან უკან, ე.ი. ზახმატში დავაბრუნეთ, საიდანაც ის მერე მის სოფელში წასულა ზე მეტი აღარ შეგვხვედრია. ლებაისკარიდან ჩვენ გზაზე ერთი მაგარი წვიმის შემდეგ, რომელმაც წიგინად გაგვწუნა, მზის ჩასვლის ხანს შევედით ზახმატში. ზახმატში ცხოვრობენ ბლუდაურები. ბქ ძმების გაყოფა ხდება შინაურულად. თუ უთანხმოება დაიბადა, მაშინ ინვევენ სოფლის საპატიო პირებს. ჟალს ხშირად გათხოვებამდეც აქვს მიჩენილი მისთვის საკუთრება, რასაც თან წაიღებს ხოლმე, ხოლო ვაჟს გაყოფამდე საკუთრებად აქვს მხოლოდ საომარი იარაღი: ხმალი, სატევარი, ფარი ზე ტანისამოსი. ზშირად შრომის იარაღებიც.

თემა — წამდენიმე სოფლის თავმოყრა ხატში, სიტყვა საზოგადოება — არ იცინა, უცნობია. ყმები მხოლოდ ხატს ყავს; მონა — ფინთი (ხშირად საგანი).

მთელ პირიქითა ხევსურეთში ზე პირაქეთაშიდაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამჟამად რომ გაყავთ, იმ გზას, გარდა საცალფეხო ზე ცხენის გასავალი ხისფეებისა, რომლებიც გზას ამშვენებენ (რითაც მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაყავთ ცხენები), არ არსებობს, ე. ი. მთელი გზები წარმოადგენენ მხოლოდ ადამიანისა ზე ცხენის, თუ სხვა პირუტყვის, ფეხით გატეპნილ ზე გაჩანხულ ბილიკებს. ბქ გზები წარმოგვიდგება თავისი წამდვილი პირველყოფილი სახით. ყოველგვარი „ხელოვნური“ ზემოქმედება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის ჩვეულებრივ კლდე-ღრეებსა ზე ღრანტე-ხევებში ერთგვარი ზოლივით მიემართება მდინარისა თუ რუს გასწვრივ, მაგრამ ამ „ბუნებრივ“ გზებსაც ახასიათებს ერთი ჩვენთვის, ტრანსპორტის ისტორიისათვის, საინტერესო მომენტი, ესაა ლიგანა. ის წარმოადგენს კლდის ქვებისაგან გაკეთებულ ერთგვარ დაბალ ბოძს ზე არის გზის მაჩვენებელი ზამთარში, როდესაც ბილიკები თოვლითაა დაფარული ზე ამის გამო გაგნება ძნელია, თუ არა ასეთი სანიშნე ბოძების მომსახურება. ლიგანას ხშირად აგრეთვე უძახიან „საელი-აოსაც“ (ელაობას უწოდებენ დაგ-ავდარის ღვთაების დღესასწაულს. ბმ შემთხვევაში მოიტანენ ლუდს, დაკლულ თიგანს), მასვე უწოდებენ ასევე მზის საბუდარასაც. ეს იმიტომ, რომ მზე მთაზე ამოდის ან ჩადის სწორედ იმ ადგილას, სადაც დადგმულია ეს ლიგანა. საინტერესოა ის ხერხიც, თუ როგორ აკეთებენ ამ ლიგანას. ჩვენმა მეგზურმა ჩაჩაურ ლიქოკელმა მიაბო, რომ ლიგანას ასაშენებლად ბავშვებს „შაალომებენო“, ე. ი. შეაჯიბრებენო, თუმცა მას ხშირად დიდებიც თვითონ აკეთებენ, როცა ამას ალბათ აუცილებლობა სასწრაფოდ მოითხოვს. ბარდა ამისა, მე შევაძინე მეგზავრობის დროს, რომ როგორც ბრავის, ისე თერგის ზე მათი შენაკადების ხეობებში მრავლად არის ჩვენს დრომდე მოღწეული ციხე-კოშკები, რომლებიც თავის დროზე ემსახუ-

რეზოლუციონ ანა მართო სტრატეგიულ მიზნებს, ანამედ-
კავშირგაბმულობის საშუალებასაც წარმოადგენდნენ, რო-
გორც ეს გადმოცემულია ბკაკის კრებულის ერთ ნომერში. ამ
კოშკების თავიდან საჭირო, საჩქარო ცნობების, მაგალითად,
მტრის შემოსევის ცნობის გადაცემის მიზნით ისროდნენ
თოფს, ანთებდნენ ცეცხლს ღ ამ ნიშანს ერთი კოშკიდან
მეორეზე გადაცემით საბოლოოდ ატყობინებდნენ.

ოჯახის საკუთრებას განაგებს უხუცესი მამაკაცი, ვინც
ყველაზე მეტი იცის.

მუშაობაში დახმარება — შველა, ხელის შეწევა; მუშა —
ნადი (მუშაობა, თიბვა, მკა); *ჩხანჩხი* — ურთიერთდახმარება,
ნადი ლუდის გამოხდაში; *დრამა* — გადასახადი დაჭრისათ-
ვის; *ძღვენი* — სანათლაგი გადასახადი

ზატს აქვს თავისი მამული ღ რამდენადაც ხატი მთელი
სოფლისაა (უკეთ ვთქვათ, მთელი სოფელი ხატისაა), ამდე-
ნად ეს მამული მთელი სოფლისაა. ამ მამულს მთელი
სოფელი ამუშავებს ღ მთელი მოსავალი მთელი სოფლის
მიერ მოიხმარება ხატობის დროს. ზატის მამულს განაგებს
ორი კაცი ორ-ორი წლით. მათ სოფელი იწრევს. საბაღახო
საძოვარი საერთოა, სათიბი გაყოფილია, როცა ძმები იყო-
ფიან, თავიანთ შორის ინაწილებენ.

მამული, ე. ი. უძრავი ქონება, ქალზე არ გადადის. მუ ის
შეიქმნა „მემკვიდრედ“, გათხოვების შემდეგ მას მიაქვს
მხოლოდ მოძრავი ქონება, უძრავი კი მისი გვარის კაცებს,
ახლო ნათესავებს ან სოფელს რჩება, მაგრამ ქალს არ შეუძ-
ლია მოძრავი ქონებიდანაც ყველაფრის წაღება, ფარ-ხმალი
ღ საერთოდ საომარი იარაღები მთელი გვარისაა ამ შემთ-
ხვევაშიც ღ მამასადამე, მას სხვა გვარში გათხოვილ ქალს
არ გაატანენ.

მოვხელე — ვიპოვნე, დაკარგული მოვიძიე.

ბავშვები მუდმივად ფისის კეკს ღეჭენ. ამ კეკს მოხევე-
ებისგან ყიდულობენ. ისინი მთელ დღეს ფეხშიშველნი ფე-
ნაში დარბიან. მრთი ასეთი ბავშვი ბიძამისმა დაიჭირა,
დატუქსა, რომ ფეხშიშველი დარბოდა.

ზახმატიდან ჩაჩაური მოგვაცილებს ლებაისკანამდე და შემდეგ ჩვენ უმეგზუროდ მივდივართ შატილში. საღამოს უკვე შატილში ვართ. ბქ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს მუცოელს გავეცანით და მან დაგვაბინავა ადგილობრივი სკოლის მშენებლობის ტექნიკოსის ბინაში, რომელიც წარმოადგენდა ერთი გლეხის წინკარში ფარღალაღად მიღებული მიწურ ფაცხას, რომელშიაც უძრავად მიდგმული ლოგინის მერე მცირე ადგილია იყო დარჩენილი. ჩვენ აქ ვინჯით: პოწია ლოგინზე, მე და ბია კი მიწაზე, ნახევრად ლოგინის ქვეშ, რადგან მეტი ადგილი არ იყო.

საფეხვნო — ფეხონი, სალაყბო, გაზეთის ჩანასახია.

სოფელ შატილში საფეხვნოს აქვს სპეციალური შენობა, რომელიც, როგორც სოფლელები გადმოგვცემენ, უხსოვარი დროიდანაა აშენებული. ბქ, სხვათა შორის, ცხვრის ნეხვზე ნაყავენ თოფნამალს. საფეხვნოში „იამბობენ ზოგ სამტროს, ზოგ საკეთოს, ვინა ვინ მოვა, ყველა იქ მივა, დასხდებიან, ილაპარაკებენ ზოგ სამტროს, ზოგ საკეთოს, უცხო ამბებს“. მესისხლეზე საფეხვნოში იამბობენ, მერე გაარიგებენ ცალკე. როცა ვინმე მოკვდება, მთელი სოფლის მამაკაცები მის დამარხვამდე არ მუშაობენ, არამედ თავს იყრიან, სხედან საფეხვნოში, მაშინ როდესაც დედაგაცები მიცვალებულს დასტირიან. საფეხვნოში ვისაც რა საქმე აქვს, თან მოიტანენ: თოვს გრეხენ, ტყავს გამოქნიან.

ხიშუნი — იარაღი, რომლითაც ტყავს ქნიან, საერთოა. ტყავის გამოქნაში ერთმანეთს ეხმარებიან.

შატილიდან ჩვენ მეორე დღეს, რაც ვნახეთ სოფელი მუცო, დაგბრუნდით უკან ზახმატისკენ. ის ღამე ზახმატში გავათენეთ და მეორე დღეს ადრე ბინდისას გავუდექით გზას ყაზბეგისაკენ. ამ დღეს ყველაზე საძნელო შეიქმნა ჩვენთვის როშვის ყინულიან თოვლიან მთაზე გადასვლა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, საღამოს უკვე ყაზბეგში ვიყავით. იმავე საღამოს ჩამოვედით ფასანაურში, ხოლო 11 ბგვისტოს დილით უკვე ტფილისში გავჩნდით ავტოთი.

ჩაიწერა დღიურში — 14-15.08.34

11.03.36 ღამის 4 სთ.

თითქმის სამი წელია, რაც დღიური დავიწყო. სამი წელი ინტელექტუალური და ფიზიკური ზრდისა. სამი წელი მთელი ეპოქა ჩემს ცხოვრებაში. ის ისე გავატარე, როგორც ქარიშხლის კუდს გამობმულმა. ბრ მეცალა ჩამეწენა დღიური განცდები. ცხოვრება სწრაფად ვითარდებოდა და მოვლენები ისე ჩქარა იცვლიდნენ ერთიმეორეს, რომ დღიური დამავიწყეს. უდიდესი დღეები, რომლებიც სავსე იყო განცდებით, ბრძოლებით, შემოქმედებით და მიღწევებით, ჩემს წინ ელაგენ, როგორც „წარსულ დროთა ხავსით მოსილი საუკუნეები“, ისე მომავალი ცხოვრების ადამიანთაგან უხილავი პერსპექტივები. ისტორია და პრაქტიკა, პრაქტიკის განვითარების გზები, მამოძრავებელი ძალები და შემოქმედი ბარიერები. მე არ ვწერდი დღიურებში, მაგრამ ბევრს ვწერდი დასაბუთებლად, როგორც ეხლა, ანდა ბევრს ვკითხულობდი შემეცნების გასაღრმავებლად. ბრწყინვალე და მყოფადი, წარსულის შესწავლა და ახსნა სიტყბიერი გატაცებით მიზიდავდა. დღეს ვაღაპებდი და ღამეს ვათენებდი მათზე ფიქრში.

მე ვასწავლიდი და ვასწავლი ისტორიული წარსულის ჭეშმარიტ მოვლენებს, ხალხთა წარმოშობისა და განვითარების გზებს. საზოგადოებრივ ფორმაციათა ევოლუციას და დაღუპვას. წარსული დროის ადამიანთა ცხოვრებასა და მისწრაფებებს, მიზნებსა და ამოცანებს და ამასობაში ძალიან ხშირად საკუთარი თავი მაგინყდებოდა, მე ვცხოვრობდი წარსულ დროთა ცხოვრების შესწავლასა და ახსნაში, მისი მამოძრავებელი მიზნების კვლევასა და განმარტებაში. ბმასობაში საკუთარი ცხოვრების ჰასაკში 30-მა წელმა დარეკა. დღეს მივაღწეე გადამწყვეტ მომენტს ჩემი ცხოვრების განვითარებაში ახალი ფაზის დასაწყისისა.

ბმ საღამოს მამარის სახლში ვიყავი. იქიდან ღამის სამის ნახევარზე გამოვედი.

18.04.40

დიდი ხანია, რაც მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტში უკვე გახსნილიყო ახალი სექცია მე-19- მე-20 საუკუნეების ისტორიისა, სექციის მუშაობის გეგმაც შემადგენიან ილ.თავაძემ. მერე თანამშრომლების შერჩევა დამავალა. რაღაცამ მთელი საქმე არია ზ სულ სხვა სახე მისცა. ბოლოს 19 ბპრილს გაიხსნა რაღაც სექცია. ჰქვია: „მუშათა მოძრაობის ისტორიის სექცია“. ჯერ კი სტალინის სექციაში შედიხართო ზ ამ სექციაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მომინვიეს მეც. სექციის გამგე შეთავსებით არის ბ.ზაჭაპურიძე. მითქმის თვე გადის ზ ჯერ ერთხელაც არ შესულა სექციაში. მე დავდივარ დღეში 2-3 საათი, ხან მეტი ზ ხანაც ნაკლები დროით.

ბაკეთებით ბევრ რამეს ვერ ვაკეთებ. ყოველივე პირობაა შექმნილი, თუმცა სტიმული მაინც არ არის. რატომ? ინსტიტუტი არ გავს დაწესებულებას, რომელსაც ჰქონდეს თავისი საგამომცემლო ზ სხვა აპარატი ზ მატერიალური ფონდი. ბმიტომ ყოველივეს თვითნებურად ილ.თავაძე აკეთებს ისე, როგორც მას უნდა. წინასწარ კი არავითარი საწინდარი იმისა, რომ ამას სწერ ზ იბეჭდება, არა სჩანს ზ მე რად მინდა კიდევ ახალი ვწერო, როცა ოთხმოცამდე ფონმა დაწერილი დაუბეჭდავი მიყრია?! (მიწყვია).

16.06.40

დავიცავი დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოებლად.

დიდი დავიდანაბა, შური, ჭორი, ამით გათავდა ერთის მხრივ. სექტემბრიდან ალბათ პროფესორად დამამტკიცებენ ზ ხელფასიც მომემატება.

19.01.40

პროფესორის ხელფასი მხოლოდ 1941 წლის სექტემბრიდან დამინიშნეს. ბმავე დროს ვარ პოლიტეკონომიის

კათედრის გამგედ. დოქტორის და პროფესორის დამტკიცების ცნობა დღემდე არ მოსულა.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
განყოფილება

18.11.1940

ბმ სადამოს, ხალხური ხელოვნების სახლში ლექციის კითხვის დროს, 9 საათსა და 35 წუთზე გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეკონომისტი, აკადემიკოსი ივანე ბლექსანდრეს ძე ჯავახიშვილი. მბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი დამაარსებელთაგანი, ჩემი უძვინფასესი და დაუკნყარი მასწავლებელი და მეგობარი, გარდაიცვალა სახელოვნად და იდეალურად, თუ შეიძლება საერთოდ სიკვდილი იყოს იდეალური. ის მოკვდა მეცნიერული მოღვაწეობის პოსტზე — კათედრაზე, ლექციის კითხვის დროს.

23.06.41

დილის 4 საათზე დაიწყო ომი ბერმანიის იმპერიამ საბჭოთა კავშირთან. ეს იქნება ომი, რომელთანაც ყველა წინანდელი ომები და ახლანდელი ინგლის-ბერმანიის ომი ბავშვთა თამაშად გამოჩნდება. ომი მეთრიდან შავ ზღვამდე, რომელიც მრავალ შავ დღეს დაატეხს კაცობრიობას, ასეულათასებსა და მილიონებსაც გაუშავებს თეთრ დღეს. ეს ომი განსხვავდება თითქმის ყველა წინანდელი დიდი „მსოფლიო“ ომებისაგან. ეს არა მხოლოდ ერთგვული და პოლიტიკური, არამედ უაღრესად სოციალური კლასობრივი ომია. წელიწადნახევრის განმავლობაში წარმოებული ბერმანიის ომები პოლონეთთან, საფრანგეთთან, ინგლისთან და სხვა, იყო, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთგვარი პრელუდია ამ დიდი ომისა, რომელიც გუშინ დაიწყო ბერმანიასა და სსრკს შორის.

ეს თავისი მასშტაბით, დაჯახებული ძალებითა და პერსპექტივებით, ისტორიაში უმაგალითო ომია, უმაგალითოა იმითაც,

რომ ასეთ გრანდიოზულ ძალთა ორი სამყაროს დაჯახება მოკლე ხანში უნდა დასრულდეს, მოკლე ხანში იმ დიდ კარდინალურ ღრმა ცვლილებებთან შედარებით, რაც მან უნდა მოუტანოს კაცობრიობას.

22 ივნისს იწყება ახალი ხანა ხალხთა დიდი ომების ღ ამ ომებით გამოწვეულ ცვლილებათა ღ გადატრიალებათა ისტორიაში.

ბხლა იქნებ წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა უნდა მოყვეს ამ ომს. ღღეს უაღრესად განვითარებულია ხალხთა განადგურების საშუალებანი. ბმდენად, ფრიად დიდი მსხვერპლია მოსალოდნელი, მაგრამ მე ყველაზე უფრო მაინც მეომარ დიდ სახელმწიფოთა შორის ყველაზე სუსტი - ოურქეთი მაფიქრებს, ჩვენთვის ტურქეთის ფრონტია ყველაზე უფრო საშიში, არა თურქთა ძლიერების, არამედ სიახლოვის გამო.

პვირას 03.11. 41 საღამოს 7-8 საათზე სადილ-ვახშმად ჩემთან შეიკრიბნენ: პროფ. ფ. ბოგიჩაიშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ბ. შანიძე, აკად. ს. ჯანაშია, დოც. ბ. ბამყრელიძე ცოლით, პონია ბამსახურდია ცოლით, ბ. ლეონიძე, ბლიო მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ბლ. ქუთათელი, პარლო პალაძე, პროფ. ლ. ბოკიელი ღ სხვები. ოშვიათი დროის გატარება გამოვიდა. იყო სიტყვები წარმოთქმული ქართული კულტურის, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნებისა ღ სხვა საკითხებზე. პ. ბამსახურდიამ ღ შ. ნუცუბიძემ გრძელი სიტყვები უთხრეს ფ. ბოგიჩაიშვილს. შალვა პირდაპირ ატირდა, თვალებიდან ცრემლები დაჰადუპით ჩამოსდიოდა, როდესაც გაიხსენა შნივერსიტეტის დაარსების ისტორია ღ მის დამაარსებელთა მოღვაწეობა, რომ მათგან ბევრი - ივანე ჯავახიშვილი ღ სხვა უკვე ცოცხალი აღარ არის, რომ მათი მოღვაწეობა, მათ შორის ფილიპესი იყო უმნიკვლო, უხგარო ღ მხოლოდ ღ მხოლოდ ეროვნული კულტურის ინტერესებისათვის ამოძრავებულ ადამიანთა მოღვაწეობა.

ეს გახშამ-სადილი ერთგვარი ლიტერატურულ-მეცნიერული საღამო იყო. საღამოს მოწყობის ისტორია წარმოიშვა კონსტანტინე გამსახურდიასთან შ.ნუცუბიძისა და ჩემი საუბრის დროს ერთ საღამოს, როდესაც ფეხნაღრძობ კონიასთან სახლში ვიყავით სანახავად, დიდხანს შევეყვით მასლაათს და სადაც შალვამ არაერთგზის გაიმეორა, რომ ლიტერატურული საღამოების ტრადიცია ლამის არის სულ გადავარდეს. მეც ამასვე ვამბობდი და ბოლოს გადავწყვიტეთ, ჩემთან, როგორც „კაც-ხიდთან“ (შალვას სიტყვით) მოწყობილიყო ასეთი საღამო, რომელიც ჩემის წინადადებით უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ლიტერატურული, ე.ი. აქ უნდა მომენვია არა მხოლოდ მწერლები, არამედ მეცნიერებიც. ბმავე დროს, ეს უნდა ყოფილიყო მეცნიერ მუშაკთა და მწერალთა ინტიმური დაახლოების ერთ-ერთი დასაწყისიც, რომელსაც შემდეგ სხვა მოჰყვებოდა. მე ეს ლიტერატურული საღამო-ვახშამი, რომელიც ლამის 3 საათს გასცილდა, მოვანყვე (იგი 700 მანეთი დამიჯდა) და ვნახოთ, თუ აწი კიდევ ვინმე მოაწყობს. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოვანყვე. ეფექტი ბევრად უფრო დიდი იყო, ვინემ მოველოდი. ჩვენი მწერლები და მეცნიერები ერთმანეთს ძალიან ხშირად არც კი იცნობენ. მათი დაახლოება და ერთად ამოძრავება ქართული მეცნიერებისა და მწერლობის ინტერესებით უთუოდ ფართოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა და ხელს შეუწყობს ქართული ეროვნული კულტურის მრავალი მივიწყებული დარგისთვის ცხოველყოფელი მრავალნახნაგოვანი სულის ჩაბერვის საქმეს.

შალვამ წაიკითხა თავისი ნათარგმნი „შეფხისტყაოსანი“ რუსულად. წაიკითხა რამდენიმე ადგილი. სხვათაშორის ის ადგილიც, რომელიც სტალინს თვითონ შეუსწორებია. იყო მსჯელობა აგრეთვე ბევრი ქართული ფილოსოფიური მწერლობისა და, საერთოდ, ძველი მწერლობის შესახებ. სიმონ ჯანაშიამ მოგვითხრო მცხეთა-პრმაზის და შორაპნის ახლოს ერთ სოფელში ახალი გათხრების დიდად საინტერესო შედეგების შესახებ. ბლექსანდრე მამაშვილმა ზეპირად წარ-

მოთქვა ერთ-ერთი თავისი უკანასკნელი ლექსი. ლ. ბოგ-
ელმა ილაპარაკა ქართული მათემატიკური მეცნიერების მიღ-
წევებზე, ფილიპე ბოგიჩაიშვილმა გრძელი სიტყვა თქვა
ქართული მეცნიერებისა და ქართველ მწერალთა ხალხთან
ურთიერთობის შესახებ ძველად — 50-30 წლის წინათ და
ახლა, მოგვითხრო ბიორგი წერეთელთან და ი. ჭავჭავაძეს-
თან გაცნობისა და თანამშრომლობის შესახებ. ილაპარაკეს
(ლ. ბოგიელმა, ს. ჩიქოვანმა, ბლ. ჭუთათელმა, ბ. შანიძემ,
ბ. გამყრელიძემ) ჩემთან დაკავშირებით ქართული ეკო-
ნომიკური მეცნიერების შესახებაც. შალვამ გრძელი სიტყვა
უთხრა სიმონ ჯანაშიას, როგორც ქართული მეცნიერების
კერის — მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელს და მოი-
გონა სტალინთან და ბერიასთან მოსკოვში შეხვედრების
დროს ამ უკანასკნელთა აზრები ქართულ მეცნიერებასა და
ქართველ მეცნიერებზე (მერე ეს ყველაფერი უფრო ვრცლად
უნდა ჩავწერო).

01.09.42

დ. ყიფშიძე, თსუ რექტორი, გადამეკიდა სასტიკად და
დაუნდობლად. ჩვენი გაცნობის პირველი დღიდანვე არ მოვ-
წონდი. რაღაც ისე მოხდა, რომ მისმა უვიცობამ და პატივმოყ-
ვარეობამ იგი ჩემ მტრად გადააქცია. თუმცა, მე ყოველთვის
ვცდილობდი არ მევნო მისთვის და არ გამეხდა იგი მტრად.
ჯერ კიდევ მისი რექტორად დანიშვნის პირველსავე თვეს მან
შნივერსიტეტიდან მომხსნა, როგორც 15 დღის გამცდენი,
ნამდვილად მხოლოდ 2 საათი მქონდა გაცდენილი და ისიც
დეკანისგან მიღებული თანხმობით. მგით მას იმ 2 კვირაში
ოც საათზე მეტი გაეცდინა თურმე. იგი ლექციებს კითხუ-
ლობდა, მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებს ეხებოდა რაღაც,
თუ არ ვცდები, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე.
მისებური უმეცრული განმარტება მიეცა სტუდენტებისთვის.
მრთი სტუდენტი კონსულტაციაზე ჩემთან მოვიდა და ეს კით-
ხვა დამისვა, მე განვუმარტე, თურმე მას ეჭვი შეეტანა ყიფში-
ძისეულ განმარტებაში და ამიტომ მკითხა და ჩემი განმარტების


შემდეგ მითხრა, მე ასე ზე ასე მეგონაო. მეც ვუთხარი: ეს შეცდომაა-მეთქი. მერე გამომიტყდა: ყიფშიძემ ასე გვასწავლაო. მე ვუთხარი: ის სწორად გასწავლიდათ, ალბათ თქვენ ვერ დაიმახსოვრეთ-მეთქი. ბმ დიალოგს ერთი ლექტორი ესწრებოდა ზე როგორც ჩანს, მან ეს ამბავი რექტორს მიუტანა, თითქოს მე მეთქვას, დ. ყიფშიძემ არაფერი იცისო. მინდოდა, მთელი ეს ამბავი ჩამეწერა, მაგრამ ღირს შნივერსიტეტის ამ უღირს რექტორზე ჩემს დღიურში ლაპარაკი?!

ბუშინ, 15.11.42 დავესწარი მწერალთა თათბირს საქართველოს მწერალთა სასახლეში. თათბირზე გამოვიდა რუსი მწერალი სილვანსკი. ის ფრონტზე ყოფილა, გაზეთის რედაქციაში უმუშავია. ბხლა კავკასიაში გამომგზავნესო, რადგან კავკასიის ფრონტის უდიდეს მნიშვნელობასთან დაკავშირებით, როგორც მთელ კავშირში, ისე ინგლისსა ზე ბმერიაკაში, ფრიად დაინტერესებული არიან კავკასიითო. იგი ამბობდა, რომ ახლა ყველა საბჭოთა მწერალი უნდა წავიდეს ფრონტზე ზე ვინც ფრონტს არ იცნობს, იქ არ ყოფილა, იგი უკვე მწერალი არაა, იგი ჩამოიწია ისტორიასა ზე ქვეყანას თავისას - კითხე მას ჭკუა!

13.11.43

როგორც იქნა, დავგვირგვინდა ჩემი 5 წლის ბრძოლა საქართველოში ეკონომიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსებისათვის. ბმ საღამოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დადგენილება: დაარსდეს საქართველოს მეცნიერებათა ბკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტი. უკანასკნელ ხანებში ამ საქმის განხორციელებაში დიდად დამეხმარა პეტრე შარია, ურომლისოდ, უნდა ვიფიქროთ, კიდევ არ

გვექნებოდა ჯერ ინსტიტუტი, რამდენადაც ილ. მავაძე, რომელსაც ამხ. პ. ჩარკვიანმა მიანდო, ჩემი განცხადების თანახმად, ინსტიტუტის ორგანიზაციის საკითხის შესწავლა, არსებითად საქმეს ფუშავდა, რადგან პირადად მე არ მოვწონდი, ხოლო ჩემთვის გვერდის ავლა კი მას არ შეეძლო. დიდად უშლიდა საქმეს ხელს ს. ღონაძეც, რომელმაც 5 წლის განმავლობაში, ჯერ როგორც პაჭრობის სახალხო კომისარმა, ხოლო შემდეგ როგორც ცენტრალური კომიტეტის პატივის ბანყოფილების გამგემ, უდიდესი ზიანი მოუტანა ჩვენს ეკონომიკურ მეცნიერებასა და განათლებას, ყოვლად უნიათი და ქლესა, საქმესთან პირდაპირი კავშირისა და ინტერესის არმქონე, მხოლოდ მატერიალურად დაინტერესებული დეკანის ფაგულტეტისთვის პირდაპირ მითმასწებით.



პ. ბაშასურდია და პ. ბუგუშვილი
1942 წლის სექტემბერი, იყალთო

დღეიდან უკვე მოცემულია ძირითადი პირობა ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზებისა და მე ვფიქრობ, რაკი ცენტრალური

ლურმა პომიტეტმა დირექტორად მე ამირჩია, ამით უკვე დაბ-
ფასა ჩემი დამსახურებაც, რომ ესოდენი ბრძოლა ზ დაბრ-
კოლებათა გადალახვა დამჭირდა ამ საქმის სრულ-
ყოფისათვის.

25.11.43

დღეს ბკადემიის პრეზიდიუმი ჩატარდა. ეკონომიკის
ინსტიტუტის დაარსებისა ზ შტატების საკითხზე. შეიქმნა
კომისია, რომელსაც ევალება წარუდგინოს პრეზიდიუმს
მომავალ სხდომაზე შტატების პროექტი: აკად. ს. ჯანაშია, მე
ზ მაჭავარიანი. ზეგ ჯანაშიასთან უნდა გამოვცხადდე
გარკვეული მასალებითა ზ მოსაზრებებით ამის შესახებ.
როგორც ეტყობა, ეკონომისტებში ძლიერი დუღილია.
ბ. ბოკიელმა, მაგალითად, დღეს მითხრა, მაინცდამაინც არ
მინდა იქ მუშაობაო. როდესაც მე ვუთხარი, მხოლოდ ისინი
იმუშავებენ, რომელთაც მთელი მონდომებით სურთ ზ თავის
მონოდებად მიაჩნიათ აკადემიაში მუშაობა-მეთქი, მიპასუხა,
ჩემსავით თავგამოდებული სხვა ვილა არის მაგ საქმისთვისო.
ვნახოთ, საბოლოო შედეგი როგორი იქნება. ბმ დღეებში
შტატებს შევარჩევ.

11.10.43 ღამის 12 საათი

მს არის, ჩემგან გავიდა პონსტანტინე ბამსახურდია.
ჩემთან დაახლოებით ერთი საათი იყო. მრთი ბოთლი ღვინო
დავლიეთ ხილით. იგი ძლიერ მძიმე განწყობილებამაზე.
ოჯახური მდგომარეობა ძლიერ აღელვებს. თებერვალში
ცოლი გაეყარა, ეჭვიანობდა წინათ ცოლი. ახლა, თუმცა არ
ამხელს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეგეც ეჭვიანობს. მე
ორიოდე თვის წინათ გავიგე მილიციის თანამშრომელისაგან,
თითქოს მის ცოლს, მირანდას, მართლაც ყოლოდეს
საყვარელი {იგულისხმება თაყვანისმცემელი - რედ}, რომე-
ლიც პონსტანტინეს სახლში მისულიყოს მირანდასთან.
პონია სახლში დახვედრია ზ უცემია. მირანდას უთქვამს, ეს
სტუდენტი გადამეკიდა ზ არ მეშვებაო.

13.12.43

ნ-კას. (ნინიჩკა, ნინო მიქაბერიძე — შაატას მომავალი მეუღლე, 12 წლით უმცროსი, მისი ყოფილი სტუდენტი იყო — რედ.)

ბანა არ ვიცი, რომ გამეპარე
 და კიდევ ერთხელ გამაყმანვილე!
 ნეტავიმც ვიყოთ ცამეტ-ცხრამეტის
 და გვიღიმოდეს ნინ სინამდვილე.

მაგრამ დრო მიჰქრის დაუდევარი,
 მე შევასრულე ოცდათვრამეტი,
 ბამითანადღრდა გული მედგარი...
 და შენც იქნები ან ოცზე მეტი.

მე რამ გამლია, შენ რომ იცოდე,
 ჩემს ნატვრას რითმე გამოიცნობდე...
 ჩემსას რას იტყვი, შენი იცოდე —
 ჯერ მიატოვე, კვლავ შეიცოდე.

მე არასოდეს ის გზა არ მინდა,
 სხვას რომ გაეცლოს თუნდ
 ფეხშიშველად,
 პურიც არ მინდა მე არანაშინდა —
 ჩემმა სახელმა თუ არ მიშველა.

ღვინის მაგიერ წყალს დავჯერდები,
 ყანწიც არ იყოს თუ გინდა ტყუილი,
 ოდონდ ავისგან ტუჩმინადები —
 ბრც წრუბი ექნას ვისმეს, არც ყლუბი.

ბროლის ჭიქითა მიჭირავს ღვინო-
 წინანდალია, წმინდა კახური,
 მე მართო ვარ ბ მინდა ვისმინო-
 ბქ შენი სიტყვა ბ ხმა ქალური...

შენ გამექეცი, მეც გავექეცი
 და ისევ დავრჩი ან კვალად ერთი,
 თურმე, ნუ იტყვი, ვყოფილვარ ბეცი-
 თურმე შენ ჩემთვის ხარ ერთადერთი.



ზვალ დაბადების დღე დამიდგება
 და როგორ მინდა, აქ ჩემთან მყავდე!
 იმედი მქონდეს, რა დამიდგება —
 შენთან გავჩნდები... ჩემებრ გიყვანდე.

მაგრამ შენ სხვა გყავს გულის მურაზი,
 დაფერფლილია ჩემი ოცნება —
 ჩემს გულს ერევა თნება ბ ბრანზი,
 რომ თვით არ იცი შენ შენი ნება.

მე რამ გამლია, შენ რომ იცოდე,
 დამიჯერებდე, გამოიცნობდე:
 ჩემსას რას იტყვი, შენი იცოდე —
 ბამიგონებდე, გამოიცნობდე.

ჰა, ერთხელ კიდევ გამაყმანვილე,
 ბანა არ ვიცი რომ გამეპარე!
 მეტი რა გინდა, რითმაც ვანვალე
 და ალბათ ლექსიც ვისმე მოვპარე.

1944 წლის 15 აპრილიდან გატარებული ვარ მეცნიერებათა ბკადმიის მკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად ბ ხელფასიც დამენიშნა. ბხლა დღეიდან — 18 აპრილიდან, უკვე შეგუდექი შტატის შერჩევას ბ საქმის ორგანიზებას საერთოდ. ბინა "იმელში" მოგვცა ამხ.პ.შარია. შტატში

სულ 16 კაცი დაუმტკიცებიათ, დასაწყისისთვის ამასაც არა-
უშავს რა, მომავლისათვის ალბათ უფრო გაფართოვდება, თუ
მოხერხდა ზ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ჩემი შრომის
ნაყოფიერება ამიერიდან ერთი ორად უნდა გაიზარდოს.

15.94.44

მართა ჩემმა მეგობარმა ქალმა (მერი სუბათაშვილმა)
მითხრა კონიაზე «Он вечно влюблен»-ო. მართალია,
კონიას უსიყვარულოდ არ შეუძლია. როგორც მე და, თუ არ
ვცდები, ყველა მამაკაცს, რომელსაც აქვს ძლიერი ინტელექ-
ტუალური ზ სქესობრივი პოტენცია, მე კონიას მაგალითზე
მჯერა, რომ მისი ქალებისადმი ესოდენ დიდ მიდრეკილებას
ამოძრავებს უფრო ინტელექტუალური, ასე ვთქვათ, რომა-
ნების დამწერი მწერლის მოთხოვნილება, ვინემ სქესობრივი
აღტკინება ზ სწრაფვა.

17.04.44

დღეს წავიდა წინიკა ბაკურიანში. უწინარეს საბოლოოდ
გამარკვია მისი „პოზიცია“: ყველაფრის თანახმაა. მოვიდა ზ
მკითხა, როგორ მოვიქცეო, ე.ი. როდის დავიწყებთ ერთად
ცხოვრებასო. მეც ვუთხარი მალე-მეთქი. პინ იცის, იქნებ,
მაისიდან ის შეიქნეს ჩემი ცოლი. შეიძლება კიდევაც, თუ
თვითონ რაიმე არ იუკუდმართა. ყოველ შემთხვევაში, მაისის
10-ისათვის რომ ჩამოვა, საჯაროდ გამოვაცხადებ, როგორც
საცოლეს ზ ის იქნება.

1944 წლის 25 ივნისს ქმართან საცხოვრებლად გადმო-
ვიდა წინიკა, ხელი კი 23 ივნისს მოვანერეთ. პინალამ ჩაი-
შალა იმ დღეს, რადგან სარეგისტრაციო ბიურო სადაც მეგუ-
ლებოდა, იქ არ ყოფილა. სიცხე იყო ზ მეტი სიარულიც შემე-
ზარა. ბოლოს, როცა შემატყო, რომ შეიძლებოდა გადამედო
(ანსებითად სამუდამოდ, რადგან მერე უკვე უღავოდ

გადავიფიქრებდი), თვითონ დატრიალდა ზე მონახა, თუნდა აქვე, რაიალმასკომის შენობაში ყოფილა.

ბგერ უკვე მეხუთე თვე გადის. იგი უკვე ონსულია, როგორც თვითონ ამბობს, მეოთხე თვეა ზე მე ძალიან მეფიქრება ჩვენი „ტკბილი ოჯახისათვის“, თუმცა ჯერჯერობით, როგორც ეტყობა, ყველაფერი რიგზეა.

1944 წლის 26 ოქტომბერს საქ. სსრ მეცნიერებათა ბკადემიამ მიმავლინა მრევანში სომხეთის სსრ მეცნიერებათა ბკადემიის სექტორის სამეცნიერო სექციაზე, თან წავიყვანე ჩვენი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის სექტორის გამგე დოც. ნ. იაშვილი. 27 ოქტომბერს საღამოს უკვე მრევანში ვიყავით. მს ჩემი პირველი მგზავრობა იყო სომხეთში, საერთოდ ზე კერძოდ, მრევანს. სომხებმა კარგად ზე გულახდილად მიგვიღეს. უკვე წინასწარ ქონდათ ჩვენთვის „ინტურისტის“ სასტუმროში ნომერი ლუქსისა აღებული ზე მისვლისთანავე იქ დაგვაბინავეს იმავე საღამოს. ჩვენის დაგვიანებით ცოტა შეგვიანებულად დაწყებული სესიის პირველ სხდომას დავესწარით. დღის წესრიგზე იდგა ეკონომიკის სექტორის მიერ შედგენილი სამხრეთის მკონომიკური რუკის განხილვა. ბმ საკითხის გარშემო მოსმენილი იქნა სამი მოხსენება. სესია ორ დღეს გაგრძელდა. იაშვილი ორჯერ გამოვიდა სიტყვით, რამდენიმე შენიშვნა მეც გავაკეთე. საერთოდ, ჩვენმა გამოსვლებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც იქედანაც ჩანს, რომ ჩვენს შემდეგ გამოსული ადგილობრივი მუშაკები ხშირად აღნიშნავდნენ საკამათო პრობლემის გარშემო: „სამწუხაროდ, ამ საკითხს ობილიისელი ამხანაგები არ შეეხენო“, ანდა „როგორც სამართლიანად მიგვითითეს ობილიისელმა მეცნიერებმარ“ და სხვა ასეთები.

მეორე დღეს სადილად წავიყვანეს ბ. კ. ბანამიანის სახლში. დიდებული მასპინძლობა ჰქონდათ. სუფრაზე თხუთმეტიოდე კაცი ვისხედით. მართი იქაური მხატვარი ქალი ზე ერთიც სომხეთის ოპერის მომღერალიც იყო. უკრავდნენ პიანინოზე, მღეროდნენ, ცეკვავდნენ ზე საერთოდ, ძალიან მხიარული კამპანია შედგა. ბმ სუფრაზე ზე საერთოდ ამ

საღამოს ჩემთვის კიდევ უფრო აშკარა შეიქმნა, თუ როგორ უყვართ სომხებს ობილისი. თითქმის ყველა, გარდა ერთისა, მათი აკადემიის ეკონომიკის სექტორის თანამშრომლები, თბილისელი სომხებია – მათ არ იციან ან ცუდად იციან სომხური, ოჯახში ლაპარაკობენ უფრო რუსულად. ბარამიანის ოჯახი სულ გარუსებულია, ცოლიც რუსი ჰყავს, ბავშვები ხომ პირწაგანდნილი რუსები არიან, რუსულ სკოლაშიაც სწავლობენ, თითქმის ყველა მეცნიერ მუშაკმა იცის ქართული, ცოტაოდენი მაინც. თუ ლაპარაკი თვითონ არ შეუძლია, ესმის მაინც. მეორე დღეს სხდომის დარბაზში აკადემიის დარბაზში, ბაკადემიის შენობაში, სესიის დამთავრების შემდეგ, როდესაც ჩვენს გარშემო დაჯგუფდნენ ზეკერო ბაასი გაიმართა, აღმოჩნდა სომეხთა უმწავლესობა სიამოვნებით არჩევდა მასლაათი ენარმოებინა ჩვენთან ქართულად ზეკაშამზედაც სულ ობილისის სადღეგრძელოს სვამდნენ ზეკაშამზედაც მე მრევნის სადღეგრძელო ავსნიე, ამ სადღეგრძელოს ისე, სხვათაშორის, გულგრილად გამოეხმაურნენ.

მე შემოვიარე თითქმის მთელი მრევანი. ბქ ასე ცხადად ჩანს ახალი ქალაქი. ბრსებითად მრევანი, როგორც ქალაქი, ახალია. საბჭოთა პერიოდში გაშენებული. პირდაპირ გაკვირვებას იწვევს ის გულმოდგინება, რაც სომხებს გამოუჩენიათ თავიანთი დედაქალაქის გაშენებაში. ბმას ხელს უწყობს ის გარემოებაც, მათ მოეპოვებათ მშვენიერი სამშენებლო ქვების მარაგი, მაგრამ ცხადია, მართლ ქვა არაფრის მაქნისია. ის ქვა ასეული წლების წინათაც იქ იყო, მაგრამ უხმარად. სომხებს ერთი დიდებული თვისება აქვთ – ერთმანეთის გატანა. მრავალსოლიდანობის განვითარებული გრძნობა, რაც უთუოდ უკეთილშობილესია მათს გრძნობათა ზეკაშამზებათა შორის. ოსინი ცდილან, ერთმანეთი გაუტანიათ ზეკაშამზედაც მეტი სარგებლობა მოუტანიათ თავიანთი ქვეყნისათვის. მხოლოდ ის შემთხვევა რად ღირს, რომ მათ არ ყავთ არც ერთი დოქტორი ეკონომიკური მეცნიერებისა, ყავთ მხოლოდ ერთადერთი უხარისხო პროფესორი ეკონომისტი ზეკაშამზედაც მეტი თუ ოთხი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდი-

დატი ზე ამ ბაზაზე აქვთ უნივერსიტეტში მონომიკის ფაკულტეტი ზე ბკადემიაში ჩამოაყალიბეს მკონომიკის სექცია 27 კაციო, მაშინ, როდესაც ამ სექციას არ ჰყავს თანამშრომელთა შორის არც ერთი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატიც კი ზე მხოლოდ ერთს აქვს დოცენტის წოდება. როგორ შეიძლებოდა ამ საქმის გაყვანა ისე, რომ სომეხი მეცნიერები ერთმანეთს არ დახმარებოდნენ. ჩვენ სამი დოქტორი ზე ოთხი პროფესორი, ოცდაათზე მეტი დოცენტი ზე ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გყავს ზე როდესაც ჩემი 5 წლის განუწყვეტელი ცდისა ზე დავიდარაბის შემდეგ მკონომიკის ინსტიტუტი შეიქმნა ბკადემიის სისტემაში, მოგვცეს 16 კაცი, მხოლოდ 16 ზე წელს აქ არც ერთი კაციო არ გაგვიდიდეს შტატი ზე მხოლოდ მოსკოვში მოგვიმატეს 3 კაცი. მსგავსი მაგალითები მრავალია.

1945 წლის 6 მაისს საღამოს ექვსის ნახევარზე დაიბადა ჩემი ვაჟი ბესარიონი (ბესიკი). ვაჟის შეძენა განსაკუთრებით გამიხარდა, მით უმეტეს, რომ წინიჩკაც კარგად მორჩა, თუმცა მშობიარობა საკმაოდ მძიმე ჰქონია.

მახსენდება, პირველი ცოლ-შვილის დაღუპვის შემდეგ არც კი ვიფიქრებდი ხელი მომეკიდა ისევ ამ საქმისთვის, მაგრამ ახლა კმაყოფილი ზე კიდევ მეტიც, გახარებული ვარ, რომ კვლავ მყავს ცოლიცა ზე შვილიც. ყველა ჩემიანს დიდად ესიამოვნათ. ეს მეორე-მესამე დღეა, წაც განუწყვეტლივ მილოცავენ. მთელი ეს სიამოვნება, წასაკვირველია, გამართლებულ უნდა იქნეს მხოლოდ გვიან, როცა ვაჟი წამოიზრდება, მაგრამ დაბადება ხომ აუცილებელი წინამსწრბოლია ამისა ზე ალბათ ამიტომაც, რომ დაბადებას ზეიმობენ.

წინიჩკაც ძლიერ კმაყოფილია ზე გახარებული. მისი წერილები ჯერ თვითონ არც კი მინახავს — ამჟღავნებს მის გულითად განწყობილებას დედობისადმი. უკვე ტრიაბახობს კიდევაც, ვაჟის დედა ვარო.

6 მაისს ძველებურად ქრისტიანულად ბღდგომბაა. ბსე რომ, ცრუმონწმუნეთაც ყოველგვარი საფუძველი აქვთ იწინასწარმეტყველონ ჩემი ვაჟის კეთილი მომავალი. ის დაბადა საღამოს ღ ზოდესაც ტელეფონით დამირეკეს, გარეთ რომ გავხედე, ჭექა-ქუხილი იყო ღ მალე ძლიერი წვიმა დაუშვა, წამაც გასწმინდა ღ გაასუფთავა ჰაერი ღ მიწა. წანვიმარში მალე გზაზე ცოტათი შესველებული, „ლეკომბინატის“ სამშობიაროში ვიყავი. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი გამოიყვანეს. როცა გამოყავდათ, ისე დასწყვილა, რომ „თურქები თვით სტამბულამდე დააფრთხო“. როდესაც კონიას ვუთხარი, ასე მაგრად დასწყვილა-მეთქი, მაშინ ეს იმან განმარტა, ვაჟკაცი იქნება ღ აქედანვე ეტყობა, რომ დასწყვილა: მით თვით თურქები დააფრთხო თვით სტამბულამდეო.

ბხლა ჩვენ ამ დიდი სამხედრო გამარჯვების შემდეგ თურქეთისლა ინტერესი შეგვჩენია, რომ იმასაც გამოვგლიჯოთ ჩვენი ტერიტორია ღ ხალხი, რომელთაც საუკუნეებია, წაც მაჯლაჯუნასავით აწვება ღ ხუთავს.

26.01.46

ბკადემიკოსმა ბიორგი ბხვლედიანმა გუშინ დამირეკა: თუ დრო გექნება ღ კარგადა ხარ, ხვალ 2 საათზე პრეზიდენტში გამოიარე, ქართული ინტელიგენციის მეთაურებთან წაღაც სერიოზულ საქმეზე შეხვედრა მაქვს მოწყობილიო. დამაფიქრებელი იყო ეს მოწვევა ღ მეც არ შემეძლო არ მივსულიყავი, თუმცა ძალიან ბევრი საქმე მქონდა.

მივედი. მისი კაბინეტი უკვე სულ სავსე იყო ხალხით: ბერონტი ჭიქოძე, ბ.ბააშელი, ბ.მასაძე, პროფ.ბ.წულუკიძე (ექიმი ქირურგი), შალვა ღამბაშიძე, თედო სახოკია (თავმჯდომარეობდა), მ.თოფურია, ბ.ჩიტაია, ბ.ჯიბლაძე, ბ.ნატროშვილი, რ.მგნატაშვილი, შ.ბფხაიძე, შჩა ჯაფარიძე, ჭ.იმედაშე, ბკ.ფაღავა ღ კიდევ ერთი ამდენი მწერლები, მსახიობები, მხატვრები, ტექნიკისა ღ მეცნიერების მუშაკნი.

მე დაგვიანებით შევედი. ბ. ბავლედინს თავისი დილას პათოსით დაწერილი სიტყვა შუამდე გაუთავებინა, მაგრამ შინაარსის გასაგებად მეორე ნახევარიც ჩემთვის საკმარისი გახდა: დღეიდან ქართულმა ინტელიგენციამ ყოველი ღონისძიება უნდა იღონოს, რათა ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის გამწვანების ტემპის დაჩქარებას. ჩვენ შემოგვემატა ახალი ტერიტორიები (ჩრდილოეთით), კიდევ უნდა შემოგვემატოს ახალი (სამხრეთით) და მათ ათვისება უნდა, მით უმეტეს, რომ სამამულო ომში ქართველმა ხალხმა ფრონტზე გაგზავნა 500000 კაცი (რომელთაგან ბევრი შინ არ დაბრუნებულა).

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ილაპარაკეს: თ. სახოკიამ, ფ. მგნატაშვილმა, ბ. ჭიქოძემ, ბ. ბაბაშელმა, ბაკაკი მასაძემ, იმედაძემ, ბაკაკი ფაღავამ. იმთავითვე დაისვა საკითხი, რომ ამ საქმისათვის აუცილებელია წინასწარ სტატისტიკურ-ეკონომიკური მიმოხილვა იყოს მოცემული და სხვა, რისთვისაც ყველამ მოითხოვა ჩემი აზრიც მოესმინათ საკითხის ამ მხარის შესახებ. მეც არ შემიძლო რაიმე არ მეთქვა, ვინაიდან ეს პრობლემა თავადაც ძლიერ ხშირად მანუხებდა ხოლმე. ჩემს გამოსვლაში იყო აღნიშნული, რომ მე-12 საუკუნეში ქართველთა რაოდენობა 5 მლნ-ს აღემატებოდა, მერე რატომ, რა მიზეზით ეგზომ დავეცით, რა არის მიზეზი, რომ სომხობა უფრო ჩქარა მრავლდება, რა ადგილი გვეჭირა და გვეჭირავს რაოდენობის მხრივ ბმიერკავკასიაში და სხვა. ეს პრობლემები გადაიქცა ჩემთვის ერთგვარ საკითხებად, რომელთა გასლა-განმარტებაც დავიწყე.

შინაარსად აღვნიშნე, რომ 1800 წელს ბმიერკავკასიის მთელ მოსახლეობაში ქართველთა წონა პროცენტი უდრიდა 43-ს, თურქ-აზერბაიჯანელთა — 47-ს, ხოლო სომეხთა — 7-ს, ხოლო 1865 წელს კი ეს შეფარდება შეიცვალა ასე — იმავე თანამიმდევრობით — 37, 35, და 20. ბმგვარად, ძლიერ გამწვანდა სომეხთა რაოდენობა. ბქ მექანიკური ზრდაც იყო (მიგრაცია თურქეთიდან და ირანიდან), მაგრამ ისედაც უფრო ჩქარა მრავლდებიან სომეხები, ვიდრე ქართველები.

ქართველი ხალხის შედარებით ნელი გამრავლების მიზეზთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ:

პაატა გუგუშვილის გამოსვლის ტექსტი:

„ბქ აღინიშნა, რომ 1. ქართველთა წაოდენობამ მე-12 საუკუნეში 5 მლნ-ს აღწევდა. ბხლა კი მრავლდება ან სულ არ მრავლდება. 2. დამუშავებულია თუ არა სტატისტიკა ამიერკავკასიის ხალხებისა და კერძოდ ქართველთა წაოდენობისა და გამრავლების ტემპების შესახებ და სხვა.

მე ახლა მიხდება ექსპრომტად შევეხო მათ და, ცხადია, ჩემი ცნობებიც მხოლოდ დაახლოებითი იქნება. ამიერკავკასიის მთელ მოსახლეობაში 1800 წელს შეადგენდნენ — ქართველნი — 42%, „თურქნი“ (ძირითადად აზერბაიჯანელები) — 47%, სომეხნი — 7%. 1865 წელს კი ქართველნი — 35%, „თურქნი“ — 35%, სომეხნი — 20 %. შკანასკნელთა სწრაფი ზრდა აიხსნება 1828-1831 წლებში ირან-თურქეთიდან 150000 სომხის გადმოსახლებით, თუმცა სომეხთა ბუნებრივი მატებაც წამდენადმე მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ქართველთა. 1921 წლისათვის ამიერკავკასიაში ქართველნი შეადგენდნენ 33, ხოლო სომეხნი უკვე 24 პროცენტს.

საერთოდ გამრავლებას განსაზღვრავს ეკონომიკა და ერის გამრავლების ძირითადი წყაროა სოფელი და არა ქალაქი, მაგალითად, უკრაინელებთან შედარებით ქართველთა ნელი ტემპით გამრავლება სხვა ფაქტორთა შორის იქნებ აიხსნებოდეს იმით, რომ ჩვენი სოფლის ეკონომიკაში, სასტიკი მცირემშენიანობის პირობებში, დიდ როლს თამაშობდნენ მწავალწლიანი კულტურები, რაც წინათ ნადგურდებოდა და ხშირი სამხედრო-პოლიტიკური გარდატეხების პერიოდში, ძნელად აღსადგენი იყო, მაგალითად, ვენახის აღდგენას 5-6 წელი სჭირდება, პურის მეურნეობას კი თითქმის იმდენი თვე და ბევრად ნაკლები კაპიტალდაბანდება.

შრომატევადი და მექანიზაციის მხრივ ნაკლებად ათვისებულ მწავალწლიან კულტურათა როლი კოლოსალურად გაიზარდა დღევანდელ სოფლის ეკონომიკაში, მაგრამ ჩვენს პირობებში მათი ამ მხრივ მნიშვნელობაზე საუბარი უფრო

გააზრებულ და ჩაკვირვებულ მსჯელობას მოითხოვს, ვიდრე ახლა მე აქ შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, უდავოა ის დიდი ეკონომიკური წარმატებები, რაც მათი მეოხებით ჩვენმა სოფელმა მოიპოვა.

მაგრამ ჯერ გავათავოთ წარსულზე. დაცემული სოფლის ეკონომიკური აღორძინების სიძნელე განსაზღვრავდა ჩვენი მოსახლეობის გამრავლების ტემპს. მით უმეტეს, რომ მაღალცივილიზაციური ორბიტის ერის გამრავლებას ეკონომიკური დაჩაევების და, მაშასადამე, კულტურული დაქვეითების პერიოდებში მორალური და ეთიკური ხასიათის ფაქტორებიც შესამჩნევად აფერხებენ.

მითარება კარდინალურად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. ჯერ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობამ, მერე კოლექტივიზაციის საფუძველზე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და მექანიზაცია-მაშინიზაციამ განუზომლად აამაღლა სოფლის მატერიალური კეთილდღეობა და, მაშასადამე, გამრავლების ტემპიც. ბმისათვის, თუ 1897-1921 და 1921-1939 წლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური მატება დაახლოებით ორჯერ უფრო ინტენსიურია, ვიდრე წინათ, მაგრამ ამით გაიზარდა საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვეც. 1 კვ კმ-ზე 1921 წელს ცხოვრობდა 34, 1939 წელს - 51, 1952 წელს - 57,8 კაცი. ბსე რომ, მიწის სიმცირე მაინც კვლავ თავს იჩენს. როგორც მახსოვს, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კოლმეურნეობებში კომლზე ბევრად მეტი სათესი და საერთოდ სახმარი მიწა უნდა მოდიოდეს, ვიდრე საქართველოში. ჩვენ მოგვემატა ჩრდილოეთით ახალი ტერიტორია, მაგრამ ეს საკმარისი არაა. დასავლეთ საქართველოში მიწის სიმცირის მეოხებით უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში თანდათანობით ისპობა კოინდარი(ეზო), რაც სიმინდით ითესება და რაც (უეზობა) უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, აფერხებს რა ჰაერის მოძრაობას საცხოვრებელი ბინის გარშემო.

მაგრამ ჩვენ კიდევ ველით ახალ, ოდითგანვე ქართულ ტერიტორიას სამხრეთიდან, სადაც უნდა გავრცელდეს ჩვენი მჭიდროდ დასახლებული სოფლის მოსახლეობა. მანუილილი ომით გამოწვეული სიძნელები სულ მალე იქნება აცილებული. სოფლად ბლომად შევა ახალი მაღალი ტექნიკური შეიარაღება, უფრო აინევს შრომის ნაყოფიერება, რაც სანინდარია ეკონომიკური კეთილდღეობის ზე, მამასადამე, გამრავლების ტემპის შემდგომი ამადლებისა.

მაგრამ თავისთავად არაფერი მოდის. იმ გრანდიოზულ ღონისძიებებს, რასაც ამ მიმართულებით ჩვენი პარტია ზე ხელისუფლება ახორციელებს, რასაკვირველია, ურიგო არ იქნება საზოგადოებრივი ნაკადიც შეუერთდეს, რათა კიდევ უფრო იქნეს გააქტიურებული მოწალური ხასიათის მომენტებიც, რომლებიც უმნიშვნელო როლს როდი თამაშობენ მოსახლეობის გამრავლების საქმეში, რამიაც ჩვენ, ქართველები, თუ არ ვცდებით, ბევრ მოძმე რესპუბლიკას ჩამოვრჩებით. ჩვენი შეკრების აზრი უნდა იყოს: ამ მხრივადაც არ ჩამოვრჩეთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს ზე თუ შეიძლება ასე ითქვას, შევეჯიბროთ მათ ყველაზე ძვირფას კაპიტალს — თვით ადამიანთა, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა გამრავლებაშიც.

ბმ მხრივ, მე მგონია, აკად. ბ. ბხვლედიანის ინიციატივა დიდი გულისხმიერებისა ზე საყოველთაო ყურადღების დინსია ზე ჩვენც მას მადლობა უნდა გამოვუცხადოთ.

11.02.47

ბრ ვიცი, როდის ჩამოვიყვანო ბაკურიანიდან ცოლ-შვილი ქალაქში. მეჩქარება ბიჭიკოს ნახვა. თანაც აქ მეშინია ჩამოყვანა, შემა კიდევ არა მაქვს ზე ვაითუ გამიცვიდეს. ბმ დღეებში შემას მპირდებიან. თუ 2 მეტრი მაინც სადმე ვიშოვნე, მაშინვე ჩამოვიყვან. მითხრეს, ჩემი ბიჭიკო თურმე უკვე ფეხზე დგება, ოღონდ კედელს მიყრდნობილი. მალე იქიდან

ის გადმოსდგამს ფეხს ზე წავა წინ, წინ... ბხალი ზე მალაღლი
ცხოვრებისაკენ.

1947 წლის 15 იანვარს, დღის 12 საათზე დაიბადა ჩემი
ბულბაათი, მეორე ვაჟი. დედამისმა მშობიარობა კარგად
გადაიტანა. ბულბაათი კი, ცოტა არ იყოს, გულშეღონებული
მოვლენილა ამქვეყნად, მერე ბებიას ხელი უტყაპუნებია მის-
თვის ზე ბოლოს წამოუგნავლია, ეს სიცოცხლის ნიშანი იყო,
რაც ბულბაათს ხანგრძლივად ზე თავისი ქვეყნის სასახელოდ
ეტარებინოს.

ზვალ, 1947 წლის 6 ივლისს, დღის 6 საათზე მივფრინავ
მოსკოვს, სადაც უკვე მერვე წელიწადია, რაც არ ვყოფილ-
ვარ, ფრენითაც პირველად მივფრინავ ზე ისიც ასე მოწს
დისტანციაზე, რისთვისაც ძლიერ შეინტერესება, თუ როგორ
ავიტან ფრენას. თუ გულმა, ჩემმა ჩემზე მოხუცებულმა გულმა
არ მიღალატა, სხვა მხრივ, კარგად უნდა ვიფრინო. ზვალ
შუადღეს ან ნაშუადღევს მოსკოვს ვიქნები. იქ მივდივართ
პოლიტიკურ ზე მეცნიერულ ცოდნათა გამავრცელებელი სწუ-
ლიად საკავშირო საზოგადოების თათბირზე. ეს თათბირი
არის საზოგადოების დამფუძნებელი, ე.ი. საორგანიზაციო
თათბირი ზე ამიტომაც მოწვეულნი არიან მხოლოდ დამფუძნე-
ბელი წევრები ზე ორგკომიტეტის წევრები. ორივეს წევრი ვარ
ზე თანაც ეკონომიკის სექციის ხელმძღვანელი.

ძლიერ შეინტერესება როგორც ახლანდელი, ომის შემდ-
გომი მოსკოვის, ისე იქაური სამეცნიერო ლიტერატურული
წრეების ნახვა ზე გაცნობა, რამდენადაც ახლა ეს წრე სულ
ახალი ხალხისაგან შედგება.

02.04.53

ბხალი, მორიგი შემოტევა.

ბასული წლის სექტემბერს მოსკოვიდან დასკვნისათვის
მომივიდა ბ.ო. ჯანცხავას სადოქტორო დისერტაცია. იგი

გამოთხოვილი იყო ჩვენი აკადემიის მიერ იმ მოტივით, რომ რეცენზენტ-ოპონენტთა შორის არ იყო არც ერთი სპეციალისტი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებთან.

დისერტაცია ჯერ კიდევ არ მქონდა მიღებული, რომ ბ. ჭანცხავამ დაიწყო ჩემთან სიარული და შემომიყენა მთელი ნაცნობ-ნათესავები, თვით აკად. ნ. მუსხელიშვილით დამთავრებული, რათა მალე და აუცილებლად დადებითი დასკვნა მიმეცა.

მე დატვირთულობის გამო მალე 10-15 დღეში, ცხადია, ვერ შევძელი რეცენზიის დაწერა. ბ. ჭანცხავა იწყებს ეჭვიანობას. ბძლიერებს ნაცნობობის მხრივ დაწოლას, ახშინებს ჩემთან სიარულს და თავს უფრო და უფრო მახეზრებს, წინადადებას მაძლევს, მე დაგინერო და შენ მხოლოდ ხელი მოაწერეო, როდესაც წამოდენიმიეჯერ გამიმეორა ასეთი თხოვნა, მე ვაგრძნობინე, რომ ჩემთან ასეთი რამ არ გამოვა — „მე თვითონ უნდა წავიკითხო დისერტაცია და რეცენზიაც, ცხადია, მე დავწერო“. ბმის მერე კიდევ უფრო გამიხშირა სახლში სიარული, ახლა სულ მთხოვდა, იმის პირობა მაინც მომეცო, რომ დადებითი იქნებოდა ჩემი დასკვნა. მე ვუთხარი, რომ ეს მის შრომაზეა დამოკიდებული, რაც ჯერ ბოლომდე არ წამიკითხავს და პირობას ვაძლევდი, რომ აუცილებლად შეღავათიანად მოვეპყრობოდი, თუ მთლად წყალწაღებული არ იქნებოდა მისი დისერტაცია და მეც ვფიქრობდი, რაკი ასე დიდი დრო იმუშავა, დამაკმაყოფილებელი დისერტაცია იქნებოდა.

ბ. ჭანცხავამ უმატა ეჭვიანობას და ერთხელ კიდევ გარკვევით განმიცხადა, შენ ჩემზე რომ ცუდი დაწერო, მეც შემიძლია შენზე და შენს დისერტაციაზე ცუდი რამ დავწეროო. მე ვუთხარი, ასეთი „მთავონებით“ ჩემზე ვერ იმოქმედებდა და ჩემი რეცენზია იქნებოდა ისეთი, როგორსაც იმსახურებდა მისი დისერტაცია, თუ კარგი აღმოჩნდებოდა — კარგი, თუ ცუდი — ცუდი. მეორე დღეს ნ. მუსხელიშვილმა დამინიშნა სახლში ტელეფონით (იგი თვით ინსტიტუტის საქმეზე რომ მჭირდებოდა, თითქმის ყოველთვის უდროობას მიჩიოდა,

ხოლო ბ. ჭანცხავას საქმისთვის ყოველთვის ქონდა დრო.
ზან მე გამომიძახებდა თავისთან, ზ ხანაც მიწეკავდა სამსახურში
თუ ბინაზე) ზ წინადადება მომცა, რათა სულ მალე
გამეგზავნა დასკვნა ჭანცხავას დისერტაციაზე. ეტყობა,
მაშინ ჭანცხავა მასთან იჯდა სახლში, რადგან მუქარაც
მოაყოლა, თუ მალე არ გაათავებ, იცოდე, ჭანცხავას,
ბჩივოს (ის მას ასე უძახის), ძალიან შორს მიუწვდება ხელი
ზ კარგი რამ ამას არ მოყვებაო — ეს უკვე აშკარა მუქარა
იყო! ეტყობა, ბ. ჭანცხავა უფრო ზ უფრო წმენდებოდა —
რაკი მის შრომას მე ვკითხულობდი ზ ხშირი მოსვლის დროს
ჩემს შენიშვნებს შეცდომებზე ზ გაუგებრობათა შესახებ, რაც
მის შრომებში იყო, ვესაუბრებოდი, ჩემი დასკვნის დადებითი
ხასიათი საექვო იყო. მით უმეტეს, თვითონ ხომ კარგად
იცოდა, რომ მისი შრომის რიგი ძირითადი დებულება გადა-
ღებული იყო ჩემი ზ სხვა ქართველ მეცნიერთა შრომებიდან.
თავად შრომაც თურმე გამოკვლევის ხასიათს ნაკლებად
ატარებდა. ბსეთ სიტუაციაში იგი, სხვათა შორის, ხშირად
დარიოდა ვ. მელქაძესთან ცეკბში, რომელსაც უჩიოდა, რომ
მე ვაგვიანებ მის შრომაზე რეცენზიის გაგზავნას. მან, რო-
გორც ვ. მელქაძემ მითხრა, თურმე ამხ. ბ. მგელაძეს მიმარ-
თა, რომ მე მოსკოვში დავიცავი დისერტაცია ზ მუგუშვილს
ჩემზე რა ხელი აქვსო. ბქ უფლება არ აქვთ, ჩემი შრომა
გააჩიონო ზ მისთანები.

ჩემთვის უდავოა, რომ მასში ვ. მელქაძემ ნახა კაცი, რომ-
ლის გამოყენებაც ჩემს წინააღმდეგ შეიძლებოდა ზ შთა-
გონა, რომ მისი იდეა (რაკი ბ. ჭანცხავა მასთან თურმე მემუ-
ქნებოდა) კარგია, ე. ი. მან გაგზავნოს მოსკოვში, ცეკბში
მალენკოვის სახელზე ჩემ წინააღმდეგ წერილი — „დანოსი“.
ჭანცხავამ ეს ეტყობა უკვე ოქტომბერში თუ არა, ნოემბერში
მაინც გააკეთა. იანვრის პირველ რიცხვებში ვ. მელქაძემ
უკვე დაიწყო მუშაობა ჩემ წინააღმდეგ გაშლილი ფრონტით.
ბმ დროს ჩანს, მოსკოვიდან ის დანოსი უკვე გამოგზავნილი
იყო ჩვენს ცეკბში და, ცხადია, გადაეცა შესამოწმებლად
თვით ვ. მელქაძეს, რომელიც ტერმინოლოგიისა ზ საერთო

შურიანობის ნიადაგზე ჩემ წინააღმდეგ საკმაოდ დიდი ხანია, რაც იწაზმებოდა. ძხლა მე თვითონ ახალი ბენზინი გადავასხი: 2-3-ჯერ მომიხდა მასთან ღ პ.რატთან პალიან მაგარი შეტაკება ი.სტალინის შრომის თარგმანში ახალი ტერმინების გამოყენების გარშემო. ვ.მელქაძემ, მოსკოვიდან რომ დაბრუნდა, შეაჩერებინა სტალინის შრომის ბეჭდვა ღ ყველასი არა, მაგრამ რიგი ახალი ტერმინის ამოგდებას მაინც მიაღწია.

ამის შემდეგ მან კიდევ უფრო მეტად იგრძნო თავი შეურაცხყოფილად, განზილებულად და, ცხადია, ყოველივე ამის მიზეზი მე ვიყავი.

ყოველთვის იმის ცდაშია ამიერიდან ვ.მ. ღ პ.რ., რათა სახელი გამიტეხონ ღ აგროვებენ ჩემ წინააღმდეგ სულ ახალ მასალებს. მიყავთ უხერხემლო ეკონომისტები, უცხადებენ, რომ ცმპბ ამ ტერმინების წინააღმდეგია. მერე „შთაგონებულთ“ ავალბენ, გამოთქვან თავიანთი „თავისუფალი აზრი“.

ჩემ წინააღმდეგ ერთხანობით დაშლილი დაჯგუფება კვლავ ძლიერდება ღ მას სათავეში ჩაუდგა ვ.მ. ცხადია, ამის შემდეგ მდგომარეობა ძალიან რთული შეიქმნა. მაგრამ ვ.მ.-მ მაინც შეძლო ჩემთვის თვალის ახვევა, რამდენადაც ისე მაჩვენებდა, რომ თვითონ ყოველთვის ჩემ მხარეზე იყო.

ბზლოვდებოდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ეკონომიკის ინსტიტუტის საქმის გატანის დრო. მელქაძე რაზმავს ჩემ წინააღმდეგ ხალხს ღ გაფაცვიცებით აგროვებს ახალ მასალას, რითაც „ამდიდრებს“ მოსკოვიდან გადმოგზავნილ ბ. ჴანცხავას მიერ გაგზავნილ „დანოსის“ „მონაცემებს“.

უკვე იანვარში თებერვლისათვის ყველაფერი მზად აქვს. მიძახის, მაცნობს ზოგიერთ წამოყენებულ ბრალდებებსა ღ შენიშვნებს ჩემი ბიოგრაფიისა ღ მეცნიერული მუშაობის, ნაშრომების შესახებ. ეს შენიშვნები ღ მათზე პასუხი ასახულია ორ ოკუპენტში: 1. ბ. მგელაძის სახელზე ჩემ მიერ დაწერილ განმარტებაში (რუსულად 31.01.53) ღ 2. ვ. მელქაძის სახელზე დაწერილ განმარტებაში (ქართულად 03.03.53) ღ

ამიტომ მათ შინაარსს აქ არ ვიმეორებ (იხ. ჩემი პირადი მიმოხილვის საქმე # 4).

20 მარტს, სავსებით მოულოდნელად, ჩემი საქმე ვ.მელქაძეს გააქვს ბიუროზე ისე, რომ მე არამცთუ წინასწარ არ მიმიღო ამხ.ბ.მგელაძემ, არამედ, რაც ყველაზე უკანონოდ უფრო მიმაჩნია, მელაძემ არც კი გამაცნო დადგენილების კონსტანტაციური ნაწილი.

ბიუროზე ვ.მელქაძეს ხალხი უკვე დარიგებული ჰყოლია. მახარაძე, ვ.ბალაგაძე, სხვანი, როგორც თვითონ იგი, ყიზილბაშებივით ღ დაუნდობლად დამესხნენ თავს ღ ისეთი ბრალდებები ღ ცილი დამწამეს, რომ ბ.მგელაძის მიერ ზოგიერთი მხრივ შემამსუბუქებელი განმარტების შემდეგ მომიხსნეს სასტიკი საყვედურის პუნქტი ღ თითქმის ყველა დანაწილენი მერე ჩანერილი აღმოჩნდა დადგენილებაში ეტყობა ისე, როგორც ეს მელქაძემ წარადგინა, თუმცა, თავად ბიუროზე ბ.მგელაძის განცხადებებიდან ჩანდა, რომ მან ბრალდებათაგან ამოშალა ყველა, გარდა ერთი განმაზოგადებელი ფორმულისა — „ბურჟუაზიულ-ობიექტივისტური ხასიათის შეცდომები“, მაგრამ მერე გაზეთებსა ღ თვით დადგენილებებშიც, რაც კი ვ.მელქაძემ წამოაყენა, ყველა ბრალდება ამოტივტივდა ალბათ იმის გამო, რომ დადგენილების ტექსტის წედაქცია (საბოლოო) ისევე, როგორც საგაზეთო მასალათა ტექსტის მომზადება, ვ.მელქაძის შემოქმედებას წარმოადგენდა. მომანერეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ანტიმეცნიერული ღ ვინ იცის, კიდევ ყოველგვარი იდეოლოგიური დამახინჯებანი. მართი სიტყვით, გამაჰამპულეს, სახელი გამიტეხეს, თვითრეკლამური სტატიის ავტორად გამომაცხადეს ღ ყველა ბრიყვსა ღ უმეცარს საშუალება მისცეს ეპიძვნა ჩემი მეცნიერული თავმოყვარეობა ღ სხეული — ჩემი ნაშრომები. მელქაძე-ფანცხავას კოალიციამ მიზანს მიაღწია, მე როგორც უუნარო ხელმძღვანელი ინსტიტუტისა ღ როგორც „იდეოლოგიურ შეცდომათა სისტემის“ ავტორი, გამლანძღეს, მომხსნეს ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტიდან, რომელსაც 9 წელიწადი გხელმძღვანელობდი, მომხსნეს

ცილისმწამებლური ბრალდებების საფუძველზე ისე, რომ საშუალება არ მომცეს თავი მემართლებინა, ბრალი დამდეს რა უმძიმეს პოლიტიკურ ბოროტებაში — საზღვარგარეთ გაქცევის ცდა ზ სხვა, კავშირი ბანამიძის ჯგუფთან ზ სხვა. მას მერეც ათჯერზე მეტჯერ ვოხოვე, მაგრამ ბ.მგელაძემ დღემდე არ მიმიღო.

09.04.53.

დამამუშავეს კათედრაზე. ბუშინ, 8 ბპრილს, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ბ.წანცხავამ საჯაროდ გამოაცხადა: „პროფ.ბუგუშვილი დაეცაო“. ბრაფრის მაქნისი შრომები დანერა, სულ შეცდომებით სავსეაო, მე არ წამიკითხავსო, მაგრამ ვიცო, რომ ანაფრად არ ღირანო.

30.05.53

30 ბპრილს, 1 თვის წინათ, გამომიძახა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ.მ.ჩხიკვაძემ ზ გამომიცხადა, რომ ცენტრალურ კომიტეტში გადანყვეტილია ჩემი აღდგენა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. ბქამდეც უნდოდათ გაეტარებინათ, მაგრამ უდროობის გამო ვერ მოახერხეს ზ 5 მაისს დღის 2 საათზე ბიუროზე გახვალთ ზ აღგადგენთო. წინა დღით, 29 ბპრილს, იგი გამოსულა უნივერსიტეტის პარტკონფერენციაზე ზ აღუნიშნავს, რომ ძველი ხელმძღვანელობა პროფ.ვ.ბუგუშვილს მეტისმეტად უხემად მოეპყრა, უსამართლოდ მოხსნა, რომ მას მართლაც აქვს შეცდომები, მაგრამ ეს შეცდომები მეტად გააზვიადეს, მათი გამოსწორება გუგუშვილს თვითონვე შეუძლია. მან ბევრი გააკეთა ზ ბევრსაც გააკეთებს. ის ფრიად ნაყოფიერი ზ მსხვილი მეცნიერიაო ზ სხვა.

ბსეთი გამოსვლები სხვა უფრო მცირე ყალიბის ადამიანების მხრივაც მოხდა. ბმ პარტიული ყრილობის მომზადების პერიოდში. სხვათაშორის, პრეზიდენტმა ნ.მუსხელიშვილმაც

ანაერთგზის აღნიშნა ჩემი კრიტიკისა და მოხსნის უსამართლობა და ა. შ.

5 მაისი გავიდა, კიდევ 4-ჯერ 5 და ბოლოს გამომიძახეს ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, სადაც იდგა ჩემი წყაბითა და სიბრძნით.

მოხსენებით გამოვიდა მ. ჯიბლაძე, რომელიც ჯერ მკაცრად შეეხო „შეცდომებს“, ახლა მთავარ შეცდომად გამოცხადებული იქნა ისინი, რომელთა ხსენება თვით მგელაძეს კი აღაშფოთა, სომხების და თურქების საკითხი. მაგრამ საბოლოოდ ჯიბლაძემ დადებითად შეაფასა ჩემი მეცნიერული მოღვაწეობა კადრების აღზრდის დარგში, აგრეთვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების დარგში და წამოაყენა წინადადება ჩემი აღდგენის შესახებ.

შერე ბ. ი. მინცხულავამ სიტყვა მომცა მე. მე დავეთანხმე ზოგიერთ შენიშვნას მ. ჯიბლაძისა, ზოგი, რაც არ იყო სწორი, არ მივიღე. მრცლად ვილაპარაკე, კერძოდ, სომეხთა გადმოსახლებისა და თურქეთის საკითხებზე, ბოლოს ჩერქეზიშვილისა და წულუკიძის, აგრეთვე ბოგოჩიანიშვილის საკითხებზე და სხვა. შერე გამოვიდა ვრცელი სიტყვით ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ჩხიკვაძე, რომელმაც მიუთითა ჩემს შეცდომებზე, დამსახურებებზე და სხვა და რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა ერთი უცნაური ამბავი, რაც პირველად მაშინ გავიგონე: თურმე ძველ ხელმძღვანელობას, რომელიც ასე სასტიკად მღევნიდა მე, ის გეგმა ჰქონია შემუშავებული, რომ ე. წ. მეგრული ნაციონალიზმის მოღვაწეთა შორის შაატა ბუგუშვილიც მოექცია. სახელდობრ, ამ მოძრაობის „თეორეტიკოსი და იდეოლოგი“ თურმე უნდა ყოფილიყვნენ ბ. ჩიქობავა და პ. ბუგუშვილი, რადგან ეს ისეთი მოძრაობაა, რომელსაც გარდა პრაქტიკულ-პოლიტიკური ხელმძღვანელებისა, არ შეიძლებოდა არ ჰყოლოდა იდეური ხელმძღვანელი, ე. ი. თავისი იდეოლოგი და თეორეტიკოსი.

ბედის ირონია: მთელი ჩემი სიცოცხლე, მთელი ჩემი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართველი ხალხის ერთიანობის, ერთგული კონსოლიდაციის, ქართული

კულტურის შესწავლისა და მისი განმტკიცებისათვის შემო-
ღევია და ვიღაც ვიგინდარები მე რაღაც მათ მიერვე მოჭო-
რილი ე.წ. „მეგრული ნაციონალისტური მოძრაობის“ იდეო-
ლოგიად და თეორეტიკოსად მაცხადებენ.

მერე ილაპარაკეს ნ.სტურუამ (თბილისის კომიტეტის
მდივანმა), ბ.ჯავახიშვილმა (მინისტრთა საბჭოს თავმჯდო-
ვარის მოადგილე) და ბოლოს შეაჯამა ბ.მირცხულავამ (პირ-
ველმა მდივანმა).

მან უწინარეს აღნიშნა ჩემი მონაწილეობა პოლიტიკური
ეკონომიის სახელმძღვანელოს განხილვისადმი მიძღვნილი
ე.წ. ეკონომიკურ დისკუსიაში. იქ ჩემი სიტყვით გამოსვლა,
მერე სარედაქციო კომისიაში მუშაობა და სხვა, რასაც საერ-
თოდ თვით მაღენკოვი ხელმძღვანელობდა და აქ პაატა
ბუგუშვილის მუშაობა დადებითად იქნა შეფასებული.

მერე საერთოდ დადებითად შეაფასა ჩემი მეცნიერულ-
პედაგოგიური მუშაობა, აღნიშნა, რომ ამ დარგში ამისთანა
სპეციალისტი სხვა არა გვყავსო და მას კი დიდი ხნის წინათ
გამოქვეყნებული შრომებისთვის და თანაც მეტად უხამსად
აკრიტიკებდნენ და სხვა და სხვა. და ბოლოს შემოიტანა წინა-
დადება ჩემი აღდგენის, რეაბილიტაციის შესახებ, რასაც ყვე-
ლა დაეთანხმა და რაც ამგვარად მიღებულ იქნა.

მეორე დღიდანვე დამაწყებინეს ინსტიტუტში მუშაობა,
რადგან ბმეგრკავკასიის ეკონომისტთა საკოორდინაციო
თათბირი იწყებოდა, რომლის ხელმძღვანელობა დირექტო-
რის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ბპ.ნუცუბიძეს
არ შეეძლო.

ბუშინ და დღეს ეს თათბირი ჩავატარეთ, მრევნიდან და
ბაქოდან ჩამოსულ სტუმრებს პატივიც ვეცით. მომხსნეს 20
მარტს, აღმადგინეს 27 მაისს 1953 წლის, 67 დღე ვიყავი
მოხსნილი.



პ. ბუგუშვილი, 1953 წ., პისლოვოდსკი

ჩემი ჯანმრთელობის ისტორიისათვის:

დავიბადე 1905 წელს. ს. პოდოლში, მდ. რიონის ნაპირას., მაღარაიან ადგილას, სადაც ზე ღოთში ვცხოვრობდი 1914 წლამდე. ბავშვობის დროს 1908-1910 წლებში ვიყავი მძიმედ ავად მუცლის ტიფით, მაღარაიით, ციებით, ფილტვების ანთებით, მქონდა პლევრითი, დაჩრდილვა.

1910-1914 წლებში ყოველ ზაფხულს მამას დავყავდი ბაზმაროში ზე გამოვმჯობინდი ზე გამოვჯანმრთელდი

1915 წ. - ვიყავი ძლიერ ავად დიზენტერიით, ციებით.

1916 წ. - გარდამეცვალა დედა

1914-1918 წწ — ვცხოვრობდი ზვსწავლობდი ბბბბბში.
1918-1920 წწ — ვცხოვრობდი ზვსწავლობდი ქ. ფოთში.
1920-1922 წწ — ვცხოვრობდი ზვსწავლობდი ქ. ქუთა-
ისში.

1922-1923 წწ — ვცხოვრობდი სოფელ კოდორში, სანამ
თბილისში წამოვიდოდი ზვსწავლობდი ქ. ფოთში.

1923 წ. სექტემბრის შემდეგ ვცხოვრობ სულ თბილისში.

1926 წ. — დამემართა სუსუნატი, შეიქმნა ქრონიკული.
მოვიჩინე 1928 წელს, მერე ისევ განმიახლდა ზვსწავლობდი
თბილისში 1936 წელს.

1924-1928 — ვცხოვრობდი თბილისის უნივერსიტეტში.

1926-1927 წწ — ზამთარში (დაიწყო მოსკოვში) დამე-
მართა ძლიერი სუნდო, გადამექცა ქრონიკულ სუნდოდ ზვსწავლობდი
მოსკოვში წლის მანძილზე მანუხებდა. შენედა მხოლოდ
1947-1948 წლებში. შემდეგ ახლაც ადვილად მემართება
სუნდო ზვსწავლობდი, რაკი დამემართება ძლიერ.

1936 წ. — შევირთე ცოლი — თამარ თოდუაძე.

1936 წ. — გარდამეცვალა ზვსწავლობდი — ლიუბა, ნაწლავების ტუბერ-
კულოზით.

1937 წ. — გარდამეცვალა მამა (58 წლისა) ფილტვების
ანთებით.

1937 წ. — გარდამეცვალა ვაჟი (სამი თვისა) დუბინტე-
რიით.

1939 წ. — გარდამეცვალა ცოლი ფილტვების ტუბერკულო-
ზით.

1941 წ. — თანვარში გარდამეცვალა ზვსწავლობდი — ბლექსანდრა,
ფილტვების ტუბერკულოზით.

1939 წ. — ექიმებმა მითხრეს, რომ ავად ვარ:

1. მარჯვენა ბარძაყის ნევრალგია

2. რევმატიზმი ქრონიკული

მიწყებ სისტემატურ ზრუნვას ჯანმრთელობისათვის.

1939 წ. — ვიყავ წყალტუბოში ივნისში, ბორჯომში ივ-
ლისში, ციხისძირში აგვისტოში.

1940 წ. — ბგვისტოში დავისვენე ციხისძირში.

1940-1941 წწ — ძლიერი დატვირთვით ვმუშაობდი ისე, როგორც ყოველთვის, მაგრამ უფრო დაძაბულ ვითარებაში. დისერტაციის დაცვა, წიგნების ბეჭდვა ზ სხვა.

1941 წ. — ზაფხული განსაცდელისა, მძიმე მსოფლიო ომის ჟამი. გამანადგურებელ ბატალიონში სიარულმა ძლიერ მომქანცა ზ დამოენტა. ექიმთა დასკვნა:

1. ბულის გაგანიერება, მიოკარდიტი

2. ქრონიკული პოლიართრიტი

1941 წ. მარტში — შიგა ყურის ანთება. მას მერე ყელ-ყურ-ცხვირის ავადმყოფობა ქრონიკული გახდა ზ ან მეშვეობდა დიდხანს, თითქმის 10-15 წელიწადი.

ომის პირობებში ცივ ოთახში, ცუდი კვებისა ზ შიშიანობის ვითარებაში ასეთი ავადმყოფობის სერიოზულობაზე აწავინ ფიქრობდა ზ აწც მე. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო მხოლოდ პინადიც ზ ეროვნულიც.

1942 წ. — თებერვალში ვიყავ ბაკურიანში. ძლიერ კარგი იყო ჯანმრთელობისთვის.

1942 წ. — სექტემბერში პონსტანტინე ბაშსახურდიასთან ერთად ვიყავ პახეთში: თელავი, იყალთო, წინანდალი, ნაფარეული, ბლვანები — ომის შიში, ქეიფი, სიამოვნება ზ საბოლოოდ კარგი შედეგებით დავბრუნდით თბილისში, დავისვენე.

1943 წ. — თებერვალში ისევ ბაკურიანში, კარგი ფონმა დასვენებისა თხილამურებზე.

1943 წ. — 4 ივლისი, 76 კგ ვარ. ომის მანძილზე 12 კგ დამიკარგავს, მაგრამ მთავარია, თვით სიცოცხლე — არა.

1944 წ. — თებერვალი, ისევ ბაკურიანი. პარგად დავისვენე, სპორტსიამოვნებაც არ მაკლდა.

1944 წ. — ზაფხული — შევირთე წინო მიქაბერიძე.

17.01.61

კონსტანტინე ბამსახურდიაზე

ბუშინინ ჩემთან იყო ცოლიანად მთელი საღამო, წინობაზე მოვიდნენ. სულ მალე დათვრა, თანაც სულ სცლიდა ჭიქას. ლიმონათი შევაპარე. „შენ აქ ვის ატყუებ! ბრ მინდა ლიმონათიანი ღვინო, წმინდა ღვინო დამისხიო“. მირანდა შეწუხდა, მეც, წინოც. უკვე ერეოდა ღვინო. სულ შინაურები ვიყავით — ბ.ხასია ცოლით, დ.პეტრიაშვილი ცოლით. ესენი წავიდნენ. პონია არც დაჯდა, არც დაწვა, არც მიდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცოლმა სძლია ზე ჩავიყვანეთ, მანქანაში ჩავსვით ზე წავიდნენ.

ბევრს მსჯელობდა დასაწყისში ზე საღამოც. ბგინებდა {აუგად მოიხსენიებდა — რედ.} ბ.წერეთელს, რაღაც ანტი-მეგრული დაუწერიაო. უფრო მეტად ლიტერატურის ინსტიტუტს ზე გამომცემლობას, რედაქციას. იმან თუ დაწერა, ამათ როგორ დაბეჭდესო.

21.02.62

დღეს კ.ბამსახურდიას გადავეცი საპასუხოდ რიგი კითხვებისა. ვნახოთ, როგორ შეავსებს ზე რამდენ ხანში.

26.12.63

ბნალოგიური კითხვები გადავეცი ბოგლა ლეონიძეს.

26.01.63

ვიყავი ვ.პ.მუხვანაძესთან ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“, ქართული შრიფტისა ზე სხვა საკითხებზე. ეკონომიკის ინსტიტუტს რაღაც საოცარი გაუგებრობის ნიადაგზე წაართვეს 3 განყოფილება (24 კაცი) ზე გადასცეს საგეგმო პომისიასთან ახლად დაარსებულ ინსტიტუტს. ამის შემდეგ ეკონომიკის ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკის განყოფილება

ფილების გამგე პ.ჩანკვიანი უმუშევარი რჩება და როგორ
მოვიქცე — მეოქი. სხვა რა საკითხზე გინდა შელაპარაკო.
ეს საერთოდ მრავალმხრივ საინტერესო საუბარი იყო და
ვრცლად უნდა ჩავწერო ამ დღეებში, როგორც კი მოვიცლი.

25.04.63

ჩემში მეცნიერმა გამოღვიძება დაიწყო ჯერ კიდევ 1926
წელს. 1927-1928 წლებში მე დაჟინებით ვეძებდი თავის
თავში მეცნიერის საკუთარ მეს და 1928 წლის გასულს ვიპო-
ვნე იგი მე და დავწმუნდი, რომ მკვლევარი ვარ, რომელსაც
შეუძლია ფართოდ გაშალოს ფრთები (პირველი წიგნი).
კიდევ 2 წელი და მე უკვე ვგრძნობდი, რომ პაექრობა და
კამათი მინდოდა და შემეძლო კიდევ ჩემი დარგის ყველაზე
გამოჩენილ მეცნიერთან. პრიტიკულად ვუყურებდი მთელ
ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, პოლიტიკურ წესრიგს,
ეკონომიკურ სტრუქტურას. და აი აქ, განვითარების ამ ეტაპზე
ვიგრძენი და შევიგრძნე, მე თუ არ შემიძლია შევიქმნე დიდი
მეცნიერი, გამოჩენილი მოაზროვნე, მხოლოდ იმის გამო,
რომ არ შეიძლება ვიყო ჩემი თანამედროვე საზოგადოებრივი
ცხოვრების ნორმებისა და ფორმების კრიტიკოსი, მისი
გაუკეთესების მესიტყვე და მისი გაუმჯობესებისათვის
მებრძოლი.

11.05.64

ბულბაათი მოვიდა სკოლიდან, თან მოიყვანა ამხანაგი —
რობერტ ბხრაბაძე. მოვიდა დიდის ფახით, შემომხედეთ,
საგანი ჩავაბარეო, მგონი, 4 მივიღეო და დაიწყო: გამიშალეთ
სუფრა, მაჭამეთ, დამისხით ბორჯომი, ლიმონათი და სხვა.
შეუდგა და კარგად დანაყრდა და დაიწყო ტრაბახი. ვნახოთ,
მართლა კი ჩააბარა ოთხზე?

ბუშინ, 1965 წლის 15 სექტემბერს შემისრულდა 60 წელი.
15 სექტემბერი ძველი სტილითაა, მე თითქმის ყოველთვის

ახლით აღნიშნავდი. ნამდვილად სრულდება 28 სექტემბერს ახალი სტილით.

გუშინ ეს თარიღი სრულიადაც არ გამხსენებია. მაშინაც კი, როდესაც სწავლულმა მდივანმა შემომიტანა მოსკოვიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ბანყოფილებისაგან გამოგზავნილი მოლოცვის დეპეშა, რომელიც ისე შევადგე უჯრაში, ზედაც კარგად არ დამიხედია: იაპონელ მეცნიერთა დელეგაციას ველოდი და ის-ის იყო, უნდა მოსულიყვნენ. წინა დღით, 14.09 კი რუმინელი ჟურნალისტი ბუქარესტის "ეკონომიკური პრობლემების" მთავარი რედაქტორის და მასთან ჩამოსულებს ველოდი და მათი მიღება მქონდა.

მხოლოდ დღეს 16 სექტემბერს წინიკა მეუბნება, ეს რა მოხდა, არც მე და არც შენ ჩვენი (მისი დაბადების დღეს 15 სექტემბერია) დაბადების დღე არ გაგვახსენდა, გამოგვეპარაო. ეს მითხრა მას მერე, რაც ბაღიდან სახლში შემოვედი. ბაღში კი ლეღვის ხეზე ვიყავი და ამ დილას მოწყვეტილი გრილი და ტკბილი ლეღვი ზედ ხეზე ვჭამე. მე წინიკას ვუთხარი — აღსანიშნავად ისიც მეყოფა, რომ 60 წლისას შემოიძლია ხეზე ავიდე და ნაყოფი დაგვკრიფო მეთქი. მეტი დრო არა მაქვს. მძლოლი ქუჩიდან სიგნალს იძლევა. დანარჩენები მერე საღამოს უნდა ჩავწერო.

გუშინ, 1965 წლის 7 ოვლისს იყო აკადემიის საზმეცნიერების ბანყოფილების საერთო კრება, 1965 წლის მუშაობის ანგარიშგებათა მოსმენა.

დასაწყისში ბ. წერეთელმა თქვა: ძლიერ მოკლედ აღნიშნონ დირექტორებმა ინსტიტუტის უმთავრესი მიღწევები დადებით მხარეებსა და თავის თემატიკაზე, შემსრულებლებზე ლაპარაკი საჭირო არაა, აღნიშნეთ, თუ რამ ნაკლოვანებები არისო. ყველა ინსტიტუტს უნდა მოვუსმინოთ და ვერ მოვასწრებთ სხვაგვარადო.

პირველს მე მომცა სიტყვა. ვილაპარაკე სულ 5 წუთი. მანამომხსენებელმა პროფ. ღუმბაძემ იმდენივე, მერე აკად. წერეთელმა ჩვენ გაგვაკრიტიკა და სამართლიანადაც.

ჩვენს თხოვნაში, რომ ინსტიტუტის სტრუქტურა უნდა შეცვლილიყო, ძლიერ მოკლედ იყო ზუსტად განყოფილების სახელწოდება. ჩვენგან არ იყო სათანადო დასაბუთება ინსტიტუტის სტრუქტურის შეცვლაზე.

14.11.66

ბაგეთგან წარმოთქმული სიტყვა გასწოლილ ტყვიაზე უარესია. ათასი გასწოლილი ტყვია მხოლოდ ათასი ტყვია, ხოლო ყოველი სიტყვა მთელი მოვლენაა. ადამიანის მოღვაწეობის, ბრძოლისა და მისწრაფებათა აზრია ზუსტად ისტორია.

ათასი ტყვია შეიძლება ასცდეს მიზანს, ხოლო არც ერთი სიტყვა არასოდეს არ ასცდენია მიზანს, რომელსაც ის თუ დღეს არა, თუ წელს არა, ოდესმე აუცილებლად მოხვდება.

საქმე ისაა, რომ გასწოლილი სიტყვა მიზნისკენ მხოლოდ მისი მცირეხიანი მოძრაობის პერიოდში მიისწრაფვის, ხოლო გასწოლილი სიტყვის მოძრაობა უსასრულოა. ის დღენიადაგ მოძრაობს და მიისწრაფვის მიზნისაკენ წლების, საუკუნეების, ათასი წლების განმავლობაში, ამიტომ ერთი ტყვია მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხვდეს მიზანს, ერთი სიტყვა დღენიადაგ შეიძლება ხვდებოდეს მიზანს ათასი წლების განმავლობაში, ამიტომ სიტყვის თქმას ტყვიის გასწოლაზე მეტი დაკვირვება და ჩაფიქრება და, მაშასადამე, დამიზნებაც უნდა. სიტყვით შეიარაღებული თოფით შეიარაღებულზე უფრო ძლიერია და ბედნიერიც, ხოლო თოფით შეიარაღებული, უსიტყვო (სიტყვის უფლებას მოკლებული) თვითონაც უბედურია და ქვეყნისთვისაც უდიდესი ბოროტებაა.

02.06.65

ბ.ბუნიას მოხსენებითი ბარათის გამო ვ.პ.მუხანაძემ გამომიძახა ცენტრალურ კომიტეტში. ფრიად გაბრაზდა, თუმცა დამშვიდებულმა დაიწყო. ი.მიქელაძეს ფრიად უარ-

ყოფითი დასკვნა მიუცია, ისე გამოუყვანია, რომ საქართველოში მრეწველობის განვითარების ტემპების შენელებას ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აბრალებს. იგივე აზრები მრეწველობის ტემპების შენელების შესახებ, რაც თვით **0.მიქელაძეს** თავის სტატიებში უწერია, ახლა **ბ.ბუნიას** მტრულ გამოსვლად ჩაუთვალა. **3.მეუბანაძეც** ადელდა ზღაპრულ დაგამშვიდე, თუმცა მეც საკმაოდ შემეშინდა. მერე ბევრი ვილაპარაკე, **მკონომიკის ინსტიტუტის** შტაბებიდან ზღაპრულად გადმოვიყვანი, დახმარებისათვის ზღაპრულად, მაგრამ, ცხადია, ყოველივე უშედეგოდ, რადგან ახლა მას ამის თავი აბსოლუტურად არ ჰქონდა.

21. 03. 57

ბამათავისუფლეს ჟურნალ „საქართველოს მკონომისტის“ რედაქტორობიდან. საერთოდ ჟურნალი წაართვეს ინსტიტუტს, შეუცვალეს სახელი, მიმართულება ზღაპრულად საგეგმო კომისიას.

მტრებმა გაიმარჯვეს. შეცდომაში შეიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში რამდენიმე წამყვანი ადამიანი, უკეთ მხოლოდ ერთი — **დ.სტურუა**. ბოლომდე დამაბეზღეს მასთან ზღაპრულად ანაწილი ინფორმაცია მიანდოდა პირველს. მს. ძლიერ დიდი დარტყმა მაგემეს. მინ იცის, თუ ოდესმე შევძლებ უკვე 62 წელს მითანებული ამ ჭრილობის მოშუშებას, ახლა დრო არა მაქვს, მერე ვრცლად უნდა ჩავწერო ყოველივე. საინტერესო იქნება შთამომავლობისა ზღაპრული ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის.

26.12.66 წლის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, სადაც მეცნიერებათა აკადემიის საზმეცნიერების ინსტიტუტების მუშაობის საკითხს იხილავდნენ ზღაპრულად ეკონომიკისა ზღაპრული ინსტიტუტი კარგად გავიდა, სულ მოულოდნელად ჩემთვის **3.მეუბანაძემ**, როდესაც საკითხზე მსჯელობას აჯამებდა, განაცხადა, რომ **ბ.ბუგუშვილს** ორი

თანამდებობა უჭირავს, დირექტორია დიდი ინსტიტუტის, რედაქტორია ჟურნალისა და კიდევ სხვა დატვირთვაც აქვს. ეს ძნელია მისთვის. ბქამდე თვითონ უნდა ეთხოვა განცხადებით განთავისუფლება და არ უთხოვია და საერთოდ ამავე უნდა მოვიფიქროთო. შემდეგ დასძინა: ჟურნალს კრიტიკა არ აქვს მაღალ დონეზე დაყენებული, თანაც ბუგუშვილი სტატიებს არ უბეჭდავს მისთვის არასასურველ პირებს. მე რეკიდევ თქვა: ის ბევრს წერს, მართალია, მაგრამ ეს სქელტანიანი წიგნები ხარისხით არაა საჭირო სიმაღლეზე. საერთოდ ლაპარაკობდა ხან **ო. დოლიძეზე**, ხან ჩემზე, ამავე დროს, ძლიერ ხმადაბლა და კარგად არც მესმოდა... რას ლაპარაკობდა. მე რე, როდესაც **დ. სტურუასთან** ვიყავი, იმან მითხრა, სქელტანიანი წიგნების არასაკმაო ხარისხზე რომ ლაპარაკობდა, ის შენ კი არა, არამედ აკად. **ო. დოლიძეს** შეეხებოდა, რომელიც კიდევაც გაათავისუფლეს პიცეპრუზიდენტის თანამდებობიდანო.

ბმის შემდეგ მე ვიცოდი, საერთოდ კარგი არ მომელოდა. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ ტერმინოლოგიაზე **დ. სტურუასთან** კამათის დროს ჩემთვის ნათელი შეიქმნა, რომ **დ. სტურუა** უკვე გარკვევით მხარს უჭერდა **ირ. მიქელაძისა და ვ. მელქაძის** ჯგუფს, რომელთაც, როგორც ჩანს, მასთან მე ძლიერ დამაბეზდეს, რადგან **სტურუა** წინათ ჩემთან კარგ განწყობილებაში იყო და სხვა რას უნდა აემხედრებინა ასე?

ირ. მიქელაძემ და ვ. მელქაძემ ამასობაში მთლიანად ხელში ჩაიგდეს საგეგმო პოპისიის თავმჯდომარე **მ. ჯაფარიძე** (ინჟინერი), საერთოდ გაუნათლებელი და ღრუკაცი, მით უფრო ადვილად აამხედრეს ის ჩემ წინააღმდეგ, რაც უფრო უცოდინარი იყო გეგმიანობისა და საერთოდ თავის თანამდებობის საკითხებში და, მაშასადამე, დამოკიდებული იყო მთელ თავის საქმიანობაში მათზე, როგორც მოადგილეზე (**ირ. მიქელაძე**) და ინსტიტუტის დირექტორზე (**ვ. მელქაძე**), რომლებიც მას უმზადებენ მოხსენებით ბანათებსა და საერთოდ მრავალ მასალას თავის საქმიანობაზე.

0რ. მიქელაძე და ვ. მელქაძე, ცხადია, დიდი ხნის წინათაც მებრძოდნენ, მაგრამ საგეგმო კომისიის ასეთი უმეცარი თავმჯდომარე ჯერ არავინ ყოფილა და ამიტომ ასე სავსებით არ ეძიონილებოდა მათ ზრახვებს ჩემ წინააღმდეგ.

ბხლა ამათ ისე მოაწყვეს, რომ რაკი დ. სტურუას (ცენტრალური კომიტეტის მდივნის) ჩემზე გადაკიდებაც შეძლეს, ჩემ წინააღმდეგ ერთდროულად აამხედრეს: 1. საგეგმო კომისია, 2. მისი ინსტიტუტი და 3. ცენტრალური კომიტეტის მდივანი სტურუა, რომელთაც ყოველთვის ადვილად უერთდებოდა, როგორც ყოველ ჩემს მტერს, 4. ნ. მუსხელიშვილი, რომელიც 20 წელიწადია, რაც დაუცხრომლად მებრძვის, რადგან ერთ-ორჯერ ვამხილე მისი ანტიქართული საქმიანობა. ბხლა ყველა ესენი, ე. ი. (+5) აკადემიის პრეზიდიუმი, ამხედრდნენ ჩემ წინააღმდეგ. მათ უკვე მოახერხეს 26. 12. 66 წლის ბიუროზე ჩემ წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მუჟაგანაძის ამხედრება. ვინ უწყის, მასთანაც როგორღაც იქნებ დამაბეზღეს. დანამდვილებით ვიცი, რომ ერთნახევარი წელიწადია, რაც დ. სტურუაც ჩემ წინააღმდეგ ამხედრებს ყველას, ვისი გამოყენებაც კი შეიძლება ამისთვის. შარშან ნოემბერს იმჟამის შენობაში მიმდინარე იდეოლოგიური თათბირის დროს მან სთხოვა ჩემ წინააღმდეგ, კერძოდ, როგორც ჟურნალის რედაქტორის წინააღმდეგ, გამოსულიყო ვ. მუსხელიშვილი, მაგრამ ასე საჯარო გამოსვლაზე ის არ დათანხმდა, რაკი იცოდა, რომ მე ან ვინმე სხვა, ანდა საერთოდ აუდიტორიას შეეძლო მისთვის საწინააღმდეგო პასუხი გაეცა სწორედ ისე, როგორც ასეთ პასუხს დებულობდნენ უნივერსიტეტში, რაიკომის კონფერენციასა და რესპუბლიკის პარტკონფერენციაზე დ. სტურუას ჩემ წინააღმდეგ გამოყვანილი ვ. ცქიტიშვილი და ვ. მელქაძე (მერე სტურუა თავად აქეზებდა ჩემ წინააღმდეგ ვ. მელქაძეს, რომელიც თავდაპირველად მე მამხედრებდა მასთან, რათა იგი ჩემ წინააღმდეგ თავის ავანტიურისტულ მაქინაციებში ჩაეთრია).

მე ჯერ კიდევ დეკემბერშივე ბ.წ.-ს ვთხოვე პ.მუჟანას. ძესთან მიღება, მაგრამ სტურუამ, ეტყობა, ჩამკეტა. დღემდე არ მივსულვარ, თუმცა ამ ორიოდ დღის წინათ მისმა მდივანმა პ.ბოგლიძემ მითხრა, მალე მიგიღებსო.

ბოლოს ისე დამთავრდა, რომ 21.03.67 ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე მე გამანთავისუფლეს „საქართველოს ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარია მთელი უბედურებისა. ჟურნალი მთლიანად გადასცეს საგეგმო კომისიას, შეუცვალეს მას სახელიცა და, მაშასადამე, მთელი მიმართულება, ტერმინოლოგია და სხვა, რის შექმნასა და დანერგვაზე თითქმის 20 წელიწადია, რაც ვიბრძვი და რასაც მთელი ჩემი ვაჟკაცობა და მეცნიერულ-ლიტერატურული ენერგია შევწირე.

დავრჩი ცემულ-გვემული შედეგად დაბეზდებისა ხსენებული ჯგუფების მხრივ. ვერ შევძელი სიმართლე მეთქვა პირველ მდივანთან, რადგან არ მიმიშვეს მასთან, ანდა ისიც ისე გადამამტერეს, რომ არ მიმიღო მან.

რამდენი უსამართლობა, რამდენი სასჯელი, რაოდენ ჯიუტი და გულქვაა პარტიული ბიუროკრატია, რომ ვერ შევძელი შემეღწია და სიმართლე მეთქვა და თუ ეს ვერ შევძელი მე, ჟურნალის რედაქტორმა, ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა, ცნობილმა მეცნიერმა, წარმომიდგენია, რაოდენ საბრალოა ხალხი, თვით ინტელიგენცია ამგვარი ყრუ და შეუბრალებელი პარტიული აპარატის ხელში. ხელში აპარატისა, სადაც საკმაოდ ბევრი, როგორც ჩანს, გახრწნილი, თახსირი, გაუმაძღარი, მექრთამე, გარყვნილი სულიერად და ხორციელად, დაუნდობელი, თვით საკუთარი ცოლ-შვილის სხეულით მოვაჭრე და თხემით ტერფამდე ბინძური კარიერისტული ზრახვებით აღვსილი ადამიანები, რომელთაც აწავითარი შემაკავებელი საზღვარი მონაღლის სფეროში არ გააჩნია, რომელთათვისაც მოტყუილება — ხელოვნებად, შეცდენა — ოსტატობად, დაბეზდება — ჩვეულებად, მოსყიდვა და მოქრთამვა — თანამდებობრივ საქმიანობად, უფროსთა წინაშე მლიქვნელობა — მოვალეობად, ხელქვეითთა აბუჩად აგ-

დება — ზნეობრივ კანონად, ქურდობა ზე კერძო თუ სახელმწიფო დოვლათთა მითვისება — მოსაქმეობაში განჯრთილება, ცილისწამება — მჭერმეტყველებად, მოკეთის გალანძვება — ენამახვილობად, სხვისი ოჯახისა ზე სულიერი სიმშვიდის დარღვევა — ვაჟკაცობად, სამსახურებრივი კარიერა — უწმინდეს მისწრაფებად აქვთ გადაქცეული.

სულ ახლახან, გუშინ, კვირას, 26 მარტს, დღის 11 სთ-ზე დამირეკა აკად. ბ. წერეთელმა. ბხლა ის ი. ღოლიძის ნაცვლადაც მუშაობს აკადემიაში. მითხრა, ჩემთან შემოიარეო. მივედი მასთან ბინაში. წინა დღეებში ჩვენთან მოსკოვიდან ჩამოვიდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, კელდიში, თავისი თანმხლები პირებით, რომელთა შორის იყო აკად. ნ. ბ. ჭედლონკო, ეკონომისტად აღიარებული ინჟინერი, რომელსაც ახლა ამ სფეროში დიდი გავლენა აქვს. ბ. წერეთელი ჯერ კიდევ ადრე აწრიალდა.



მკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი

31. 12. 67

საღამოს 11 საათია. მრთი საათის შემდეგ 68 წელი იწყება. 1967 წელი ჩემთვის საკმაოდ ქარიშხლიანი იყო.

ბევრი ასაღელვებელი და სადავიდარაბო ამბავი შემხვდა. უმთავრესად აკადემიაში არჩევნების და, განსაკუთრებით, ჟურნალის ხაზით. რედაქტორობიდან გამათავისუფლეს სულ მუხთალი და ვერაგი მტრების მხრივ, ზურგიდან ჩაცემული დანების, დაბეზღელებისა და დასმენების შედეგად ისე, რომ თავის მართლების, სწორი ინფორმაციის მიწოდების სამუშაოება არ გამაჩნდა.

ბრჩევნები აკადემიაში წელს უნდა ყოფილიყო. იმდენი ხრიკები შეთხზა პრეზიდენტმა, რომ ჩაატარეს მხოლოდ წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები, რაც უშუალოდ არ მესებოდა მე, მაგრამ მაინც დიდი ჯაფა და განამანია დამჭირდა, რომ ჩემთვის სასურველი კანდიდატი გამეყვანა, ხოლო ნამდვილ წევრთა არჩევნები ვითომ 1968 წელს უნდა იყოს, მაგრამ უკვე მემუქნებიან, რაკი ბევრს ვაწყენინე და მრავალი მოვიმდურე, მათ შორის ყველაზე ძლიერნი ამა ქვეყნისათა. ოქნებ სულაც არ გამოაცხადონ ვაკანსია ჩემთვის, ანდა თუ გამოაცხადებენ, ხელი შემიშალონ და მე ჩამომაცილონ. ჩემი საიუბილეო კრებული, რაც 1965 წელს უნდა გამოსულიყო, ახლაც გაჩერებულია. ბ.ზასიას მიერ დაწერილ ჩემს ბიოგრაფიაში მეტისმეტი ქება დაუნახავთ ჩემი. ჯერ დაადგინეს, დიდიან და 20 გვერდამდე შემცირდესო, ახლა რომ შემცირებული და სხვა მასალა წარადგინე, სულ უნდა ამოვიღოთო, ბიოგრაფიული მასალააო, უთქვამთ და ახალ ამბადებს ბ.ზასია შემავსებელ მასალას, რაც საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის საკითხების სახითაა წარმოდგენილი და თუ ამით ყოველივე დამთავრდა, კიდევ კარგი.ოლონდ ისაა, რომ ძალზე შევცდი, რომ დავთანმხდო ასეთი კრებულის ჩემთვის მიძღვნას. ბმისთვისაც ისე მტკიცე უარი უნდა მეთქვა, როგორიც საზიემო საიუბილეო საღამოს მოწყობაზე ვთქვი. პაცი, რომელსაც იმდენი მტერი ყავს, რამდენიც მე, საჭიროა სულ ფიქრობდეს და ზრუნავდეს იმისთვის, რათა რაც შეიძლება შეუმჩნეველი იყოს, თვალში არავის ერხირობოდეს, რაც მე მიძნელდება, რადგან ეგ ხომ ქურდებისა და მავნებელთა, ეროვნული ინტერესების გამყიდ-

ველთა ხვედრი უნდა იყოს. ბაბ წატომ უნდა ვიძალეობდეს, ანდა წოგორ შემიძლია ჩრდილში ვიყო, თუ მინდა ვიმუშაო, ვწერო, ვბეჭდო და გავლენა მოვახდინო საზოგადოებაზე, ჩემს ქვეყანაზე მისი გაუკეთესებისათვის, მისი განვითარებისა და პროგრესისათვის?

ვნახოთ ახლა, თუ გავუძელი საერთოდ ამდენ შემოტყეებსა და ბრძოლებს, რაც რაღა დასაძალია, ძნელი ხდება სულ უფრო მეტად ჩემთვის, რამდენადაც უკვე 62 წელი გადავგორე და სიბერე შემომეპარა, მუხთალი და აუცილებელი, რასაც ვერსაით ვერ გავექცევი, ოღონდ ის კია, უნდა გავუმკლავდე, სანამ შესაძლებლობა მექნება.

თუ ბედმა გამიმართლა და 1968 წელს მაინც მოხერხდა და აკადემიის ნამდვილ წევრად ამირჩიეს, მერე კი ცხადია, ყველაფრით შევეცდები უფრო მშვიდად და რამდენადმე მაინც დანყნარებულ ცხოვრებაზე გადავიდე. საქმე ისაა, რომ ჩემს ოჯახს, ჩემს ბავშვებს სწორედ ახლა ჭირდება გამძლეობა და მარჩენალი, რათა მარჯვე გზაზე გამოვიდნენ და შეძლონ ჩემი კვალის თუ არა, შემდგომი გაფართოება, გაგრძელება მაინც და პიონათლად და მაღალ დონეზე ემსახურონ როგორც თავის თავს, ისე ქვეყანას, სამშობლოს, ქართველ ხალხს, რომელთანაც მე არასოდეს ვალში არ დავრჩენილვარ და რომლისთვისაც მთელი ჩემი არსებით, ენერგიით, ნიჭით, შესაძლებლობით გულსწრულად მიმსახურია.

ჩემს ოჯახს — ნინოს და მე, ყველაფერი, რაც გავგაჩნია, პიონათლად, კეთილსინდისიერი და თავგამოდებული შრომით შეგვიძენია და მთელი ჩვენი წარმატება საბოლოო ანგარიშით ჩვენი ქვეყნის წარმატების სახით გვაქვს წარმოდგენილი.

ბი, დღესაც, მეცა და ნინოც მთელი დღე სახლში ვართ და ვმუშაობთ. ის წეცხავს, აუთოვებს, აცხობს, ხრაკავს, სწვავს, ამზადებს სხვადასხვა საჭმელს და ამ წუთშიც ალაგებს და სუფრას, საახალწლო სუფრას შლის.

ბმ წუთში ბიჭები წყნეთში არიან. ოსინი იქ თავის მეგობრებთან, ჭაბუკებთან ერთად ხვდებიან ახალ წელს. დეე ილაღონ, სანამ მე ფეხზე ვარ, ამის საშუალება მათ ყოველთვის

ექნებათ და ჩემი წადილია, მერეც, ჩემს მერეც, უფრო ბედნიერი და წარმატებულნი იყვნენ, მშობლების სასიკეთოდ და ქვეყნის სასარგებლოდ და საამაყოდ.

ბახლა უკვე 12-ის ნახევარია. რეკავენ უფრო და უფრო ხშირად, ტელეფონით გვილოცავენ ახალ წელს. ბრც ჩემმა მოწაფეებმა დამივიწყეს და გულთბილ სიტყვებთან ერთად სხვადასხვა სურსათ-სანოვარე, ხორბაგი გამოაგზავნეს – გოჭები, ინდაურები, ღვინო, ხილი, მანდარინები, ჩურჩხელები და სხვა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეც არ მაკლია და შემძლია შევიძინო, მაგრამ ასეთი ძღვენი იმათგან, ვისაც არავითარი დაქვემდებარება და ოფიციალური ვალდებულება ჩემგან არ აკისრია, არც მათი უფროსი ვარ და სხვა, ვიყავი მხოლოდ მასწავლებელი და კეთილისმყოფელი, სიძნატანს უნდა ითქვას, მსიამოვნებს. მუნდაც ის იყო სულ მცირედი და მით უფრო, რაც მცირედაა. ერთ-ერთ ასეთ ყოფილ მოწაფე მეგობარს რომ ვუსაყვდურე, მითხრა – რა ჯენა, ბატონო, ეს ხომ ჩვენში ახალი წლის მილოცვის ფორმაა და მეტი არაფერი. ბლბათ ძველად, როდესაც მოლოცვის წერილები ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ცხოვრებაში, ასე ულოცავდნენ და ნუ დაგვიშლით.

1969 წელს გზვდები ახალი წიგნით «Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX-XX Т. I.». ზელნანერი გადაცემული მქონდა გამომცემლობისთვის წელიწადნახევრის წინად. ბწყობა დაიწყო ჯერ კიდევ მაისში, მაგრამ ჯანჯალით მიდიოდა და მთელი სამუშაო თითქმის ნოემბერ-დეკემბერზე მოდგა. ბსე რომ, ამ უკანასკნელ თვენახევარში ორჯერ წავიკითხე მისი კორექტურა. მს მით უფრო საჭირო იყო, რომ წიგნი რუსულად გამოდის და არც ამწყობმა და არც კორექტორმა რუსული ხეირიანად არ იცოდნენ, ორგზის საავტორო მრავალშეცდომიანი კორექტურის წაკითხვამ თვალეზი გამიფუჭა და ახლა ერთი კვირა, ვეჭიბობ, წვეთებს ვისხამ პიპეტით და ეტყობა, მშველის. მქიმი მეუბნება, ერთი კვირა კიდევ და სულ გაივლისო. მს 4 დღეა,

კალამი ხელში არ ამიღია და ძლიერ ცოტასაც ვკითხულობ, თვალებს ვასვენებ, უიმისოდ ხომ ჩემი ცხოვრება ჩამქრალი კერასავით იქნება. შეიმიც მირჩევს ძლიერ დაბეჯითებით: სულ არ იკითხო და არ წერო. წელს 2 წიგნი მაქვს გადაცემული გამომცემლობისთვის, ორივე გეგმაში ვის. მართი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ — სოციალ-გოური მტიუდების პირველი ტომი და მეორე — გამომცემლობა „მეცნიერებაში“ — ვ. მარქსი...

თუ ორივე წლის ბოლომდე გამოვიდა, ცხადია, დიდი მიღწევა იქნება და წელიც არ ჩაითვლება მოუსავლიან წლად. მით უფრო, თუ აკადემიის მომავალ არჩევნებშიც არ მიმუხთლეს ჩემმა ძველმა „მეგობრებმა“ და კარტები არ ჩამიწყვეს.

ჯანმრთელობაშიც არაა მიშავს რა, თუმცა გული ისევ ხშირად მაშინებს. უნდა ვეცადო, როგორც ამ წიგნებისა და არჩევნების საქმე კალაპოტში ჩადგება, სადმე დავისვენო.

ბუშინ 10. 01. 69 ღამის პირველ საათზე ტელეფონით დავუკავშირდი პარიზს — პროფ. ვ. სალიას და ნ. სალიას. ეს გავაკეთე გამსახურდიების თხოვნით. მინანდა ძალიან მძიმედაა ავად საშვილოსნოს კობოთი. თანაც თრომბები ფეხისა ძლიერ აწუხებს. ბუშინწინ იყო კიდევ ახალი კონსილიუმი. მოსკოვიდან გამოიწვიეს ვიღაც გამოჩენილი სპეციალისტი და ყველამ ერთად თქვა, ავთვისებიანი სიმსივნეაო. ჯერჯერობით კონსტანტინეს ყველაფერს უმაღავენ. ისიც არაა კარგად და ემინიათ, რაიმე არ მოუვიდეს.

ჩემთან მოვიდნენ თამარიკო და ზვიადი და მითხრეს, დამერევა პროფ. ვ. სალიასთან, რადგან იქ შეიძლება შეძენილ იქნეს რაღაც სავსებით ახალი წამალი, რასაც დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის საქმეში.

ბუშინვე ადრე ველაპარაკე საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. მიგოშვილს, რომელმაც მასწავლა ამ წამლის სწრაფად გამოგზავნის გზა.

28.02.69

მივდივართ მოსკოვს მე 3-4 წინიჩკა ათიოდე დღით, თან მიმაქვს 1900 მანეთი. 3-4 მარტს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკური განყოფილების საერთო კრებაა, მერე საკონფერენციო თათბირი 3-4 დარგობრივი სამეცნიერო საბჭოების სხდომები.

სოტა არ იყოს, რთულ ვითარებაში მივდივართ, ხვალ-შეგ გაზეთში ალბათ იქნება ჩვენს აკადემიაში ახალი ვაკანსიების შესახებ განცხადება. დაიწყება ახალი აკადემიკოსების არჩევა 3-4 უნდა იყოს ჩემთვისაც ადგილი. ეს იქნება ჩვენს აკადემიაში ეკონომისტის ნამდვილ წევრად არჩევის პირველი შემთხვევა, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა მაინც ყოველივე რიგზე იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებენ ყველანი.

11.04. 69

პარგა დრო გავიდა. დღიურებისთვის ველარ მოვიცალე. ბათსი რამე გადაება ერთმანეთს.

მოსკოვიდან კმაყოფილი დავბრუნდი. მგონი ერთი კარგი საქმეც გავაკეთე. სსრკ აკადემიაში 1970 წლის რედაქციების გეგმაში ჩაჯდა ჩემი წიგნი — «Развитие промышленности в Закавказье» — 40 თაბახიანი. წელს, სექტემბერ-ოქტომბერში უნდა ჩავაბარო ხელნაწერი. მტყობა, საქმეს ცუდი პირი არ უჩანს, თუკი მე მოვასწარი ტექსტის მომზადება.

ჩვენს აკადემიაში ვაკანსიები მართლაც გამოცხადდა 6 მარტს. მე კიდევ მოსკოვს ვიყავი. ძხლა ჩემი კანდიდატურა უკვე წამოყენებულია. მართი ადამიანი მყავს კონკურენტად — ირაკლი მიქელაძე. იგი შარშან წევრ-კორესპონდენტობაზე გააშავეს 3-4 წელს ერთი ანეგდოტისა არ იყოს, უფრო დიდი მოუნდა. მნახოთ, შეუძლებელი კი, კაცმა რომ თქვას, ამქვეყნად არაფერია. მას კი, ეტყობა, ეს არჩევნები აკადემიაში

კამათლის გაგონებასავით ნარმოუდგენია, იქნებ დუშაში
დამიჯდესო!



03.05.69

ამ დავიდარაბაში ჩემი ჯანმრთელობა ზე ნერვები კი პირ-
ველ რიგში ზე გულიც, მამასადამე, ძლიერ დაუძლურდა. ამ
თრიოდე კვირის წინ კინაღამ გზაზე მე ზე ვ.ჩანტლაძის
სეინობისას, საღამოს შინისკენ რომ მოვდიოდით, კინაღამ
წავიქეცი, ფეხები გამიჩერდა ზე მერე ის იყო, ძლივს ამოვალ-
წიე სახლში. ბუშინ კი საღამოს გულის შეტევა მქონდა ისევ
ისე. მუცლის არეში დაიწყო, მერე, უფრო რომ იმატა, ექი-
მები, ნემსები, თბილი წყალი ზე სხვა. ზე ბოლოს, როგორც
იქნა, მოვმჯობინდი. დღეს არა მიშავს, ექიმში არ გამომი-
ძახია, არც წამლებს ვღებულობ. ბსე მინდა ზეგამდე, ხოლო
მერე ანალიზები ზე სხვა.

ბუშინ ვ.ბამსახურდიასთან ვიყავით მე ზე წინიჩკა,
დიდხანს დავრჩით. მიწანდა ავადაა. კონია ჯახირობს. ვნა-
ხოთ, ღმერთმა ქნას, ერთხნობით მაინც ასე გასწიონ.

29.05.69

დღეს ო.ბ.-მ დამირეკა (აკადემიის საზოგადოებრივ მეც-
ნიერებათა მდივანი), რომ მუხანაძესთან იყვნენ ზე როგორც
აპირებდნენ, სთხოვეს ირ.მიქელაძისთვის დამატებითი ადგი-
ლი ზე მიუციათ. ბხლა კენჭს ორივე იყრითო. ორი ადგილი
იქნება ზე ასე უმტკივნეულოდ გაკეთდება ყველაფერიო.

30.05.69.

შს დღეები ვ.ბამსახურდია ხშირად მირეკავდა ზე ორიოდე
სიტყვით ათავებდა ლაპარაკს. შენი ნახვა მენატრება, ავად
ვარ, ვწევარო. ვერ მოვალ მეთქი, მეც დავარდნილი ვარ,
კიბეებზე ამოსვლა არ შემიძლია მეთქი ზე სხვა. ოჰ, როგორ
იფერფლება ეს ოჯახი, რომელიც თითქმის სულ მთლიანად

ჩემი თვალების წინ წარმოიქმნა ზე გაიზარდა, როგორ სი-
ლიერეს მიაღწია, როგორ გაიფურჩქნა ზე ახლა როგორ
ჭკნება. უყვილა როდი უთქვამთ ძველ რომაელებს, დაფნის
გვინგვინიც ჭკნებათ. პონსტანტინე ძალზე ცუდად არის,
მირანდასაც ხომ განუკურნებელი სენი ჭირს. ეს ხმირ-ხმირი
ტელეფონით საუბარი იმით აღინიშნა, რომ თურმე მათ
გადაუწყვეტიათ ფორმალურადაც აღადგინონ თავიანთი ქონ-
წინება, რაც არც კი მახსოვს, როდის იყო. მეგი წულუკი-
ძესთან პონსტანტინეს ამიკობის დღეებში ეს ქონწინება
ოფიციალურად განყდა. განქონწინებას მოითხოვდა ორივე
მხარე. მე ვუშლიდი, მაგრამ ბოლოს მირანდამ მაინც თავისი
გაიტანა, გააფორმეს განქონწინება, დაიწვავ თვით პათალი-
კოსის მიერ შეკრული ცოლქმრული კავშირი. მერე ბევრმა
წყალმა ჩაიარა. დიდი ხანი არ გასულიყო, რომ ფაქტიური
ქონწინება აღდგა ზე ერთად კვლავ მეგობრულად ზე შეხმა-
ტკბილებულად დაიწყეს ცხოვრება. მას მერე 2 ათეულზე
მეტმა წელმა გაიარა ზე აი ახლა ჩემთვის სულ მოულოდ-
ნელად, სულაც არ მახსოვდა ის ამბები, პონსტანტინემ
მოინადრინა, მითხრა, ჩვენი გაუქმებული ქონწინება უნდა
აღვადგინოთო. მე გარეთ გასვლა არ შემეძლო, წინიჩკა
წაიყვანეს. ბქ გამოიარეს ავტოთი ზე წავიდნენ. როგორც
ახალდაქონწინებულთ, მოუწერიათ ხელი. წინიჩკას მისი ზე
ჩემი გვარებით ზე სახელებით დაუმონებია, თანაც წინიჩკამ
აქედან დიდი თაიგული წაიღო ზე ერთი საჩუქარი ("პენუანი"
მირანდასთვის). ბევრი უცინიათ პონსტანტინეს ზე მირანდას,
თითქოს მართლა ახალი დაქონწინებულები ყოფილიყვნენ ზე
სხვა.

წინიჩკა დაღონებული დაბრუნდა, ეცოდება ორივე, ვის არ
შეეცოდება. ზელმოწერის ინიციატივა ეტყობა, მირანდასგან
მოდის... ბქ მთავარია არა ეს აქტი, არამედ მისი გაკეთების
მოთხოვნილება ზე დროულობა. ბმით ორივე ხელს აწერს
რაღაც საოცარ ენით გამოუთქმელ ზე კალმით აღუწერელ
აქტს ბღსასწულის მოახლოებისა. რა ბედენაა, რომ ორივე
ამას გრძნობს, ხედავს. ბდამიანური გონება ზე გული

განიცდის ზე მაინც ყოველივე ამათა, ყოველი შეუბრუნებელი
თავის გზით უნდა წავიდეს, ხოლო ჩვენ გულხელდაკრეფილი
უნდა ვუყუროთ, ვუცქიროთ ზე უმოქმედონი, უსიტყვონი, მიუთ-
ხრობელნი უნდა ვიყოთ იმ საოცარი წამისადმი, წასაც
ატლასრული ჰქვია.

რა დიადია ზე რა საცოდავი ადამიანი!

საოცარია, რამ მომავონა ახლა, რაც მეორე მსოფლიო
ომის წინა წლებში იყო. მე მგონი 1939 წელს პონსტანტინემ
მანქანა იშოვა ერთი დღით, მომავალ კვირას მანგლისში
წასვლა გადაწყვიტეთ. ბიას (ბამყრელიძე) ქალების შოვნა
დაევალა, მე — მანგლისში სადილის ორგანიზაცია. კვირა
დილას აღრიან შევიკრიბეთ. პონსტანტინე ავტოთი მოვიდა.
ბიამ პირი შეირცხვინა ზე სამის ნაცვლად ორი ქალი
მოიყვანა, მეტი მაინც ვერ ჩავსხდებოდითო. პონსტანტინემ
იყვირა, აკერ მეორე მანქანა სადაცაა უნდა მოვიდესო, არც
ის მოვიდა. უკვე 10 საათი იქნებოდა, რომ აქედან გავედით.
ყველაზე მსხვილი, ბია, წინ დავსვით, რაც პონსტანტინეს
ძალიან არ უნდოდა. ქალები ახალგაზრდები იყვნენ, კარ-
გებიც. მართი უკვე გაყრილი, ხოლო მეორე, უფრო ნაკლებ
ლაბაში, ქალწულად ითვლებოდა. როგორც კი ქალაქს
გავცდით, პონია წინ დავდა. ჩვენ, ოთხივენი უკან. მართი
ქალი რიგრიგობით მუხლებზე გვეჯდა ბიას ზე მე. მანგლისში
უწინარეს ეკლესიის ეზოში შევედით. ზაფხული იყო ზე სიგ-
რილე გვეამა. ბიას ეტყობოდა, ძლიერ მოწონდა ქერა
„გოგონა“, ნაქმრევი. მე ზე ბია ცოტა ხნით წავედით სახლისა
ზე სადილისათვის. სადილი სადმე სახლში გვინდოდა, სადაც
მერე „დავისვენებდით“ ზე არა სასადილოში.

მზაზე ბიას ვუთხარი, ქალები გავინაწილოთ მეთქი.
დათანხმდა. წილი ვყაროთო. დავეთანხმე. მაშინვე 2 თითი
მიჩვენა, აინჩიეო, ავირჩიე. მითხრა, შავგვრემანი (გაუთხო-
ვარი) გერგოო. ყაბულს ვარ მეთქი. როდესაც საყდრის
ეზოში დავბრუნდით, პონსტანტინე ატრიალებდა ქერას. ისიც
ტუჩებში კოცნის ნებას არ აძლევდა, სხვაგან: ბამ უსტა!

სადილად წასვლის წინ მია საბოლოოდ გაერკვა ვითარებაში. ქერას კონსტანტინე ეპატრონებოდა. მიოხნა, ხოვ ხედავ, იმას კონსტანტინე ისაკუთრებსო. მე ვუთხარი, სხვა გზა არაა, შენ მეორე იქნები რიგში მეთქი. მია შეცბა. მან იცოდა, წილის ყრაში მე რომ „მომატყუა“, მეც ვიცოდი რომ თითოთაგან ნებისმიერი შეეძლო ნებისმიერ ქალად მიეჩნია და გამოეცხადებინა. ბხლა ისიც იცოდა, რომ მე სხვა ვარიანტზე უკვე ლაპარაკსაც არ გავმართავდი და თავი ჩაქინდნა. იმ სახლში 2 ოთახი იყო. წასადილეც მიას დიდხანს მოუხდა „სასარგებლო“ სეირნობა ქუჩაში, მხოლოდ სადამოსთვის იჯერა კონსტანტინემ გული და მერე მიუშვა მია. მზაზე სულ კონსტანტინე ოხუნჯობდა, მიას ისიც კი აკადრდა, მძლის მოყვარული ხარო. მე თავს ვიკავებდი მეტისმეტი ხუმრობისაგან. ქალები სულ ხონხოცობდნენ. მბილისის მახლობლად გზაზე ერთგან შევჩერდით. უკვე დაბნელებული იყო. მიას ვუთხარი, ხომ არ გინდა მეორეც მეთქი. პასუხი არ გაუცია, დაცინვად მიიღო. კონსტანტინემ მაინც ნამეტანები უთხრა.

კონსტანტინეს მერე მიას ქვრივი — მამარი — ძლიერ ეცოდებოდა და ეხმარებოდა.

1970 წელი

1969 წელმა, განსაკუთრებით მისმა დეკემბერმა გრივალევით გადაიგრიალა ჩემს თავზე. 9 წელიწადია ვუცდიდი ბკადემიაში არჩევნებს და ბოლოს ისე მოეწყო, რომ ჩემმა მტრებმა მთელი თავისი სიავე ჩემზე გადმოდანთხიეს. ჯერ იყო და მარტში გამოცხადებული ვაკანსიების შემდეგ არჩევნები 9 თვით გააჭიანურეს. წესდების თანახმად, ის მაქსიმუმ 3 თვეში უნდა გამართულიყო. გააჭიანურეს — სანამ არ შეძლეს ჩემ წინააღმდეგ ძლიერი დაჯგუფების შექმნა. მე ფრთხილად არახელსაყრელ სიტუაციაში მოვყევი.

გამაშავეს 0,3 ხმით. 50 აკადემიკოსიდან კრებას ესწრებოდა 47. მე მივიღე 33 დადებითი და 14 უარყოფითი ხმა.

ასე რომ, შავი ახალი წელი გამოითენეს, ჩამამწანეს ყველაფერი, წამაქციეს, სახელი გამიტეხეს, ჩირქი მომცხეს და ეს დევნა წამდენი წელიწადია, რომ გრძელდება. შურნალ-გაზეთებს ფაქტურად აკრძალული აქვს ჩემზე რაიმე დადებითი ინფორმაციის დაბეჭდვა. ბამომცემლობებში საგანდებოდ ჭიანურდება ჩემი წიგნების ბეჭდვა.

ბრ ვიცი, საბოლოოდ როგორ ავიტან ყოველივე ამას. ჯერჯერობით გული მიძლებს, მაგრამ ვატყობ, მეტად დაძაბული მდგომარეობის ატანას ჩემი ნერვიული და გონებრივი, ფსიქიკური სისტემა ძნელად თუ გაუძლებს. ვფიქრობ, დავივიწყო, მოვიშორო ეს შავი დარღები, მაგრამ ვერა. ძილი, რაც ჩემი ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო წამალი იყო, საბოლოოდ გამიტყდა. დღე-ღამეში სამიოდე საათი თუ მიძინავს.

ბრ ვიცი, წამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე და არც ის, თუ წამდენ ხანს გავუძლებ ასეთ გაუსაძლის და უაღრესად დაძაბულ მდგომარეობას.

08.02.75

3. გამსახურდიასთან ვიყავი, შედარებით კარგად გამოიყურება, მეხსიერება კარგი აქვს, მაგრამ როგორც ადრე, მინორული განწყობილება იპყრობს. მითხრა, ეს ჩვენი ცხოვრება ზღაპარი და ჩმახიაო. რომ გახსოვს ბრძნული ხალხური, ბინდისფერია სოფელი...

მავისი ახალი წმლის, მანანასი, კმაყოფილია, კარგად მივლისო. მზია რომ გააგდეს, რომელიც მისთვის ყველაფერი იყო, უკვე აღარ დარდობს. ჩანს, ამ ახლადშექმნილი მისი ოჯახის სიტუციას შეეგუა.

16.05.75

ვიყავ 3. გამსახურდიასთან, სულ 20 წუთით დავჩი. მიღუღლია, იწვის როგორც სანთელი, გონება მაინც საღი აქვს, ლაპარაკობს გასეირნებაზე, როცა დათბებაო.

მისაყვედურა: დიდი ხანია, რაც მასთან არ შემივლია. შენ მაინც ჩემი ყველაზე ერთგული მეგობარი ხარო, არ დამივიწყო, საყვარელოო... ბული მეტკინა, შემეცოდა ძლიერ. პერ ვუთხარი, რომ მე თვითონ საცოდავი ვარ და უიმედობით შეპყრობილი და ფიზიკური თვითგანადგურების გრძნობისა მეშინია ძლიერ.

01.06.75

თებერვლიდან მოსვენება აღარა მაქვს. დაიწყო აკადემიის საერთო კრებიდან (20.02). ე. ზარაძემ გამწირა. ბაკაძემის მთელი თვითკრიტიკა ეკონომიკის ინსტიტუტზე გადაიტანა...

მერე გამოვიდა ე. შევარდნაძე, ჯერ ვითომ შემაქო, გაუთხოვით, მთელი ცენტრალური კომიტეტი თქვენს დიდ მეცნიერულ ავტორიტეტს პატივს ვცემთო და დაიწყო მისთვის ე. სეხნ.-ის მიწოდებული ანასწორი ინფორმაციის გადმოლაგება და საბოლოოდ გალანძლა ინსტიტუტი და ცხადია, მეც. მერე გაზეთში ეს ამბავი ბევრად უფრო მკაცრად დაბეჭდეს.

ვითომ მინელდაო და 16.03.75 გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ბ. ლებანიძის „რეპლიკა“. მისი მიზანი ისევ ჩემი დამსახურების გაბიაზრება იყო. მერე ათასგვარი დევნა და შევიწროება. თურმე კიდევ ერთი დიდი მუხანათობა მოუშაღებიათ ჩემთვის აკადემიაში.

1974 წლის მაისს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ ამიწრია დირექტორად ახალი ვადით. თურმე ეს არჩევა საერთო კრებას აკადემიისა აქამდე არ დაუმტკიცებია. 31 მარტს საერთო კრებაზე ჩემი დამტკიცების საკითხი არ გაუტანიათ. ყველაფერი ისე, რომ მე ამის თაობაზე არავითარ ინფორმაციას არ მანვდიან, მიმაღავენ ყველაფერს. მერე შემთხვევით გავიგე სოხუმში... თურმე საზოგადოებაში ამაზე მთელი მითქმა-მოთქმა ყოფილა.

როდესაც თბილისში ჩამოვედი, ბაკაძეშიაში მითხრეს. საბოლოოდ ამას ცენტრალური კომიტეტის ნებართვა უნდაო და სხვა. ბახლა 29 მაისს პრეზიდიუმში განიხილეს „პრავ-80

დაში“ ჩემზე „რეპლიკის“ საკითხი ზე კიდევ უფრო გამლან-
ძღეს, მითითება მომცეს (მერე შენიშვნით შეუცვლიათ).

ყოველივე უნდა ავიტანო, რისთვის? მეცნიერების სიყვან-
რულისთვის, იმ მეცნიერების სამსახურისთვის, რისი რაობა
ზე მნიშვნელობა ბევრს სწულებით არ ესმის.



მეგობრები და თანამებრძოლები პ. ბუგუშვილი, ბ. ზასია და ვ. ჩანტლაძე

03.06.75

შაბათს წყნეთში მოვიწამლე. ბამირთულდა ნაღვლის
ბუშტის ანთება ზე გულიც, ცხადია. იქიდან ღამის პირველ
საათზე ჩამომიყვანეს სასწრაფო დახმარებით, ძლივს მომაბ-
რუნეს. მოწამვლის შედეგებმა მალე გაიარეს, მაგრამ ბოტ-
კინის შიშიც აქვთ.

ბადავზჩი. ბოტკინი არ აღმომაჩნდა. მესამე დღეს სამ-
სახურში მივდივარ.

08.12.75

ბგვისტოს 29-ის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის
შემდეგ კიდევ გაძლიერდა ჩემი დევნა. დღეს კიდევ ერთი

საინტერესო რამ შევითქვე. ბკად. ს. ყაუხჩიშვილის 80 წლის-
თავის იუბილე იყო უნივერსიტეტის დარბაზში. სხვათა
შორის, მეც მივართვი ადრესი და ორიოდე სიტყვა ვუთხარი
ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით. მერე იყო
მხატვრული ნაწილი. უჩვენეს კინონარკვევი „ივ. ჯავახი-
შვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, რაც წინათაც უჩვენებიათ
და ზოგიერთ ჩემს მეგობარს — პროფ. ვ. ჩანტლაძეს, ბ. იოსე-
ლიანს და სხვას უნახავთ. ბქ ყოფილა ნაჩვენები ის ერთი
ნაწყვეტიც, სადაც კ. გამსახურდია და მე გამოვდივართ უნი-
ვერსიტეტის კინოსტუდიაში, რაც 1972 წელს გადაიღო ოპე-
რატორმა ბებელაშვილმა. ვასომ მითხრა, დარჩი, რაკი არ
გინახავს, ახლა ნახე და მეც დავჩეხბიო. უჩვენეს, მაგრამ ის
ნაწილი, სადაც კონსტანტინე და მე ვართ, გამოვდივართ
ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ —
უკვე ამოუღიათ.

1976 წელი

პირველი იანვრის დამდეგს, 31 დეკემბრის მიწურულს,
ჩემთან იყვნენ და ერთად შევხვდით ახალ წელს: ნონა, ლიანა
ბულო, ბესო, პაატა (პატარა), ბოგიკო და ქაკო და მე, 10
კაცი, მთელი ჩემი ოჯახი. პარგად გიმხიარულეთ. დავლიეთ:
ღვინო, კონიაკი, ლიმონათი, ბორჯომი და გიახელით მრავალ-
გვარი: ხაჭაპური, თევზეული, ხორცეული, ნამცხვარი და სხვა.

18.02.76

საქ კპ 25-ე ყრილობაზე ე. შევარდნაძემ მაგრად მიმა-
მუშავა — პარტიული პრინციპული კრიტიკის სახით, რაც სულ
ცილისწამებაზეა აგებული. ინფორმაციას ისეთი, განზრახ
გაკეთებულს, დაბეზღებითი ხასიათისა. მე ვიყავ ყრილობის
დელეგატი, რისთვისაც მადლობელი ვარ.

19.07.76

დღეს, 19 ივლისს, პირველად მივდივარ ინსტიტუტში, როგორც მისი განყოფილების გამგე. ჩემ მიერ დაარსებულ ინსტიტუტში, სადაც 1944 წლის ბპრილიდან აქამდე ვიყავ დირექტორი — 32 წლის მანძილზე. ჩემმა მტრებმა გაიმანჯვეს, რასაც ახლა ისინი ზეიმობენ, მაგრამ ეს გამანჯვება მხოლოდ პირადად ჩემზე გამანჯვება რომ იყოს, ბევრად უფრო ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ დროებით მაინც გაიმანჯვეს იმ საქმეების წინააღმდეგ, რასაც მე აქამდე ვაკეთებდი, იმ საქმეების ნაწილზე მაინც ზე ამიტომაც ეს ჩემთვის უფრო სამწუხაროა, თორემ პირადად ჩემთვის 32 წლის დირექტორობის შემდეგ იქნებ უკეთესიც იყოს ადმინისტრაციული მუშაობისაგან განტვირთვა ზე განთავისუფლება, რადგან დარწმუნებული ვარ, საკუთრად მეცნიერული მუშაობის მხრივ ასე უფრო მეტს გავაკეთებ, თუნდაც უფრო იმით, რომ მეტი დრო მექნება. მაინც ვნახოთ, როგორ იქნება. ჯერ კიდევ ვგრძნობ, რომ მუშაობა ერთხანს კიდევ შემეძლება.

03.10.76

დღეს, ამ დღეს ჩემთან მოვანყვე გამსახურდიას ხსოვნის შეხვედრა, რაც, თუ ცოცხალი ვიქნე, მინდა ყოველწლიურად აღვნიშნო. საქმე ისაა, რომ მისი გარდაცვალების წლისთავი არ აღნიშნეს. ჩვეულებრივ პატარა, ზოგჯერ სრულებით უმნიშვნელო მწერლის გარდაცვალების წლისთავს აღნიშნავენ, ვეებერთელა მწერალი, ქართული მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი მშვენიება ზე სიამაყე დაივიწყეს.

მე მაინც აღვნიშნე. „მნათობშიც“ სტატია გამოვაქვეყნე მისი გარდაცვალების წლისთავზე.



10.10.76

ბუშინდელი დღე მთლიანად ივ. ჯავახიშვილის 100 წლის-
თავის აღსანიშნავ ღონისძიებებს მოვანდომა.

საღამოს 5 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმო
საიუბილეო სხდომა გაიმართა. რესპუბლიკის პარტიული და
საბჭოთა ხელმძღვანელობა მთლიანად იყო წარმოდგენილი.
პრეზიდენტში იყო საქართველოსა და სსრ კავშირის თით-
ქმის ყველა რესპუბლიკის მეცნიერთა საუკეთესო წარმომად-
გენლები.

12.14.76

ჩავატარე საკავშირო-სამეცნიერო კონფერენცია მიძღ-
ვნილი მოსახლეობის აღწანმოებისა და მიგრაციის რეგიონა-
ლურ თავისებურებათა საკითხებისადმი. ჩამოვიდა უ.პ.რია-
ბუშკინი — ახლა იგი სსრკ-ში ითვლება სტატისტიკისა და
კერძოდ, დემოგრაფიის დარგში ყველაზე აღიარებულ სწავ-

ლულად. იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კონტეს-
პონდენტია.

22.12.76

5-11 დეკემბერს ვიყავი შვეციაში საბჭოთა და შვედ
ეკონომისტთა სიმპოზიუმზე. ობილსში ჩამოვედი 21 დეკემ-
ბერს. დიდძალი მასალა ჩამოვიტანე. დაუვიწყარი შთაბეჭ-
დილებები.

1977 წელი

ლამის 2 საათი. დაიწყო 1977 წელი. ბანკილი 1976
წელი ჩემთვის მრავალმხრივ მძიმე და მტკივნეული იყო. შვა-
ნასკნელ თვეს საკმაოდ სასიამოვნო წამებები მოხდა. ვიყავი
შვეციაში — სტოკჰოლმში, საბჭოთა და შვედი ეკონომისტების
სიმპოზიუმზე.

ბმ საღამოს 11 საათზე თითქმის მთელი ოჯახი შევიკრი-
ბეთ: ნინიჩკა, მე, ბესო, ლია, ბულო, ნონა, პაატა და ეკა.
პირველ საათზე ვიზეიმეთ, ბედნიერად შევხვდით ახალ 1977
წელს. მერე ბიჭები თავიანთ მეგობრებთან წავიდნენ. შინ
ნინიჩკა, პაატა, ეკა და მე დავრჩით. ნინიჩკა ახლა ალაგებს
სუფრას და დასაძინებლად ვემზადებით, უკვე 3 საათი დაიწყო.

ბუშინ 30 დეკემბერს ინსტიტუტში ივ. ჯავახიშვილის
დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა ჩავა-
ტარეთ. მოხსენება გავაკეთე. კმაყოფილი ვარ, რომ ახლაც,
წლის ბოლოს მასწავლებელს ცოტა წამ პატივი მივაგე.

15.04.75

მე უფროსს სწყინს, რომ შენ თავს იმართლებ, რომ შეგი-
ძლია დაამტკიცო შენი სიმართლე, მაშინ ის სჯობია პირადად
შენთვის, რომ ბრალდება მიიღო, თუნდაც იგი მწვალებლო-
ბას ნიშნავდეს და მასთან შეწყალება (პატიება) ითხოვა —
ამით ის უფრო იქნება ნასიამოვნები, ვინც თავის მართლების
ცდით, რასაც შეუძლია გაადიზიანოს და სხვა უფრო მძიმე

ბრალდებაც წამოგიყენოს, რაკი გადანყვებილი აქვს, გადაგ-
თელოს, რისგან თავის დაღწევა მხოლოდ მონჩილებისა და
პატიების თხოვნით შეიძლება. თუ ის განუკითხველი დადეს
პოტი უფროსია, რომლის უფროსისადმი შენ ხელი აღარ
მიგიწვდება.

მაგრამ ღირს კია ასეთი მონჩილებით შენარჩუნებული
სიცოცხლე? ვფიქრობ, რომ არა.

04.01.78

ბასული 1977 წელი ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე იყო.
ბრძელდებოდა 1975 წელს აშკარად გამოვლენილი დევნა და
შევიწროება, უგულებელყოფა და აუგად ხსენება. ყოველივე
ეს მძიმე იყო იმიტომაც, რომ ჩემი ასაკი და ჯანმრთელობა
ახლა ის აღარაა, რაც იყო. თუნდაც ათიოდე წლის წინათ.
ბსეთი რამ რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, სულ დავტოვებდი
აქაურობას და სამუშაოდ მოსკოვს ანდა რომელიმე მეზობელ
რესპუბლიკაში გადავიდოდი, მაგრამ ახლა! 73 წელს მიტანე-
ბული კაცისთვის ეს ძლიერ ძნელი აღმოჩნდა. მე კიდევ
ავიყრებოდი, მაგრამ ოჯახი?! ცოლს არაფრით არ უნდა,
სალაპარაკოდაც კი არ უნდა, რომ თუნდაც ორიოდ-სამიოდ
წლით წამოვიდეს, მაგალითად, ბაქოში, ხოლო მართლ მე იქ
რადღა გამაძლებინებს? მართალია, წიგნები, განუყრელი
მეგობრები იქაც ჩემთან იქნებიან, იქაც ჩემს საყვარელ
თემებზე ვიმუშავებ, მაგრამ... ბდამიანი ყველგან მხოლოდ
ადამიანია, არათუ შვილები და შვილიშვილები, ცოლიც კი არ
მეყოლება იქ. ბმასთანავე, ყოველ კვირა იქეთ-აქეთ რომ
ვიარო, ჩემ დარჩენილ დროს გზა წაიდებს და არა გამოვა რა.

19.06.78

დიდ ადამიანს, დიდ მამულიშვილს შეუძლია მთელი
თავისი სამშობლოს, მთელი ქვეყნის ჭირი და ლხინი,
დამარცხება და გამარჯვება, დაცემა და ამაღლება, სიბნელე და
86

სინათლე თავის საკუთარ სულსა და გულში გაატაროს და მთელი თავისი არსებით აენტოს და დაიწვას იმისთვის, რომ თავისი მამულის სიდიადე და სიბრძნე გამოაჩინოს და გამოაცხადოს, რათა თანამედროვეობას და მომავალს გადასცეს ყოველივე სიკეთე და ბედნიერება, რაც მისი ქვეყნის ყველაზე მოწინავე ადამიანებს ოდესმე შეუქმნიათ საერთოდ ადამიანებისათვის და კერძოდ სამშობლოსათვის.

დიდი ადამიანები მხოლოდ მოდიან და სამუდამოდ რჩებიან ადამიანთა შორის.

04.09.78

ბკადემიკოსად არჩევასთან დაკავშირებით ბკადემიის პრეზიდიუმში მოწყობილ შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვიდან (29.03.74) ახლა წაბრძანდა მომავლად და ჩავწერე.

მთელ ჩემს ნიჭს, შესაძლებლობას, დროსა და ენერგიას მე ვანდობდი მეცნიერული ჭეშმარიტების ძიებას და არა მფარველთა და პროტექტორთა პოვნას — მეცნიერებაში კარიერის გაკეთებისათვის, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ხოლმე. მიკვლეული და მიგნებული ჭეშმარიტების, მიღწეული სიმართლისა და სასარგებლო სიხალისის მე ვიყავი და ყოველთვის ვიქნები ამიერიდანაც უკომპრომისო და ამიტომ ბევრი მტერი შევიძინე, რომლებმაც დიდი ზიანი მომაცენეს.

მე არასოდეს მიკადრებია შეუფერებელი სავარძლის დამპატრონებელი უფროსისათვის მეთქვა, რომ შენ ღირსეული ადგილი გიჭირავს მეთქი, რადგან ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი და ვარ, რომ უღირსი ადამიანის ქება, ესაა ყველაზე დიდი შეურაცხყოფის მიყენება მისთვის და იმ ხალხისა და ქვეყნისათვისაც, რომელსაც იგი განაგებს.

14.04.79

1979 წლის პირველმა სამმა თვემ ისე გაიარა, რომ ჩემი ასაკისთვის საოცარი დატვირთულობით და ინტენსიურობით ვიმუშავე. ბასული წლიდანვე მოყოლებული, ეს მუშაობა

ახლახან დამთავრდა ზე ისიც არა მთლიანად, მაგრამ არსებითად მაინც დამთავრდა.

გამომცემლობაში ჩავაბარე „ქართული წიგნი 1629-1979 წწ“ დაახლოებით 40 თაბახი ილუსტრაციების ჩათვლით. ბმდლებში უკვე სასიგნალო ცალი მოვიღე მონოგრაფიების მეექვსე ტომისა, რომლის ბეჭდვა ძლიერ გაჭიანურებულ-გართულებულ პირობებში მიდიოდა.

03.02.80

წელს აუცილებლად უნდა დავიწყო მოგონებების წერა. რაც დრო მიდის, უფრო აუცილებლობა ამისა საგრძნობი ხდება ჩემთვის. ვინ უწყის, აწი საერთოდ წამდენს გავძლებ ზე ისიც კი საუჭვოა, მოვასწრებ კია მოგონებების მთლიანად დანერას. მინდა დავიწყო სულ პატარაობიდან, იმ დროიდან მაინც, როცა შვიდი წლისამ სკოლაში დავიწყე სიარული. ორიოდ კვირის წინ სოფელში ვიყავი ზე დავწმუნდი, ყველაფერი ბავშვობისა, 6-7 წლისა რომ გავხდი, მას შემდეგ კარგად მახსოვს. მაინც საჭიროა, თუ მოხერხდა, წელს რომ დათბება, ერთი-ორი დღით მაინც ჩავიდე, რათა იქაურთა უფრო დავათვალიერო, აგრეთვე ხანდაზმულებს — ჩემი ხნისა ზე უფროსებსაც, ზოგი წამ გამოვკითხო. ბმ მოგონებების დანერა მით უფრო აუცილებელია, რომ ბევრი წამ სხვა რიგად სულ უკვალოდ ჩაიბინება დავიწყების მორეკში. მგონი ცალკე წვეულში ჯობია დავიწყო.

23.06.80

მიგდივარ სვანეთის ექსპედიციაში ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შემსწავლელი რესპუბლიკური სამეცნიერო საბჭოს (მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული) გეგმით.

მახსენდება, ოციოდე წლის წინათ ბკაკი შანიძემ დამირეკა, ზუგდიდში რაღაც საინტერესო ნაწერები ყოფილა ზე ამ

დღეებში მინდა წავიდე. მე იქ ანაზის არ ვიცნობ და ამიტომ გთხოვთ, მიმიწეროთ ან დაურეკოთ, ვისთანაც სჯობია, რათა დამეხმარონ. მე ძალიან დავუშალე. იანვარი იყო. რად გინდათ იქ წასვლა, მოხუცებული ბრძანდებით, ძლიერი სიცოცხლეა და შეიძლება გაცივდეთ. მივწერ, გთხოვ და აქ გამოავგზავნიან იმ მასალას მეთქი.

და ახლა მეცინება. მე 75 წლისა ვარ და სვანეთში მივდივარ, მაგრამ რა ვქნა. ფრიად საინტერესო და ეროვნული მნიშვნელობის პრობლემის შესწავლის აუცილებლობა მიმერეკება და მივდივარ.

05.06.81

ბუშინწინ მეზობლის მიერ გაფუჭებული სახურავიდან წყალმა ჩემს სამუშაო და წიგნსაცავ ოთახში გადმოხეთქა მთელ კედელზე და დიდძალი წიგნი გამინადგურა. რიგი უნიკალური ეგზემპლარი წამიხდინა. ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი. მრთხანს გამიელვა: თავს მოვიკლავ და ამით გათავდეს მეთქი. ბსეთ სასონწარკვეთილებაში ჯერ არასოდეს ჩავვარდნილვარ. მით უფრო მძიმე იყო, რომ ეს თითქმის სწორედ ამგვარი მიზეზით მეორედ დამემართა. მაშინაც სახურავის უსწორო მოწყობის მიზეზით შემოვარდა წყალი, ჭერი ჩამოანგრია და გამიფუჭა წიგნები. ბხლა ათიოდე წლის შემდეგ მანვე თავის სახლის ჭერი კიდევ ზევით აამაღლა და ისე მოხდა, რომ აუნაზღაურებელი ზიანო მომყენა, თანაც ისეთი, რომელსაც ის ვერც გაიგებს, ვერც მიხვდება.

14.10.82

10 ოქტომბერს ბკადემიის პრეზიდიუმში წავიკითხე მოხსენება პრეზიდიუმთან არსებული ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს მუშაობის, მისი განახლებისა და ახალი წევრებით შევსების დემოგრაფიული კვლევის ცენტრის დაარსების შესახებ (არის ერთად შეკრული მთელი მასალა-საქმე).

1983 წლის საახალწლო შეხვედრაზე ამ საღამოს ჩემთან იყო თითქმის მთელი ჩემი ოჯახი: ნინიკა, დედამისი, შურა, ნონა თავისი სამივე შვილით. ბუღბაათი, ბესო და ლია ადრე წავიდნენ, რადგან პატარა პაატა ბესარიონის ძე ლიას დედის სახლშია ჯერჯერობით. ძლიერ მიხარია, რომ ბესოს ძე გაუჩნდა და მეც მეოთხე შვილიშვილი შემიძინა. ღიახ, მასაც მამამისმა პაატა დაარქვა. ბმჯერად ახლა ოჯახში სამი პაატა ბუგუშვილი ვართ. ლია, ბესარიონის ცოლი, ჩემი წძალი, ახლა, როგორც ჩემი შვილიშვილის დედა, კიდევ უფრო მომწონს. მტყობა, კარგი დიასახლისი და დედა დადგება. დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ ჩემთან გადმოვიყვანო.

31.12.84

მეთერთმეტე საათი დაიწყო. ეს 1984 წელიც გავიდა ახალ 1985 წელს, ცხადია, არც ისე, როგორც მინდოდა, მაგრამ არცთუ ხელმოცარული ვეგებები. მარდა იმისა, რომ ერთი თვის წინათ გამოიცა კრებული „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემების“ მეორე ტომი, რომელშიც მთელი მასალის დიდი ნაწილი ჩემი ნაწერებია, ამ დღეებში გამოცემლობა „მეცნიერებიდან“ მივიღე ჩემი მონოგრაფიის მეორე ტომი. დიდი ჭირნახული ტომი, რომელიც თავდაპირველი აზრით უნდა გამოცემულიყო 1979 წლის დასაწყისში. ესე იგი, 5 წლის წინათ და რომლითაც უნდა აღნიშნულიყო ქართული სტამბის წიგნის 350 წლის დიდი საიუბილეო თარიღი, რის წინააღმდეგ, ესე იგი ჩემ წინააღმდეგ აღდგა ბნელეთის მოციქულთა მთელი რაზმები. ჩაშალეს, მეც ჩამიშალეს და რესპუბლიკასაც, ქართველ ხალხსაც თავისი ეროვნული სიამაყის — ქართული წიგნის სტამბურად გამოცემის 350-ე წლის იუბილე.

მაინც მე მოვესწარი ამ წიგნის გამოსვლას, მრავალი აშკარა და ფარული წინააღმდეგობის დაძლევის გზით. ეს ერთი, მეორე კი ის არის, რომ ბუღბაათი აგერ 5 თვე არის

უმუშევარი, 3 შვილის, 6 კაცისგან შემდგარი ოჯახის მარჩენალი ზოთხოდე დღის წინ ისიც მოეწყო ისეთ სამსახურში, რაც მას აკმაყოფილებს ზეხარია. ოჯახში კიდევ ყველა ჯანმრთელად ვართ ზოთხოდენობრივად გაძლიერებული.



ბესარიონს მეორე ვაჟი შეეძინა ამ ოთხიოდე თვის წინათ ზოთხოდე, ზურაბი, კარგი ბიჭი ჩანს: მაგარი, ძლიერი, ზორბა, ჯანსაღი — ნამდვილი ვაჟკაცი იქნება, ზოთხოდე ჩანს. ბესარიონს, ზამდენად ეკონომიურად არა გვიშავს ზა, კარგად, ბედნიერად, წარმატებულად ზ საამო ვითარებაში ვხვდებით მთელი ჩემი ოჯახი ამ 1985 ახალ წელს. ბესარიონს ჩემთან არიან: ბესარიონი თავისი ცოლ-შვილით, სულ 4 კაცი; ბესარიონის ცოლ-შვილით, 5 კაცი; შურა მამიდა (ჩემი და) ზ ნინიჩკა ზ მე. ჩვენთანაა აგრეთვე ბაბულიც (ნინიჩკას დედა). სულ ცამეტნი ვართ.

21.06.85

რალაც უნდა ჩამეწერა. „მდიურები“ აქეილი ღ დაგლე-
ჯილი ვნახე. პატარა პატას შეუღწევია ჩემი მაგიდის
უჯრამი ღ „უმუშავია“.

29.08.85

ბხლა ჩემში ღ ჩემ გარშემო ერთი საკუთრად ჩემეული
იდუა ტრიალებს. მსაა ის, რომ მე მისწულდება 80 წელი (28
სექტემბერი ახალი სტილით) ღ ამის შესახებ იძულებული
ვარ, ვიფიქრო ღ ვაკეთო წალაცები. 70 ღ 75 აღვილად
„გაველი“, ისე რომ, მიუხედავად იმისა, რომ მოხოვდნენ,
მათი აღნიშვნის ცდისაგან, წაშიც ზოგიერთები იყვნენ მონა-
დინებული, თავი დავაღწიე.

ბხლა მეუბნებიან, 80 უკვე შენზე არაა დამოკიდებული,
გინდა თუ არა, ასე თუ ისე, მაინც უნდა აღვნიშნოთ. მე
თვითონ ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ვარ ზოგჯერ. ბრ
ვიცი, რა ვთქვა, როგორ მოვიქცე. ზოგი წამ ვითომ უკვე
კეთდება. ბკადემიას უკვე დადგენილებაც გამოუცია ისე, რომ
მე არაფერი ვიცოდი. მცდილობ, რაც შეიძლება ნაკლებად
განვიცდიდე ამ იუბილეს ღ ასევე ნაკლებად შევანხო
მეგობრები ღ მოკეთები.

მინდა დავწერე უბრალო ადამიანად, მაგრამ როგორ?! ეს
კი პრობლემაა.

ბდამიანი ოდითგანვე იყო მონა ღ თავისუფალი, თავისუ-
ფალი ღ მონა. მონა თავის თავისა ღ საკუთარი ბედის
მიმართ. ის იყო მონა: ხარი უღელში შებმული, ცხენი აღვირ-
ამოდეებული, ძაღლი — კარებთან მიბმული, ის იყო ფრთებ-
გაშლილი არწივი, მზისკენ მისწრაფებული, აღმამფრენი,
ლაღი ღ თავისუფალი, რომელმაც იმასაც მიაღწია, რომ
ხელებსა ღ ფეხებზე ბორკილი დაადეს, ადამიანის მიერვე
გაკეთებული, ბაგენი მისი მისსავე სიცოცხლეში დაადუმეს,
დააბოქლომეს ისე, რომ ამითვე ზრუნავდნენ მისსივე სიკე-
თისა ღ ბედნიერებისათვის.

განა საოცარი არაა, რომ ადამიანი ადამიანს უმტკიცებდეს — ლაპარაკი, შენი სიტყვები შენივე მტრები რომ არ გახდნენ, ამიტომ შენი თავისუფლება უნდა მოიპოვო მდუმარებაში იმით, რომ დაემსგავსო მუნჯს.

საბოლოოდ ვნახოთ, რას მოამზადებენ, რა გამოვა.

როგორც იქნა, ჩემმა ბროშურამ — „ნალხთმოსახლეობა“ მიაღწია სტამბაში, ცხრილები უკვე იწყობა. ბუშინ, 28 ბგვისტოს, ვიყავი სტამბაში.

08.11.85

საერთოდ, იუბილემ კარგად ჩაიარა. ბრ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, ერთი წერილი მაინც არ ყოფილიყო ჩემ 80 წლისთავზე დაბეჭდილი და თითქმის ყველგან უაღრესად გულწრფელი და გულმართალი რამეები აღინიშნა ჩემი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. მართალია, შურსა და მტრობას აბა რა გამოლევს, მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია, რომ „...გაცი არ ვარგა უმტერო და არცა მტერმორეული“.

ცხადია, მტრები კიდევ დარჩნენ, მაგრამ ასეა თუ ისე, იმათ, როგორც კუზიანებს, დრო გაასწორებთ. საერთოდ, საზოგადოებამ, კერძოდ, მეცნიერულმა საზოგადოებამ, გულთბილად და მოწონებით, მაღალი შეფასებით და უკეთესი მომავლის სურვილებით მიმიღო, მომეფერა და შემიტბო.

ბსე რომ, საერთოდ მე კმაყოფილი ვარ.

უფრო დაწვრილებით აქ ახლა არ ვიცი, რა დავწერო. მით უფრო, რომ დარჩა წარუშლელი დოკუმენტები: 1. ბაზეთში ჩემ შესახებ დაბეჭდილი მასალა 2. მოლოცვის ადრესები, დეპეშები, წერილები, რაც ამ დღეებში მივიღე და რაც ერთად რომ შეკრიბო, მთელი წიგნი გამოვა 3. სურათები, რაც გაზეთების ფოტოგრაფებმა გადამიღეს 4. ჩემი ბიობიბლიოგრაფია მთელი წიგნი დაიბეჭდება და ვფიქრობ, 1986 წლის პირველ ნახევარში გამოვა, სადაც უფრო თანამიმდევრულად იქნება ასახული ის გზა, რაც დაბადებიდან, უკეთა ვთქვათ, მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის

სარბიელზე გამოსვლის დღიდანვე გამოვიარე. მრავალი
სიტყვით და სიხარული წარმატებისა და სიმწარე და სიმძიმის
ცილისწამებათა და დაბეზლებათა შედეგად რომ განმიცდია.
მაგრამ ეს სულ ერთი მთლიანი ცხოვრებაა.

02.12.85

ეს უკვე მგონი მეხუთედაა, რომ საღამოს ან გვიან ღამე
დაწოლის წინ, ანდა ახალდაწოლილს მემართება დასუთვა,
უკმარისობა, ჰაერი არ მყოფნის, ვიხუთები, შიში მიპყრობს.
ვფიქრობ, რომ ესაა ვთავდები, გვკვდები, უნდა დავტოვო ეს
ქვეყანა. ეს ცხოვრება წაყ უფრო რთულია და ტანჯვითაა
სავსე, მით უფრო ტკბილია.

მით უფრო ტანჯვით, რომ ბრძოლის ანაკეთილშობილური
გზა თუ სარბიელია გაშლილი, ძნელად თუ მიხვდები, ვინ და
წაბრებ, ვინ ამზადებს და აძლიერებს იმას (იმათ),
რომლებიც შენ გებრძვიან. მაშინ, როდესაც შენ გრძნობ და
იცი, რომ შენი მტრები ესოდენ ძლიერი და შემტევით აღარ
იქნებიან, რომ მათ ზურგს უკან სხვა უფრო ძლიერი ძალები
არ იდგნენ, რომელთაც შეუძლიათ უხილავად დარჩნენ და ისე
მოგაყენონ უზომო ზიანი, ტანჯვა და წამება.

28.02.86

დღეს წავიკითხე 2 ლექცია „დემოგრაფიის ბქტუალური
საკითხები“.

1. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტის პროფე-
სორ-მასწავლებელთა აუდიტორიაში. სავსე დარბაზში დაახ-
ლოებით 250 კაცი ესწრებოდა.

მყო მრავალი შეკითხვა. პირველ ერთხელ დავწმუნდი, თუ
წაოდენ დაინტერესებულია ქართული ინტელიგენცია ქართ-
ველთა მოსახლეობის გამრავლების საკითხებით. ინსტი-
ტუტის რექტორმა როინ მეტრეველმა საზეიმო მიღება მომი-
წყო, მერე მარუჟა საკმაოდ მოზრდილი ვაზა საჯაროდ.

მთელი აუდიტორიის წინაშე ზ ბოლოს დიდი მადლობა გადა-
მიხადა, რომ აქ წავიკითხე ესოდენ საინტერესო ლექცია.

2. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თბილისის უმაღლეს სას-
წავლებელთა კათედრის გამგეთა ზ საერთოდ პროფესორ-
მასწავლებლებისათვის.

მრიგე დიდი ზ მრავალრიცხოვანი აუდიტორია, როგორც
ჩანს, ფრიად კმაყოფილი დარჩა, წასაც მოწმობდა ის, რომ
ბოლოს დიდი ოვაცია გამართეს, ტაშის გრიალით დამა-
ჯილდოვეს.

29.04.86

დღეს 12 საათზე ჩემთან ბინაში მოვიდნენ დოკუმენტური
ფილმის სტუდიის (დირექტორი ჯაბუა ბმირეჯიბი) თანამშრო-
მლები: ნინო ნატროშვილი (რედაქტორი), დავით ბღლაძე,
ნიკო ბჯიბეგიშვილი, მენადი რეხვიაშვილი ზ შმანგი ნიკ-
ლაური. მათ მოყვა ზ წინა დღითაც ამის თაობაზე გამაფ-
რთხილა ბლექსანდრე ჟლენტმა. მითქმის 2 საათი დარჩნენ
აქ, მესაუბრებოდა უმთავრესად ნინო ნატროშვილი, როგორც
დემოგრაფიის სპეციალისტს, მოსახლეობის აღწარმოების
საკითხებზე, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსახლე-
ობის გამრავლების ტემპების შენელების თაობაზე, მის მიზე-
ზებსა ზ შედეგებზე, დემოგრაფიულ პოლიტიკაზე, ქონწი-
ნების მინიმალური ასაკის შესახებ, განქონწინებათა გახში-
რებისა ზ შობადობის შემცირების მიზეზებზე ზ სხვა. ყოვე-
ლივე ეს საუბარი მიდიოდა ისე, რომ ფილმს იღებდნენ ჩემს
სამუშაო კაბინეტში ზ საერთოდ ბინაში, ოჯახში, ოჯახის
წევრებთან.

30.12.86

მიიწურა, უკეთ ვთქვათ, თავდება 1986 წელი. ძალიან
წითული ზ მრავალწახნაგოვანი პირადად ჩემთვის.

პარგად მოეწყო წელს ოქტომბერში ჩემი იუბილე. წაც
შეეძლოთ, პატივისცემა არ დამაკლეს. ბსევე დიდი პატივი
მცეს ზუგდიდშიც როგორც პარტიულმა, საბჭოთა, კომკავში-

რულმა ორგანიზაციებმა, ისე მთელმა ხალხმა. ბრსებითად მთელი რაიონის სტუმრად ვიყავი გამოცხადებული ზ თითქმის ყოველ ოჯახშიც კი მეპატიუებოდნენ. თან მახლდნენ: ნინიჩკა, შურა, ჯემალი, სხვა ჩემები ვერ წამოვიდნენ სამსახურებრივი საქმიანობის გამო.

მართალია, 80 წელს გადავაბიჯე, მაგრამ გონებრივი მუშაობის უნარი და, მაშასადამე, მეცნიერული აზროვნების ნიჭი არ დამკლებია. ბევრი რამეების დაწერა მაქვს ჩაფიქრებული, რომელთა ნაწილი დაწერილიც მაქვს ზ საბოლოოდ მოვამზადებ გამოსაცემად, თუ ღმერთმა ინება, როგორც იტყვიან, არ დამეზარება კიდევ კარგა ხანს ვიმუშაო.



პ. ბუგუშვილი და შვილიშვილი პაატა ბესარიონის ძე

22 $\sqrt{11}$ 87.

102

Wrote and sent to

Wegscheider'sche Lösung

1892 - 1893, - 1894, 1895, 1896, 1897, 1898, 1899, 1900, 1901, 1902, 1903, 1904, 1905, 1906, 1907, 1908, 1909, 1910, 1911, 1912, 1913, 1914, 1915, 1916, 1917, 1918, 1919, 1920, 1921, 1922, 1923, 1924, 1925, 1926, 1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1936, 1937, 1938, 1939, 1940, 1941, 1942, 1943, 1944, 1945, 1946, 1947, 1948, 1949, 1950, 1951, 1952, 1953, 1954, 1955, 1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1966, 1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1972, 1973, 1974, 1975, 1976, 1977, 1978, 1979, 1980, 1981, 1982, 1983, 1984, 1985, 1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023, 2024, 2025, 2026, 2027, 2028, 2029, 2030, 2031, 2032, 2033, 2034, 2035, 2036, 2037, 2038, 2039, 2040, 2041, 2042, 2043, 2044, 2045, 2046, 2047, 2048, 2049, 2050, 2051, 2052, 2053, 2054, 2055, 2056, 2057, 2058, 2059, 2060, 2061, 2062, 2063, 2064, 2065, 2066, 2067, 2068, 2069, 2070, 2071, 2072, 2073, 2074, 2075, 2076, 2077, 2078, 2079, 2080, 2081, 2082, 2083, 2084, 2085, 2086, 2087, 2088, 2089, 2090, 2091, 2092, 2093, 2094, 2095, 2096, 2097, 2098, 2099, 2100, 2101, 2102, 2103, 2104, 2105, 2106, 2107, 2108, 2109, 2110, 2111, 2112, 2113, 2114, 2115, 2116, 2117, 2118, 2119, 2120, 2121, 2122, 2123, 2124, 2125, 2126, 2127, 2128, 2129, 2130, 2131, 2132, 2133, 2134, 2135, 2136, 2137, 2138, 2139, 2140, 2141, 2142, 2143, 2144, 2145, 2146, 2147, 2148, 2149, 2150, 2151, 2152, 2153, 2154, 2155, 2156, 2157, 2158, 2159, 2160, 2161, 2162, 2163, 2164, 2165, 2166, 2167, 2168, 2169, 2170, 2171, 2172, 2173, 2174, 2175, 2176, 2177, 2178, 2179, 2180, 2181, 2182, 2183, 2184, 2185, 2186, 2187, 2188, 2189, 2190, 2191, 2192, 2193, 2194, 2195, 2196, 2197, 2198, 2199, 2200, 2201, 2202, 2203, 2204, 2205, 2206, 2207, 2208, 2209, 2210, 2211, 2212, 2213, 2214, 2215, 2216, 2217, 2218, 2219, 2220, 2221, 2222, 2223, 2224, 2225, 2226, 2227, 2228, 2229, 2230, 2231, 2232, 2233, 2234, 2235, 2236, 2237, 2238, 2239, 2240, 2241, 2242, 2243, 2244, 2245, 2246, 2247, 2248, 2249, 2250, 2251, 2252, 2253, 2254, 2255, 2256, 2257, 2258, 2259, 2260, 2261, 2262, 2263, 2264, 2265, 2266, 2267, 2268, 2269, 2270, 2271, 2272, 2273, 2274, 2275, 2276, 2277, 2278, 2279, 2280, 2281, 2282, 2283, 2284, 2285, 2286, 2287, 2288, 2289, 2290, 2291, 2292, 2293, 2294, 2295, 2296, 2297, 2298, 2299, 2300, 2301, 2302, 2303, 2304, 2305, 2306, 2307, 2308, 2309, 2310, 2311, 2312, 2313, 2314, 2315, 2316, 2317, 2318, 2319, 2320, 2321, 2322, 2323, 2324, 2325, 2326, 2327, 2328, 2329, 2330, 2331, 2332, 2333, 2334, 2335, 2336, 2337, 2338, 2339, 2340, 2341, 2342, 2343, 2344, 2345, 2346, 2347, 2348, 2349, 2350, 2351, 2352, 2353, 2354, 2355, 2356, 2357, 2358, 2359, 2360, 2361, 2362, 2363, 2364, 2365, 2366, 2367, 2368, 2369, 2370, 2371, 2372, 2373, 2374, 2375, 2376, 2377, 2378, 2379, 2380, 2381, 2382, 2383, 2384, 2385, 2386, 2387, 2388, 2389, 2390, 2391, 2392, 2393, 2394, 2395, 2396, 2397, 2398, 2399, 2400, 2401, 2402, 2403, 2404, 2405, 2406, 2407, 2408, 2409, 2410, 2411, 2412, 2413, 2414, 2415, 2416, 2417, 2418, 2419, 2420, 2421, 2422, 2423, 2424, 2425, 2426, 2427, 2428, 2429, 2430, 2431, 2432, 2433, 2434, 2435, 2436, 2437, 2438, 2439, 2440, 2441, 2442, 2443, 2444, 2445, 2446, 2447, 2448, 2449, 2450, 2451, 2452, 2453, 2454, 2455, 2456, 2457, 2458, 2459, 2460, 2461, 2462, 2463, 2464, 2465, 2466, 2467, 2468, 2469, 2470, 2471, 2472, 2473, 2474, 2475, 2476, 2477, 2478, 2479, 2480, 2481, 2482, 2483, 2484, 2485, 2486, 2487, 2488, 2489, 2490, 2491, 2492, 2493, 2494, 2495, 2496, 2497, 2498, 2499, 2500, 2501, 2502, 2503, 2504, 2505, 2506, 2507, 2508, 2509, 2510, 2511, 2512, 2513, 2514, 2515, 2516, 2517, 2518, 2519, 2520, 2521, 2522, 2523, 2524, 2525, 2526, 2527, 2528, 2529, 2530, 2531, 2532, 2533, 2534, 2535, 2536, 2537, 2538, 2539, 2540, 2541, 2542, 2543, 2544, 2545, 2546, 2547, 2548, 2549, 2550, 2551, 2552, 2553, 2554, 2555, 2556, 2557, 2558, 2559, 2560, 2561, 2562, 2563, 2564, 2565, 2566, 2567, 2568, 2569, 2570, 2571, 2572, 2573

Season - 3rd and 4th, May only

0827/2020 10/10/2020

158 Tage im Lager. 15. November 1946

My dear father, I am not doing

Myz zu lange ande! leucht

$\log_{10} = 2.25$ $\log_{10} = 2.25$

Johnston Ave. 5/24/21

spand n, huf zornen zu stund

Jan, 1900 (1900-01) 1812

the journal of the

[illegible]

პ. ზუგუშვილის დღიურების ბოლო ჩანაწერი — ხუთი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა...

გადავსწყვიტე – მიმდინარე, 1980 წლიდან დავიწყო მოგონებების წერა, რამდენადაც ზოგორც კი ამისათვის თავისუფალი დრო მექნება.

8.2.80

მოგონებების წერას აზრი არა აქვს, თუ იქ არ იწერება მხოლოდ სიმაართლე (სინამდვილე).

09.02.80

ს.პოდორი, ბაბაშის რაიონისა, სადაც ბავშვობის წლები გავატარე, მდებარეობს მდ.რეონის მარცხენა ნაპირზე. იქვე, მარჯვენა ნაპირზედაც ს.პოდორია, უფრო დიდი ზედიზე (მის ზემოდ რეონს უერთდება ცხენისწყალი). ოდესღაც, ზოგორც ჩანს, ესენი ერთი სოფელი ყოფილა, მაგრამ მდ.რეონს კალაპოტი შეუცვლია ზედიზე სოფლის შუა გაუვლია ზედიზე სოფლად გაუყვია. ზოგჯერ ჩვენს სოფელს მეორე პოდორსაც უწოდებდნენ. მის მეორე მხარეს დღესაც არის შერჩენილი, დროთა ვითარებაში დასილული (სილით ამოვსებული), საკმაოდ დიდი მდორე მდინარე, რომელსაც ნარეონალი ეწოდება ზედიზე რომელიც ჩვენს პოდორსა ზედიზე მის მეზობელ სოფ.პეტილანს ესაზღვრება მუნიციპალიტეტის მხარეს, მდ.ფიჩორისა ზედიზე ნიგოთის მთების მხარეს. ეს ფიჩორი პალეოსტომს ერთვის, ხოლო ნარეონალი პეტილანის ზემოთ იწყება ზედიზე პოდორის ქვემოთ უერთდება მდ. რეონს.

ოდესღაც რეონი ადიდდება ზედიზე კალაპოტს გადადის, მისი წყალი თვით ნარეონალსაც აღწევს ზედიზე ფარავს პოდორისა ზედიზე პეტილანის დიდ ნაწილს; ასე თანდათანობით სილით ავსებს ნარეონალსაც ზედიზე ამ სოფლებში, მათ დიდ საყანე ადგილებში, ბუნებში, მნიშვნელოვან შლამს ტოვებს, დაბლობ ადგილებს

ამაღლებს, თვით ნარეონალს შლამით ავსებს და სიღრმეს უკარგავს.

ჩემი პატარაობის დროს, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, მდ. რიონის წყალდიდობისაგან სოფლების - პოდონის და პეთილარის - დაცვის მიზნით მამაჩემის ინიციატივით, რომელიც თემის მამასახლისი იყო, რიონის სანაპიროების გასწვრივ, ყველაზე მაღლობი ადგილების გაყოფებით გაიყვანეს დიდი დამბა (ჯებიანი), დაახლოებით ხუთი კილომეტრის სიგრძეზე. ეს მიწაყრილი (იქვე თხრილებიდან ამოღებული) 1,5-2 მეტრის სიმაღლისა და საფუძველზე 3-5 მეტრის სისქისა იყო და მისი ნაშთები ახლაც, 65 წლის შემდეგაც, საკმაოდ დაცული და შეიმჩნევა მრავალ ადგილას.

ეს დამბა სამიოდე წელიწადი კეთდებოდა, უმეტესად შემოდგომა-გაზაფხულზე. მუშაობდნენ როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ასევე ქიზაზე აყვანილი მთხრელები - სვანები, რომლებიც პარტიობით (30-50 კაცის რაოდენობით) ჩამოდიოდნენ ადრე შემოდგომით. ზშირად 5-10 ჯგუფი ერთდროულად მუშაობდა.

მრთხელ, მახსოვს, გაზაფხული იყო. სოფელში ჩვენი სახლის ეზო ერთბაშად გაივსო მხრეებზე ბარგადებული სვანებით,... მამას ემუქრებოდნენ,... ორმოცზე მეტი კაცი იქნებოდა... ჩვენ, ოჯახის წევრებს, ძალიან შეგვეშინდა...

მერმე, სოფელში ფულები დროზე ვერ მოუგროვებიათ, რათა შინ მიმავალი მთხრელებისათვის კუთვნილი ხელფასი მიეცათ... რამდენიმე დღე გადაუცილებიათ და ახლა სვანები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ფულებს... მამას კიდევ ერთი დღე ვადა მისცეს და თუ „ზეგ დილას მთელ ხელფასს არ მიიღებდნენ“,... მოკვლითა და კარმიდამოს გადანვით ემუქრებოდნენ. როგორც იქნა, მათი გასტუმრება მოხერხდა და აოხრებას გადავჩიით.

მამაჩემის - ბესარიონ ნიკოლოზის ძე ბუგუშვილის - მამას, ნიკოლოზ იოსების ძეს, პირველი ცოლისაგან ყოლია ორი ვაჟი და ერთი ასული: ბიორგი, მრისთე და ბსპინოზი.

უკანასკნელი ფოთში იყო გათხოვილი ზე შვილები მას არ
დარჩენია. ზოლო ვაჟების — ბიორგის ზ მრისთვის
ნაშიერები ახლაც ცხოვრობენ პოდლოში

მეორე ცოლს, ბეგენავას ასულს (ს. ტეზათიდან[?]),
ზოშტარიას (ს. სუჯუნა) ქვრივს, თან მოყოლია ორი ვაჟი,
ისინი აქვე დაიზარდნენ — მედლონე ზ ღავითი, რომლებიც,
როცა დაოჯახდნენ, პაპაჩემს მათი მამის მიწებზე დაუსახ-
ლებია სოფელ სუჯუნაში. მათი ნაშიერები ახლაც ცხოვ-
რობენ სუჯუნაში, ფოთსა ზ ობილისში.

მეორე ცოლისაგან, ბებიაჩემისაგან, უკვე 40 წლის პაპას
ყოლია ორი ვაჟი: ოსები ზ ბესარიონი — მამაჩემი. ბიძა-
ჩემს, ოსებს, მონაწილეობა მიუღია რუსეთ-ოპაონიის ომში,
უცხოვრია მანჯურიაში, ყოფილა იაპონელთა ტყვეობაში.
მერე ის დაბრუნდა თავის სოფელში; — იგი იყო სამხედრო
ფერმალი (ფელდშერი), საკმაოდ ცნობილი მედიკოსი,
რომელსაც მნიშვნელოვანი პრაქტიკა ჰქონდა რაიონში.
ფრიად ღამაზად წერდა ღათინურად რეცეპტებს ზ ქართულ-
რუსულ ენაზე წერილებსა ზ საჩივრის დოკუმენტებს.

ბიძაჩემს ყავდა ერთი ვაჟი ზ ორი ასული. ვაჟი, ოთარი —
დაიღუპა ჩრდ. პაგკასიაში 1943 წელს, დიდ სამამულო ომში.

დედაჩემი იყო სოფ. პირველი პოდლონიდან, მიტო
პიზირიას ასული — მარიამი. მისი ძმა ონა საკმაოდ ცნო-
ბილი სოციალ-დემოკრატი იყო. მუშაობდა ფოთის პორტში
მოანგარიშედ. ბადასახლეს ოდესაში. მერე ანაღეგა-
ლურად ცხოვრობდა ობილისში, სადაც რევოლუციის დასა-
წყისს შექმნა ოჯახი.

როდესაც მე დედა მომიკვდა, 1916 წელს, დედის მხრით
ბებია მამომიყვანა თბილისში. ბქ ბიძაჩემის, ონას, ოჯახში
ვცხოვრობდით კარგა ხანს...

ჩემს მშობლებს ყავდათ 4 შვილი: ყველაზე უფროსი
ვიყავი მე — პაატა, ბლექსანდრა, ლიუბა ზ შურა — სამი
ასული. პატარაობისას სოფელში უფრო ბატასა ზ ბაძეს
მეძახდნენ, ხოლო ფოთში, ბიძია ონას (დედის ძმის) სახ-
ლში, ბებია ზ სხვებიც ძუკუსაც მეძახდნენ.

სწავლა დავიწყე პოდლონის ერთკლასიან სასწავლებელში 1911 წ(?). როგორც მამაჩემისგან გამიგონია, გვიან მოგუნათლივართ. უცდიდნენ მამაჩემის მეგობარს, ჩვენი სოფლის ყოფილ მასწავლებელს - ბლშიბაიას, რომელიც ამ დროს სამუშაოდ სოხუმში გადასულა... რაკი ჩამოსვლა გაჭიანურდა, მოგუნათლივართ 15 სექტემბერს, როდესაც ჩვენთან ჩამოსულა მედორე ზოშტარია, რომელიც თურმე ამ დროს ბაქოში მუშაობდა - ყოფილა ტრამვაის ვატმანი. მერე მისი ერთ-ერთი სტუმრობის დროს, როდესაც უკვე სკოლაში ვსწავლობდი, მას ჩემთვის საჩუქრად ჩამოუტანია ვერცხლის საბავშვო დანა-ჩანგალი ზე კოვში ზე პატარა საინი. პირველი სამი ახლაცა მაქვს ზე მივლინებების დროს თან დამაქვს, ხოლო ვერცხლის საინი 30-ოდე წლის წინ ბორჯომში, სასტუმროში ყოფნისას დამეკარგა - მომპარეს.

სოფ. პოდლონის ერთკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლები იყვნენ დავით პონძაძე ზე ამავე სოფლის მღვდელი დ. ზინცხალავა. მრევნი მამის მეგობრები იყვნენ ზე ჩვენს ოჯახში ხშირად ყოფილან. დ. პონძაძე ბოლოს დომენტი ზინცხალავას სიძე შეიქმნა - მისი ასული შეინთო. პირველი მს. ომის პირველსავე წელს მისი ოჯახი ჩვენი სოფლიდან წავიდა.

სკოლაში შესვლამდე წერა-კითხვა საკმაოდ კარგად ვიცოდი. დედა მასწავლიდა. იგი ხშირად მიკითხავდა სხვადასხვა წიგნს, განსაკუთრებით ლექსებს, რომელთა შორის, თუ არ ვცდები, უმეტესობა ხალხური იყო. დედას ქონდა საკმაოდ მოწონილი ალბომი, სადაც ძლიერ სუფთა ხელით იყო ჩანწერილი ლექსები, რომელთაც იგი ყველაზე უფრო ხშირად მიკითხავდა.

ზოგიერთი ეს ლექსი ახლაც კი მახსოვს. დედა ხშირად მღეროდა ამ ლექსებს, როგორც მარტო, ისე სხვებთან ერთად. მე მგონია, იმ ალბომში მისი საკუთარი ლექსებიც იყო. ისე უყვარდა მას მათი კითხვა ზე ისე მონიჭებით ზე სასოებით ინახავდა ზე უვლიდა ამ ალბომს, - რომელსაც მხოლოდ ხელების დაბანის შემდეგ გადმოიღებდა ზე

გადამიშლიდა... მე თვითონ მინახავს, როგორ იწერდა იგი ალბომში, მაგალითად, ს.ბუგუნავას „თამარიანიდან“ ნაწყვეტებს... ზ სხვა ლექსებს, კერძოდ, ბაკაი წერეთლისას ზ სხვ.

ეს სულ ახლა, რამდენიმე წლის წინათ იყო... ჩემზე მეტის-მეტად გადაკიდებულ ადამიანთა ერთი ჯგუფი, მოკვლით მემუქნებოდნენ. მე მათ ვუთხარი, რომ ჩემი დაშინება სიკვდილით შეუძლებელია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მკვდარი ვარ დაბადებული ზ სიკვდილი ზ მისი შიში, ამგვარად, უკვე გამოვლილი მაქვს-მეთქი...

მართლაც მაშისაგან, უკვე დიდსაც, არაერთხელ გამიგონია,... ჩემს დედას პირველი შვილი დაბადების პირველსავე დღეებში მოკვდომია...

როდესაც დედა, ჩემზე ორსული, სამშობიაროდ ემზადებოდა, ვიდაც ცნობილი ბებიაქალი მოუყვანიათ... დავბადებულვარ, მაგრამ საამქვეყნო ფერი არ მქონია... ბებიაქალი ეცადა, ყოველივე იღონა, მაგრამ ჩემი მოსულიერება ვერ შესძლო... მაშინ ჩემი ბებია, მამის დედა, მოვარდნილა, ბავშვი მისთვის ხელიდან გამოუგლეჯია ზ ერთი ცემა-ტყეპით აივანზე გაუყვანია. მერე პირში მუნდშტუკით სული ჩაუბერია და... სასონარკვეთილს წყლით სავსე სპილენძის დიდ ტაშტში გაუცურებია... ზ მაშინღა თურმე მოესმათ ჩემი კნავილი... ბაცოცხლდა, ცოცხალია, აბა უშველეთო... ზ სხვ., დაუწყიათ ყვირილი... ბაცოცხლება მით უფრო აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ვაჟი იყო ეს ბავშვი ზ ბებიას უთქვამს, ვინ იცის, იქნება აწი ბიჭი სულაც არ გაუჩნდესო!

მშოში ხმა გავარდა —... მაჟია ზ ცოცხალიაო. მამაჩემი, რომელიც ამ კივილისა ზ განამანის დროს ბაღ-ბოსტანში გასულა, თურმე გამოქანდა ზ თოფს ეცა — ...ბახ! გავარდა ერთი, მეორე... მერე თოფი ძმისშვილს მისცა, რამდენიც გინდოდეს, გატენე ზ ისროლეო...

ბსე რომ, სიკვდილის შიში უკვე დაბადების ჟამსვე მქონდა მართლაც გამოვლილი... ისიც კია, ჩემს მშობლებს მეტი ვაჟი არ ჰყოლიათ... ბებიას დამსახურებაც დიდი იყო ზ მამაჩემი

ამას ხშირად იგონებდა ზე მისი დედის სულს იფიცავდა,
როგორც გალუგალი მოვალე.

09.02.80

ბესარიონ ბუგუშვილის ოჯახი საშუალო შეძლების
გლეხის ოჯახი იყო. მისი წინაპრები ოდესღაც აზნაურები
ყოფილან ზე კიდევ უფრო ადრე თავადებიც - მოშუების
გვარისა. მაგრამ, როგორც მამისა ზე მისი ბიძაშვილებისაგან
გამიგონია, კიდევ უფრო შორეული წინაპრები ზღვის მეკო-
ბრეებიც ყოფილან, რიონის შესართავებთან ზე მის მიდ-
აობებში დიდი ნაგები ჰყოლიათ (ვითომ ხომალდებიც) ზე თურქ
ზე ბერძენ ვაჭრებს ძარცვავდნენ, რისთვისაც მათ შემოს-
წყრომია დადიანი, რომელსაც წაურთმევია მამულები ზე
ფეოდალური წოდებაც. ბმის შემდეგ ისინი რიონს გაღმა,
ბურიისაკენ გადასახლებულან, თუ გაქცეულან ზე ახლაც იქ
სახლობს ბუგუშვილების სამიოდე კომლი. წინათ, ჩემი
ბავშვობის დროსაც კი, 7-8 კომლი იყო.

ჩემი ბავშვობის დროს ს.პოდორი საერთოდ საკმაოდ
ძლიერი სოფელი იყო. სოფლელებს ბნჯელში ზე საერთოდ
რიონის ჭალებში ეჭირათ ნაყოფიერი მიწები, სადაც სიმინდი,
ლობიო, გენახი, ხეხილი კარგად ხარობდა. საბალახოებიც
ქონდათ, განსაკუთრებით [ფ.12] რიონის სანაპიროებსა ზე
ანჯელში ზე როგორც მსხვილი რქიანი პირუტყვი - ძროხა,
ხარი, კამეჩი, ცხენი, აგრეთვე თხა ზე ღორები ზე სხვადასხვა
ფრინველი ბლომად ყავდათ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტები, განსაკუთრებით კი
სიმინდი, გასაყიდად გაქონდათ - სადგ. ბაბაშასა ზე ფოთში.
მამის მამასა ზე პაპასაც ნაგებით თურმე სიმინდი ზე სხვა
პროდუქტები გასაყიდად რიონით, ნაგებით გაჰქონდათ
ფოთში, სადაც მათ ამ საქონლის რეალიზაციის საქმე
ანყობილი ქონიათ თურქ ვაჭრებთან ზე უფრო მეტად კიდევ
ლაზებთან. ს.პოდორი მდ.რიონის მაგისტრალზე ოდესღაც
ერთ-ერთი ცნობილი სავაჭრო პუნქტი იყო; აქ ცოტა ზემოდ,

მდ. რიონს ერთვის ცხენისწყალი, სადაც სოფ. ორპირი იყო, ნავთმისადგომი და მურია-იმერეთ-სამეგრელოს შორის სავაჭრო-საბაზრო ადგილიც.

კაპა (ნიკოლოზი) მე არ მახსოვს. ის 92 თუ 97 წლისა მომკვდარა. დილას უბელო ცხენზე მჯდარს პირუტყვი (ძროხები და სხვ.) გაურეგია რიონის სანაპიროს საბალახოზე და უკან მობრუნებული, როდესაც თავის ეზოში უნდა შემოსულიყო, ჭიშკართან [ფ. 13] ცხენი ძაღლს დაუფეთებია და იგი გადავარდნილა ცხენიდან, ხერხემლის ძვალი დაზიანებია და მეორე დღეს გარდაცვლილა. ბებია საკმაოდ მახსოვს, ანსებითად მხოლოდ ორიოდვე ეპიზოდით.

დედა ახლაგაზრდა გარდაიცვალა, 1916 წელს, როდესაც მე 11 წლისა ვიყავი. სულ ბოლო ხანებამდე ჩვენს ოჯახში ინახებოდა, მგონი ახლაც არის ჩემს დასთან, შურასთან, ფოტო - გადაღებული დედის გასვენების და მასთან გამოთხოვების სურათი. ის მაშინ დაახლოებით 30 წლისა იქნებოდა. ჩემი სამი და მე, ამგვარად ადრე დავობოდით. შურა სულ პატარა იყო, ოთხი-ხუთი წლისა.

მამა მაშინ 37 წლისა იყო (დაბ. 1879 წ.) და ნაადრევად დაქვრივება ვაჟკაცურად აიტანა. 7 წელიწადი იგლოვა და როდესაც ჩვენ, ბავშვები წამოვიზარდეთ, მეორე ცოლი მხოლოდ მაშინ შეირთო, იმაზეც ძალით დაიყოლეს... მანაც მალე, მეორე წელსვე გაეყარა და მერე სულ ოჯახისა და ბავშვების მოვლას შეაღია მთელი თავისი სიცოცხლე. მამა ადრე გარდაიცვალა - 58 წლისა [ფ. 14], უკანასკნელ ხანებში თითქმის სულ მარტო ცხოვრობდა სოფელში. ჩემი დები გათხოვდნენ, მხოლოდ ლიუბა იყო იქვე სოფელში გათხოვილი და ის თუ მიხედავდა, დანარჩენები ყველა ქალაქში, თბილისში ვიყავით. ჩემი დებიც - ლიუბა და ბლექსანდრა - ადრე გარდაიცვალენ. რამდენადაც ვიცი, უფრო მეტად მუცლის მოშლის ოპერაციებს გადაყვა... ლიუბას სამი შვილი, ხოლო ბლექსანდრას - ერთი შვილი დარჩა. შურა ცოტა ხანი იყო გათხოვილი. შვილი არ ყოლია. მისი მეორე საქმრო ომში დაიღუპა და მერე არ

გათხოვილა. ძხლა დისშვილებსა ზ მათ შვილებს ეხმარება
ზ პატრონობს.

როგორც აღვნიშნე, მამის ოჯახი საშუალო შეძლებისა, ან
იქნებ ცოტა მეტიც, იყო. მას ყოველთვის ყავდა 2-3 მეწველი
ძროხა, ერთი უღელი ხარი, 1-3 ცხენი (და კვიცი). მისთვის,
როგორც მამასახლისისათვის, ცხენი აუცილებელი იყო.
სოფლის საზოგადოების კანცელარია ს. მუღეიკანში (5-6
ვერსის სიშორეზე), ხოლო მთელი თემის სოფლები:
პოდონი, პეთილანი, მუღეიკანი, ჭორეისუბანი, ჭოლები
თხუთმეტიოდე კილომეტრზე იყო გადაჭიმული - რიონის
სანაპიროზე ზ ამ დისტანციაზე თითქმის ყოველდღიური
მიმოსვლა, განსაკუთრებით 1914-1916 წლებში, ომის
პერიოდში, მხოლოდ ცხენით შეიძლებოდა. ბმითომ ერთი
ცხენი თითქმის ყოველდღე შეკაზმული ყავდა.

მსხვილ რქიანთა საერთო რაოდენობა ათიოდე თავს
შეადგენდა. ზოგჯერ ყავდა 1-2 მეწველი თხაც, ოციოდე
ღორ-გოჭი, ბატები, ინდოურები ზ უფრო ბევრი ქათამი -
დაახლოებით 60-70 ფრთა -ყოველთვის.

მამა ზ მისი უფროსი ძმა ოსები ერთ ოჯახად ცხოვ-
რობდნენ, სანამ უკანასკნელი ცოლს არ შეირთავდა ზ
ერთხანს მას მერეც. მიუხედავად ამისა, საოჯახო მეურ-
ნეობაში ყოველთვის იგრძნობოდა მუშახელის სიმცირე,
თუმცა დედაჩემი არაჩვეულებრივი შრომისმოყვარე ადამიანი
იყო. ძღწე დიდიდან, გვიან დაღამებამდე ის შეუჩერებლად
ტრიალებდა ზ ათას რამეს აკეთებდა.

მუშახელის ნაკლებობას ვერ ავსებდა ისიც, რომ საკმაოდ
დიდხანს ჩვენთან ცხოვრობდა ზ გვეხმარებოდა ბიჭია
ბუგუშვილი, სოფ. მწერიდან, უსახლკარო კაცი, ძმებისაგან
მოძულეებული, რომელიც დიდხანს გადაკარგული იყო, იაპო-
ნიასთან ომისა ზ 1905 წ. რევოლუციების პერიოდში, რო-
დესაც თავის სოფელში ვერ მოეწყო, ჩემს მამასთან მოვიდა
ზ თავმესაფარი სთხოვა, როგორც მამასახლისსაც. ის მალე
შეიქნა ჩვენი სოფლის მეველე ზ როგორც ასეთს, მართალია,
სადღაც საყანეში თავისი ფაცხა ქონდა; მაგრამ უფრო

ხშირად ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა ზე თუ სხვა საქმეზე არას
გიტყვი, პირუტყვს მთლიანად ის უვლიდა. ისე რომ, ხშირად
ძროხებსაც წველავდა; განსაკუთრებით დედაჩემის გარდა-
ცვალების შემდეგ.

მაინც ჩვენს ოჯახში თითქმის ყოველთვის იყო ერთი ბიჭი,
უფრო ჩვენი სოფლელი ვინმე, ღარიბი ოჯახიდან ზე ან ერთი
გოგო, რომლებიც საოჯახო საქმეებში იყვნენ დასაქმებულნი;
ეს მით უფრო აუცილებელი ჩანდა, რომ მამას, თემის
საქმეების გამო, ოჯახში სამუშაოდ დრო ძლიერ მცირე
რჩებოდა. მართი ჩვენს ოჯახში გაზრდილი ბიჭი, გვარად
ცოტაძე, მერე დიდი კაცი შეიქნა ზე იგი სისტემატურად მოდი-
ოდა მამასთან მოსაკითხებით, ხოლო მამის გარდაცვალების
შემდეგ - ჩემთან ობილისში ზე იმასაც ტრანაბობდა, რომ
ბესარიონ ბუგუშვილის ოჯახში ვარ გაზრდილი ზე შაატას
ძმად ვეკუთვნიო.

ბე ისიც უნდა ვსთქვა, რომ ოჯახში ხშირად, სხვადასხვა
დროს, გვეხმარებოდნენ მამის ბიძის შვილები ზე დისშვილები,
ბიძაშვილთა შვილები. ყველა ისინი, ისევე როგორც არანა-
თესავური დამხმარე ძალები, ერთდროულად სწავლობდნენ.
მამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვა, რომ მისი
ოჯახის წევრები უსწავლელნი ყოფილიყვნენ, ხოლო ყვე-
ლას, ნათესავს თუ გარეშეს, ვინც სახლში მუშაობდნენ, ის
ოჯახის წევრად სთვლიდა ზე ასეთიც იყვნენ ისინი
სინამდვილეში.

მუშაობა, დასვენება, გართობა, სმა-ჭამა, მთელს ოჯახის
წევრებისა ერთად ზე განუყოფლად, იყო ანწყობილი. პარგად
მახსოვს - ერთი გოგოს მამა დაბეჯითებით სთხოვდა ჩემს
დედას, კიდევ მეტ ხანს დაეტოვებინა მისი ასული ჩვენთან:
თქვენს გარდა სხვა პატრონი მას, დედით ობოლს, არა ყავსო
(თურმე დედინაცვალთან ამ გოგოს ცხოვრება არ შეეძლო)...
ის მართლაც ჩვენთან დარჩა გათხოვებამდე ზე საკმაო
მზითოვიც გაატანეს, საბან-საგებელი ზე ერთი ხბოიანი ძრო-
ხაც, თანაც სოფლის სკოლაც ქონდა უკვე დამთავრებული,
ჭრა-კერვა, ქარგვაც იცოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის ქალი აქტივისტი შეიქნა, სოფსაბჭოს წევრი გახდა და სადღაც ანკეტაში ჩაენერა, შინამოსამსახურედ ვიყავიო. დედა უკვე ცოცხალი არ იყო. ეს როგორღაც მამას გაუგია და სოფსაბჭოში მისულა და აქ ხალხის დასწრებით უთქვამს: დედით ობოლი იყავი, უპატრონო, ჩემმა მეუღლემ გაგზარდა, მზითევიც გაგატანეთ, ჩვენს [ფ. 19] შვილებში არ გარჩევდით და აბა მის ხსოვნას მაინც როგორ აკადრე, რომ შინამოსამსახურეობა გამოგიცხადებიაო. ის თურმე ძალიან შეწუხებულია: მითხრეს, ასე დანერე და პარტიაში უფრო ადვილად მიგიღებენო და ამიტომ დავსწერეთ... იქვე აღმასკომის თავმჯდომარისთვისაც უთქვამს, ახლავე უნდა გავასწოროო. მართლაც ასე მოქცეულა და ჩაუწერია: დაობლებული რომ დავნჩი, მუგუშვილების ოჯახში გავიზარდე, მათ მშობლობა გამიჩიეს და მერე კიდევ გამათხოვესო...

ბსეთი, ასე ვთქვათ, პატრიარქალური, თუ არქაული დამოკიდებულება მაშინდელ ოჯახებში კიდევ იყო და, ცხადია, არა მხოლოდ ჩვენთან. თუმცა, მე კარგად მახსოვს ჩვენი სოფლის ერთ შეძლებულ ოჯახში მოჯამაგირე ბიჭები სულ კარავში, ნარიონალის გაღმა, ყავდათ და იმათ ზამთარ-ზაფხულს პირუტყვთან ერთად ჰქონდათ ბინა და საცხოვრებელი. მაგრამ ასეთი კულაკური ოჯახი ჩვენს სოფელში სულ მხოლოდ სამიოდე თუ იყო. მთელ სოფელში ოციოდე პროცენტი საშუალო, ხოლო დანარჩენი ღარიბი და უღარიბესი გლეხები იყვნენ. მახსოვს ოჯახები, სადაც ფეხსაცმელს იშვიათად ატარებდნენ და გასათხოვარ გოგონებს ტანზე შემოფუთული კაბები ეცვათ, რომ სიტყვით აღსანიშნავი ფანავდნენ

05.03.80

როდესაც ბოქაული ან მაზრის უფროსი ჩვენს თემში მოვიდოდნენ, ცხადია, მამის სტუმრები იყვნენ. ბმასთან დაკავშირებით კარგად მახსოვს ერთი ეპიზოდი. მამას ხშირად, თითქმის ყოველთვის, ყავდა მდ. რიონში ჩაბმული

ზუთხი ან ღლავი მაინც. ბმასთანვე, იქვე მახლობლად ნაპირზე ანკესები იყო გადაგდებული. ჰვირა მაინც იშვიათად გაივლიდა, რომ ამ ანკესებს მოზრდილი თევზი ან დაეჭირათ. ღლავი, კობრი (сазан) ანდა სხვა რამე ზ ანც თუ იშვიათი იყო ზუთხიც. სხვა თევზს უფრო ხშირად ჩვენთან სახლში მოიტანდნენ: ბიჭია, ან სხვა რომელიმე მეზობელი, უფრო მამის ბიძა-და მმისშვილები. მუ დიდი იყო, დაჭრიდნენ ზ ინაწილებდნენ. მუ ზუთხი იქნებოდა, ის თვით მამა-სახლისის განკარგულებაში იყო ზ ასეთ ზუთხს ხშირად იქვე თოკით წყალში ჩააბამდნენ. მუ ან ვცდები, თევზი ასე მთელი კვირაც კი შეიძლებოდა ცოცხალი [ფ.21] ყოფილიყო. შენახვის (კონსერვაციის) სხვა საშუალება მაშინ სოფელში ან ქონდათ, თუ ანა დამარილება.

მრთხელ ბოქაულს ქუთაისიდან ჩამოსული ვიღაც მაღალი მოხელე, რუსი, წამოუყვანია აქეთკენ ბბაშიდან ზ თანაც შეპირებია, ზუთხის მწვადებით გაგვიმასპინძლებიანო... მოვიდნენ ჩვენთან,... შეუდგნენ მზადებას,... ოღონდ ზუთხი ან იყო, იმ დღეებში ან დაუჭერიათ. მე ვატყობდი - მამა ძლიერ შეწუხებული იყო ზ კაცი გაგზავნა ჰეთილანისკენ, მეზობელი სოფელია ისევ რიონის ნაპირას, იქნებ იქ გინმეს აღმოაჩნდესო. იქიდანაც ხელცარიელი მოვიდნენ... სუფრას მთავარი კერძი, ზუთხის მწვადები აკლდა ზ ის-ის იყო, მაინც პურობა უნდა დანყებულებოდა, რომ შანაზე (ქუჩაზე) გამოჩნდა ბიჭია ბუგუშვილი ზ მალე ჩვენს ჭიშკარში შემოვიდა. ზურგზე თითქმის მისი სიგრძე ზუთხი ეკიდა... ყველანი წამოიშალენ, გარშემოეხვივნენ ზ დაიწყო დიდი მხიარულება - ზუთხი მოვიდა,... ზუთხი მოვიდაო!

ბიჭია, მართალია, უბრალო ზ ღარიბი კაცი იყო, მაგრამ უზომოდ თავმოყვარე... ბოქაულს მიმართა: ბატონო ბოქაულო, ზუთხი თევზია ზ როგორც სხვა თევზი, ანც ის დადის ხმელეთზე... ზუთხი კი ან მოვიდა, არამედ ბიჭია მეველე მოვიდა ზ ზუთხი მოიტანაო... რა თქმა უნდა, ბიჭიას უკმეხობა ანავის [ფ.22] წყენია; ანავინ ზ თვით ბოქაულიც ან იმჩნევდა, რომ რამე ეწყინა ზ დიდად ნასიამოვნები იყო:

თავის მაღალ სტუმარს შეპირებული კერძი შეეძლო მიერ-
თმია... ზუთხის დიდი ნაწილი, სადამოს რომ წავიდნენ,
ბოქაულს გაატანეს, რაც მე, ცოტა არ იყოს, მეწყინა; ხოლო
ბიჭია ძლივს მაღავდა გულისწყრომას ზე ერთი მაგრად
შეაგინა „მაგ ყეყერ პრისტავს“, მათ ზუთხის გემო რა იცინა,
ღორის ქონი სჭამონო...

09.03.80

ჩვენს სოფელში ცხოვრობდნენ სხვადასხვა გვარისანი:
ქობულიები (ცალკე უბანიც იყო სოფლის სიღრმეში -
საქობულიო ერქვა), სიმონიები, ჩაჩავები, შელიები, ლაბა-
ტყავები, ბუგუშვილები, ბბუნჯანიები, ბუგულავეები, ფინცხა-
ლავეები, ბაბულუები, პინცხალიები.

სოფელი მდ. რიონიდან სამხრეთისაკენ მიმავალი ორი
დიდი გზის მიმართულებით იყო უმთავრესად გაადგილე-
ბული. ეს გზები რიონიდან წარჩინალისაკენ, ფიჩორისაკენ,
ნიგოთის (ბურიის) მიმართულებით მიდიოდნენ. შარა-გზის
ორივე მხარეს იყო ეზოები, შიგ ჩადგმული სახლებით: ოდები
ზე სამზარეულო მიწური სახლები. ოდა, რა თქმა უნდა,
ყველას არ ქონდა - უმეტესობას მიწური სახლები ედგა.
თითქმის ყველას ეზოში ედგა ნალია (სასიმინდე) მაღალ
ბოძებზე, რათა სიმინდი არ დანესტიანებულიყო.

ზოგიერთ ეზოში ორი ნალია იდგა ზე თანაც მოზრდილები
- იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი სიმინდი შეეძლო მოეყ-
ვანა, რამდენი სათესი მიწა ქონდა. მარცვლეულიდან
მოყავდათ აგრეთვე ღომი ზე ჭადი, რომლითაც ამ დროს
[ფ.24] ღომისღომი ზე ჭადისჭადი ეწოდებოდა, რამდენადაც,
ჩვეულებრივ, ალბათ უკვე დიდი ხნიდან, მე-18 ს. მაინც
ჭადსა ზე ღომსაც უკვე სიმინდის ფქვილისაგან აკეთებდნენ.
სიმინდმა ისინი ადვილად გამოდევნა, როგორც ნაკლებ
შრომატევადმა ზე მეტი მოსავლის მომცემმა კულტურამ.
ღომი ზე ჭადი თავთავიანი კულტურებია, მჭიდროდ ითესება ზე

კატარა თოხით უნდა გაითოხნოს, მიწაც, ნიადაგიც მათ, როგორც საბადოსტნე, ისე დამუშავებული უნდა მოუმზადონ.

ჩემს ბავშვობაში მამა ყოველთვის სთესავდა ღომსა და ჭადსაც, ოღონდ ცოტა ფართობზე - 200-300 კვ. მეტრზე. ღომი და ჭადი ცალკე სათავსოში, უფრო სამზარეულოს სხვენზე ინახებოდა. ღომის საცეხვი თითქმის ყველა ოჯახში იყო, იმავე სახლის გარედ კედელზე მიდგმულ გაგრძელებულ სახურავქვეშ („ლაფარა“ - ოღონდ განიერი - 1,5-2 მეტრისა). ბქ იდგა შუაზე გადაჭრილი ქვევრივით ქვის საცეხველი - “ჩამური”, დაახლ. 70-80 სანტ. ჩაღრმავებული და ჯვარედინი, ერთი გრძელი ნაწილის თავზე ქუსლიანი, რაც ზედ ფეხებით შემდგარი ადამიანის მიერ ერთი ფეხით (უკანა ნაწილზე) დაჭერით ზეადმართულ საცეხველს, მეორე ფეხით, წინაფიცარზე, რომელზეც ქუსლი იყო მიმაგრებული, მაგრად დარტყმით, ეს ქუსლი [ფ. 25, საპირისპირო გვერდზე ნახაზია] ჩამურში ჩაყრილ, სხვენზე გამშრალ-გაფიცხებილ ღომის თავთავებს ფშვნიდა... და ბოლოს მიიღებოდა დასუფთავებული ღომის მარცვალი, წვრილი, ფეტვისნაირი, რაც წყლით ირეცხებოდა და მერე ქვაბში იხარშებოდა და ცოტაოდენი სიმინდის ფქვილის მინევით ჩაიზილებოდა. ბსეთი ღომისღომი ყველთან, სულუგუნთან ან რძესთან ერთად ჩემთვის ფრიად საამო საჭმელი იყო.

ბლექის ეზოში, უმცირესობისა, იყო აგრეთვე ერთი ფრიად საჭირო ნაგებობა - ხულა. ჩვენი ხულა ფრიად მჭიდროდ, ნაბლის ხის, ხელით ნათალი (იმის გაკეთების დროს ეტყობა ხერხი არ ჰქონდათ) ფიცრებისაგან იყო აშენებული.

მის წინ არც ისე განიერი (1,5 მეტრი) ბალკონი ქონდა. შიგნით იყოფოდა ფიცრებით გადატიხრული განყოფილებების სახით: აქ ინახებოდა ცალკეულ განყოფილებებში, ან პირდაპირ შიგ ჩაყრილი, ანდა სხვა ხის ან თიხის, ანდა კიდევ ტომრის ჭურჭელში ან გოდონში ჩაყრილი: ლობიო (ოთხ-ხუთნაირი), ცერცვი, ღომი, ჭადი, სიმინდის ფქვილი, ხილის ჩირი, ჩურჩხელები, ტკბილიკვერი, თაფლი, კაკალი, თხილი და სხვ.

ზულის ორ კედელზე თაროები იყო ღ იქ ელაგა [ფ.26] ან ქვემოთ იატაკზე მიდგმული იყო დოქები, კოკები, ბოთლები, კასრები, ნიგები ღ სხვ., რომლებშიც ინახებოდა ღვინოები (ქვევრიდან სახანჯოდ ამოღებული), ანაყი, ტკბილი სასმელები, თაფლი, დამარილებული თევზი ღ ხონცი, უფრო ღორის შაშხი, კვერცხები, მურაბები - სხვადასხვანაირი.

ზულა შედარებით მაღალ, 1 მეტრიან ბოძებზე იყო შედგმული, დახუნული იყო კრამიტით ღ მის სხვენზე კიდევ ზოგიერთი სურსათსანოვარე ინახებოდა, ხოლო ერთ გადატიხრულ დაბალ ღ ადვილად მისასვლელ კუთხეში: ბებიას წამლები - ათასგვარი კენჭები, ძვლები, ფესვები, ბალახები, რქები, ირმის რქის ნატეხიც კი, კბილები, ქვემოთ ინახებოდა: ეს ფრიად სუფთა კუთხე იყო. თავისი ასასვლელი მოკლე კიბეც ქონდა, რომელსაც თვით ბებია, როცა სურდა, მიადგამდა ღ აღიოდა. ბქვე იყო ფაიფურის, ხის, ქვისა ღ შუშის ჭურჭლები, ბოთლები, ჯამები, მათლაფები, კოლბები, რომლებშიც ბებია წამლებს აკეთებდა, ინახავდა ღ აძლევდა {გასცემდა - წედ. }.

შს ექიმბაშის აფთიაქი იყო. როგორც ამბობენ, ბებია მრავალ ავადმყოფობას კურნავდა, თვით ცოფსაც კი.

მასხოვს, ეზოში ურმები, რომლებითაც ცოფიანი ძაღლის დაგებნილი ავადმყოფები მოყავდათ... ზოგს სნეულების წამალს ავადმყოფის დაუნახავადაც აძლევდა - ჭირისუფალთან გასაუბრების შემდეგ.

ბებია ამასთანავე იყო კბილის ექიმიც ღ ჰქონდა ამისათვის სულ ორიოდე ინსტრუმენტი, ბასრი დანა ღ ორი თუ სამი მანწუხი (გაზი), რითაც ხშირად, მერე, პატარა ლურსმნებსაც ვიღებდით (მისი გარდაცვალების შემდეგ).

სხვათა შორის, ბებიას გარდაცვალების შემდეგ, მისი „აფთიაქიდან“ ზოგიერთ წამალს დედაჩემი ღ მამაც კი აკეთებდა ღ აწიგებდა. მამა ბიძაჩემის სიკვდილის შემდეგ (რომელიც ცნობილი ფერშალი - ფელდშერი იყო) ძალიან ხშირად უღებდა კბილებს არა თუ ჩვენი, არამედ მეზობელი სოფლიდან მოსულებსაც.

ბიძაჩემი - იოსებ ბუგუშვილი, როგორც ნასწავლი სამხედრო ფერშალი და მერე რაიონის ფერშალი, ხშირად ედავებოდა დედამისს (ბებიას), როგორც ექიმბაშს; მაგრამ საბოლოოდ ისინი ერთმანეთს ითმენდნენ, ... მაგრამ ისიც მახსოვს, რომ კონსულტაციისათვის ბიძა იოსები უფრო ხშირად მიმართავდა ბებიას (დედამისს), ვინემ პირიქით... ბიძა მკურნალობისათვის, განსაკუთრებით წამლის რეცეპტს თუ გამოსწერდა, ფულს ღებულობდა, ბებია კი - არასოდეს, მას ექიმობა „ღვთისმშობლისაგან ჰქონდა შთაგონებული და მისი ხელდასმით მუშაობდა“; ... ბიძაჩემი ზოგჯერ ექილიკებოდა დედამისს, როგორც ექიმბაშს: „დედაჩემი შედეას მოწაფეა და არა ღვთისმშობლისო“. ბიძაჩემი თანაგრძნობი თხოვნით იყო. პოლხეთის მეფის ასული მედეა ექიმი და წამლების მკეთებელიც იყო, ... მაგრამ ამ ცნობილმა მკურნალმა, ერთი რომელიმე გადმოცემით, საკუთარი შვილებიც დახოცა ვითომ... (თურმე, მომტაცებელი ქმრისაგან რომ ყავდა, საბერძნეთში).
ეს „დღიურში“ უნდა ჩამეწერა, შემეშალა.

07.04.80

ჩვენი სოფლის - პოდორის - სკოლას ეწოდებოდა: „მანათლების სამინისტროს მრთველასიანი სასწავლებელი“. იგი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა და აქ სულ ორი მასწავლებელი იყო. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ ბაბაშის ორკლასიან სასწავლებელში შემიყვანეს 1914 თუ 1915 წელს. იქვე ვცხოვრობდი ს.პაპანაში ზურაბ ჭომაიას ოჯახში. ბიძაჩემი ერთი ჩვენი ნათესავი ბავშვი, ჩემსავით მოწაფე ცხოვრობდა. ზ.ჭომაიას ეზოში ერთი სამთავალიანი ოდა და ერთი მიწური სახლი და კიდევ 1 პატარა ნაღია იდგა. მისი მთელი სახნავ-სათესიც მისი კარმიდამო იყო და აქ მოყვანილი სიმინდი, ლობიო, ხეხილი და სხვ. მის ოჯახს იწახავდა. ყავდათ 1 მენველი ძროხა და ცალუდელა ხარიც.

მისი ერთადერთი ასული გათხოვილი იყო და სახლში მარტო მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მამაჩემი მათ

განდა ფულისა (ბინისათვის), აძლევდა აგრეთვე სიმინდის ფქვილს, [ფ.31] ყველს, ლობიოს, ქათამს, შამხს და სხვ. რაც კი საჭირო იყო ჩემთვის საჭმელად. დღეში სამჯერ ცხვებოდა ჭადი, ხანაც აკეთებდნენ ღომს და ჩვენ მიერ მიტანილი საჭამადით გვიმასპინძლებოდნენ ორივე მონაფეს. საჭმელს, როგორც წესი, სამზარეულოში ვჭამდით და აქ პატარა ტაბაკს, ჩვეულებრივ, ოთხი სული მივუსხდებოდით. საჭმელს ოჯახის უფროსი გვინაწილებდა. ჩვენს წინ აღაგებდა ის ჩვენს კერძს და ბოლოს, უფრო ხშირად, სუფრაზე ნამცეცებიც კი არ წჩებოდა. მხოლოდ წყალი იყო სურვილისამებრ განუსაზღვრელი რაოდენობით დასალევი და ამისათვის სუფრის გვერდით, მინაზე მოზრდილ დოქში ყოველთვის საკმარისი წყალი მოიპოვებოდა. 1-2 საინი, დანა და ჭიქა ჩვენივე გვექონდა და მას ჩვენვე გავრეცხავდით ჭასთან დადგმულ ჯირსკასა და წოფზე.

ბქ ცხოვრება ერთფეროვანი იყო. დილას სკოლაში დროზე წასვლა. იქ მეცადინეობის შემდეგ პირდაპირ სახლში დაბრუნება... პარასკევობით ბაბაში ბაზრობა იმართებოდა და მე მიყვარდა სკოლიდან სახლში მომავალს ბაზარში გავლა. ზამთრობით კვირაში ერთხელ მაინც აქ შემეძლო მეყიდა ხილი: ვაშლი, მსხალი, თხილი, კაკალი, ხურმა და სხვ., რასაც, უფრო ხშირად, სახლში მისვლამდე გზაშივე შეგჭამდი ხოლმე. თუ ბაზარში ვინმე ჩვენს სოფელს გავავეყრებოდი, შემადგვიანდებოდა. იგი მომიყვებოდა [ფ.32] სოფლისა და ჩემი ოჯახის ამბებს.

ჩემი მასპინძლის მოვალეობა იყო: არ დამკლებოდა სასმელ-საჭმელი და მქონოდა თბილი ლოგინი. მრთ დიდ ოთახში ვიწექით მე, მეორე მონაფე და ოჯახის უფროსი. მგით დიასახლისი და მათი შვილიშვილი, მოზრდილი გოგონა, მეორე ოთახში წვებოდნენ. ზამთრობით გათბობით მხოლოდ ჩვენი ოთახი თბებოდა. ბქ იდგა თუნუქის („ჟესტის ფეჩი“).

თუ როგორ ვსწავლობდით, ეს საკითხი მასპინძელს საერთოდ არ ეხებოდა. ის არასოდეს გვეტყოდა: დაუქეით,

იმეცადინეთ, წიგნი წაიკითხეთო. თვითონ საერთოდაც არ იცოდა წერა-კითხვა და ამისათვის არც დანდობდა.

მითქმის ყოველ შაბათს მეცადინეობის შემდეგ, თუ ძალიან ცუდი დანი არ იყო, მივდიოდი სოფელში. მს გზა დაახლოებით 6-7 კილომეტრს უდრიდა და არ მახსოვს, ოდესმე დამზარებოდა მისი გავლა. სახლში, ცხადია, ყოველთვის მიმიხაროდა, განსაკუთრებით სანამ დედა ცოცხალი იყო.

ბაბაში სწავლის დროს, 1915 წ., ერთხელ ძლიერ ავად გავხდი მუცლის ტიფით. თურმე სასიკვდილოდ ვიყავი გამზადებული. მამას ერთი ექიმი მოუყვანია სენაკიდან (სამაზრო ცენტრი იყო). მას უთქვამს, ძნელი გადასარჩენია, მაგრამ იქნებ გუშველოთო. მამას უთხოვია, რომ ის ჩვენთან სახლში დარჩენილიყო, სანამ არ მომარჩენდა... და მოუყვანია ქალთასთან. შჩვენებია შიგ პირუტყვი - ორი ხარი, სამი მეწველი ძროხა, ხბოები,... კიდევ ცხენებიც და უთქვამს, ფული არა მაქვს და ამ პირუტყვიდან, რამდენსაც მოითხოვ, მოგცემ, ან გავყიდი და ფულად მოგართმევო. მას ორი მეწველი ძროხა უთხოვია... და მართლაც, სანამ ფეხზე არ დამაყენა, არ წასულა. მხოლოდ წამლების მოსატანად მიდიოდა და ისევ ბრუნდებოდა... ბოლოს, მხოლოდ ერთი ხბოიანი ძროხა წაუყვანია და რამდენიც უნებზე დაეტეოდა, ხორაგეულობა: სიმინდი, ღომი, დაკლული ღორი, ღვინო, ჩურჩხელები, ყველი, ქათმები და სხვ.

1916 წელს ბაბაში გაიხსნა 4 კლასიანი საქალაქო სასწავლებელი, სადაც, ცხადია, მამამ მაშინვე გადამიყვანა. ბქ დავყავი 1-2 წელიწადი. ზოლო მერე ფოთში წამიყვანეს, სადაც ჩემი დეიდა ცხოვრობდა თავისი ოჯახით - ეს იყო დიანოზ ლასარეიშვილის ოჯახი. იგი სამიოდე წლის [ფ.32] წინათ გადასახლდა ფოთში ნოსირიდან (ტყვირიდან) და ფოთის პორტში მუშაობდა მტვირთავ მუშად. მე, ობოლს, აქ დეიდა, თავის ბავშვებთან ერთად, ცხადია, უკეთ მომივლიდა, ვინემ ეს შეიძლებოდა ბაბაში - უცხო ხალხის ოჯახში. მანაც ფოთში სწავლების უფრო მაღალი დონე იყო და მამას

უმთავრეს საბუთად, თუ რატომ გადამიყვანა ფოთში
სწორედ ეს მიაჩნდა.

5-6.08.80.

ბონჯოში - „ლიკანი“

ქ. ფოთში თავდაპირველად ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში დავდიოდი. მერე 1917 წლიდან უკვე ფოთის გიმნაზიაში გადამიყვანეს. ფოთის გიმნაზია ცნობილი იყო თავისი მასწავლებლებით. ბქ მუშაობდა შემდეგში ცნობილი მეცნიერი სერგო დანელია, მიხეილ პინწურაშვილი (მწერლობაში - იასამანი), ბესარიონ წიფურია ბ სხვ. ბქ კარგად იყო დაყენებული ბერძნული ბ ლათინური ენებისა ბ ლიტერატურის სწავლება, აგრეთვე ფრანგული ენისა.

ფოთში პირველად გიგრძენი, რომ მე ბავშვობა უკვე გავათავვე, თუმცა ჯერ კიდევ 13-14 წლისა ვიყავი. ბქ 1918 წ. ოქტომბრიდან ბ რუსეთის სხვა ქალაქებიდან ბლომად ჩამოვიდა, დროებით, ევროპისაკენ მიმავალი რუსეთის ოფიცრობა ბ საერთოდ ბუნუაზია-არისტოკრატია. მართხანობით ფოთი გაივსო წითლებისაგან გამოქცეული ემიგრაციით... ფოთის ბაზარზე კი იყიდებოდა ამ ოჯახების მრავალგვარი ნივთები, კერძოდ, გენერლებისა ბ სხვ. ჩინ-თრდენ-მედლები, კოსტიუმები, ჩექმები, ხმლები, პისტოლეტები, ძვირფასი ტანისამოსი, მოსასხამი, ჯამ-ჭურჭელი, ოქროვერცხლის სამკაულები ბ სხვ. მრავალი.

დავდიოდი ამ ჭრელ ბაზარზე, სადაც ხსენებულ ნივთებთან ერთად იყიდებოდა ხილი ბ სასმელ-საჭმელი, საერთოდ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტები ბ სხვ. მახსოვს ერთმა ჩვენი სკოლის მოწაფის ძმამ სოფლიდან მოტანილი ჭაჭის არაყსა ბ ჩურჩხელაზე გაცვლით შეიძინა გენერლის მთელი მუნდირი,.... რასაც ჩვენ მერე მის ბინაში ვიზომებდით ბ გამოფგიმული ვიპზანჭებოდით ერთმანეთისა ბ სარკის წინ. ზოლო მყიდველმა, ყოფილმა ჯარისკაცმა, გვითხრა, სოფელში უნდა წავიღო, ბსკანაში, ბ ამ კოსტიუმში

რომელიც ორი წლის წინ უსაშველოდ მაშინებდა, ახლა სიმინდის ყანა უნდა ვთხოვხო.

იმ ხანებში ფოთის ბაზარი მთელი სანახაობა იყო. ზე მე როგორც სკოლაში, ისე აქაც მათებდა წიგნები ზ ადამიანები, რომლებიც ხშირად ტანზე იხდიდენ ზ აქვე ყიდდენ იმას, რისი მყიდველიც გამოჩნდებოდა.

მრთი წიგნი - „ფრანგულის მავითმასწავლებელი“, ვიყიდე უფრო იმიტომ, რომ ასე ძვინფასად შეკაზმული წიგნი მანამდე არსად არ მენახა. მამყიდველმა, ეტყობოდა ფრიად მაღალი წრის მანდილოსანი იყო, იქვე მდგარ ახალგაზრდას, ალბათ შვილს, რომელსაც ფრანგულად ელაპარაკებოდა, გამოართვა ზ კიდევ ორი წიგნი მაჩუქა, მას მერე, როცა „ფრ. მავითმასწავლებლის“ ფასი მივეცი. მე არ მინდოდა წამომელო, მაგრამ ძალით მომაჩეჩა ხელში...

შემდეგ დეიდამ ბაზარში არ გამიშვა - ამდენ წიგნში ალბად მთელი შენი ფული დახარჯეო... წიგნები იმ დღეს მამაშენმა იმდენი გიყიდა, ჯერ ისინი სანახევროდ არ წავიკითხიაო ზ სხვ.

მებერვლისა ზ მქტომბრის რეგოლუცია რომ დაიწყო, ბბაშისა ზ ფოთის ხოლებში ვიყავი ზ ჩემთვის ეს როგორც რომანტიკული ზ თავგადასავლური მოთხრობის სახით გამოიყურებოდა... ის ხდებოდა, რაც ვითომ მანამდეც ხდებოდა, თუმცა სხვანაირად ზ სხვა რიგად. შესწრებოდი მიტინგებს, სადაც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ხოლო პოლიტიკური პარტიები სოკოსავით ჩნდებოდნენ. მენშევიკები, ბოლშევიკები, ფედერალისტები, პადეტები, წაციონალ-სოციალისტები, მროვნულ დემოკრატიული პარტია ზ სხვ.

სკოლებში, შესვენების დროს, დერეფნებში გამოდიოდნენ ორატორები, უფრო თვით სკოლის მაღალი კლასის მოწაფეები ზ მოგვიწოდებდნენ ამა თუ იმ პარტიის მომხრეები ზ წევრები გავმხდარიყავით...

შკვე მეხუთე კლასში ვიყავი ფოთის გიმნაზიისა, როდესაც მაღიარით ძლიერ ავად გავხდი. მამა ჩამოვიდა. იმ დროს

ფოთში ცნობილი ექიმი იყო ტერნიკოვოროვი. მამა თურმე მას კარგად იცნობდა... საბოლოოდ დადგინდა, რომ ფილტვების დაჩრდილვა მაქვს ზე ფოთში შემდგომი დაჩრქენა ტუბერკულიოზის განვითარებით იმუქრებოდა. იმავე წლის ზაფხულში ბახმაროში წამიყვანეს. ბქ მამას ქონდა ერთი პატარა ძელური სახლი („ჯანგვალი“), სადაც საკმაო დრო მაქვს გატარებული ზე თრიოდე შემდგომი წელიც ვიყავი. მტყობა, აქ მოვწჩი. მაგრამ ფოთში დაბრუნება მაინც [ფ.38] გამონიცხული იყო...

სწავლის გაგრძელების მიზნით ქუთაისში წამიყვანეს, სადაც საშუალო განათლების კურსი გავიარე. შინველად მხეიძის კურსებში ვსწავლობდი. მრთ წელიწადში თრი წლის, მეექვსე-მეშვიდე, თრი კლასის საგნები ჩავაბარე ზე მერე ტექნიკუმში შევედი, რომელიც 1922 წ. დავამთავრე.

ქუთაისში ჯერ გიმნაზიის მასწავლებლის — ლუქვინამის (ლუქვინამის?) სახლში, ხოლო მერე ყოფ. პოლკოვნიკ კ. ნიჟარაძის სახლში ვცხოვრობდი. ბქ კარგად მივლიდწენ. დიასახლისი მის თრ შვილიშვილსა ზე მე პატრონობას არ გვაკლებდა. პურმარნილობა იყო ზე მამას თითქმის ყოველ თვეში ერთხელ ჩამოჰქონდა საკმაო სიმიწდის ფქვილი, ყველი ზე სხვა პროდუქტები, რაც აქ თთხ კაცს სჭირდებოდა. ბმაში ჩემი მოვლა, კვება ზე ბინის ქირაც შედიოდა. მე ჩემთვის მქონდა კარგი მზიანი თთახი მეთრე სართულზე — რაც მამამ თვითონ შეარჩია იმ სახლში ზე სურსათით, კერძოდ ჭადით ყველას მომარაგება იკისრა. ყოველი ჩამოსვლისას მამა ქუთაისში ჩემთან 3-4 დღე რჩებოდა, კონტროლი-სათვის. მე სიგარეტის წევას შევეჩვიე ზე სწორედ ამის აღკვეთა მას აუცილებელ საჭიროებად მიარჩნდა.

პარგად მახსოვს, ერთხელ პაპიროსის მწვევლებს მოგვის-წრო ზე დიდი სკანდალი ატყდა. ს. მაღლაკიდან სახლის პატ-რონი კ. ნიჟარაძე ჩამოიყვანა. მისი თრი ვაჟი, დედა (ბავშ-ვების ბებია) ზე მე ვიყავით ერთად. მამაჩემი მოითხოვდა უთუმცაო აღთქმას ზე პირობას, რომ სამივე ბიჭი (ჩვენ) თამბა-ქოს წევას მივატოვებდით. მას ძალიან ეშინოდა, რადგან

ჩემთვის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, ეს აუცილებლად მიაჩნდა. საბოლოოდ თავისას მიაღწია... მაშინ ათი დღე იყო ქუთაისში, ჩემს ოთახში იწვა ზ მთელი დღე გვიდაწაჯებდა. წასვლისას მითხრა, რომ ხშირ-ხშირად ჩამოვალ ზ თუ თამბაქოს წევას ან მიატოვებ, თავს მოვიკლავო, წადგან შენ იგი მოგკლავს, ხოლო შენს მეტი ვაჟი ან დამჩენია ზ წალასთვის უნდა ვიცხოვროო ზ სხვ. ზ სხვ. მართლაც, მივატოვე ზ მერე ან დამიწყია... ბხლა დარწმუნებული ვარ, რომ ან მიმეტოვებია, აქამდე ცოცხალი ვერ მოვაღწევდი.

ქუთაისი იმ დროს პოეტებით იყო სავსე. სკოლაშიც მოწაფეები გვიკითხავდნენ თავიანთ ლექსებს. მეც დავიწყე ლექსების წერა ზ სხვებთან ერთად, როდესაც გაკვეთილებზე მასწავლებელი ან მოვიდოდა, წიგრიგობით ავდიოდით კათედრაზე, ზ იმართებოდა... ლექსების ტურნირი.

მრთხელ, ზარი უკვე დარეკილი იყო ზ მასწავლებელი ან მოვიდა, ორიოდ მოწაფის შემდეგ მე გამოვედი ზ დავიწყე კითხვა, ეტყობა, ისე ვიყავი გატაცებული, რომ ვერ შევამჩნიე: თურმე მასწავლებელი მ. პელენჯერიძე შემოსულა კლასში ზ ყურს მიგდებდა. როდესაც შევჩერდი, ხმამაღლა მკითხა: ვისი ლექსი იყოო. მე დავიბენი. მოწაფეებმა უთხრეს, აქ ჩვენ მხოლოდ საკუთარ ლექსებს ვკითხულობთო.

იმ დღეს პელენჯერიძემ მთელი გაკვეთილი მიუძღვნა საკითხს, თუ რა არის ლექსი, ლექსთაწყობის, მეტრის, რითმის ზ სხვ. შესახებ ილაპარაკა. ხოლო ერთი თვის შემდეგ სპეციალური გაკვეთილი დანიშნა, სადაც ყველა მსურველს შეეძლო გამოსვლა ზ თავისი ლექსების წაკითხვა, რაც ძალიან მოგვეწონა.

ქუთაისში ბევრი რამ ვისწავლე, სკოლის გარეთაც. ბქ საბოლოოდ დავემშვიდობე ბავშვობას ზ მივეჩვიე დამოუკიდებელ ცხოვრებას, რაც სულ უფრო რთული ზ მრავალნახნაგოვანი [ფ.40] ხდებოდა. მე უკვე თავს ვგრძნობდი არა თუ მხოლოდ საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულ, სიმწიფის ატესტატის პატრონ კაცად, არამედ აგრეთვე

მოქალაქედ, რომელსაც თავისი აზრი ღ პოზიცია აქვს არა თუ საკუთარი ცხოვრების შემდგომი მიმართულებისათვის, არამედ, ამასთანავე, ქვეყნის, საზოგადოების სახელმწიფო-ებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თაობაზე...

თბილისში გადასვლა ღ შნივერსიტეტში შესვლა რიგ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. 1922 წ. ბქ ბიძისა ღ დეიდის, ონა კიზირიასა ღ მისი დის, ბლათი ბოკუჩავას, ოჯახში ორიოდე თვე ვიყავი. სოფელში დაბრუნებულმა თან წავიდე ბ.ბელინსკის თხზ. კრებული ოთხ ტომად, რომელსაც მთელი ზაფხული განუწყვეტლივ ვკითხულობდი, ვსწავლობდი, ამონაწერებს ვაკეთებდი ღ რომელიც ჩემი გზამკვლევი გახდა საერთოდ ლიტერატურისა ღ კერძოდ მხატვრული ლიტერატურის დარგში... მგრძნობდი, რომ ამ წიგნმა ამაძალდა ტოლ-სწორთა წარმოდგენაშიც,... მათზე მეტი ღ ბევრი ვიცოდი...

ბხლა ისევ უკან უნდა დავბრუნდე ღ სანამ თბილისში სწავლისა ღ ცხოვრების ამბებს შევეხებოდე, მინდა ისევ სოფლისა ღ ჩემი ოჯახის შესახებ მოვყვე.

13.8.80

ბორჯომი — „ლიკანი“

საერთოდ ბბაში ვსწავლობდი, ფოთსა თუ ქუთაისში — ზაფხულსა ღ საერთოდ არდადეგებს სოფელში ვატარებდი.

ჩემი ბავშვობის წლებში (1912-1920) ს.კოდორში ჩვენს მეზობლად, ერთ შარაგზაზე, რიონის სანაპიროდან რომ სოფლის ცენტრისა ღ მერე ბურიისაკენ მიდიოდა, ცხოვრობდნენ: რიონის მხარეს — მამის ბიძაშვილების წამურნი, ტარიელ ღ პეპუ ბუგუშვილების (ძმების) ოჯახი. მერე პეტრე მსაკიას ოჯახი, ის ხსენებული ბუგუშვილების დის ქმარი იყო, ზედსიძედ მოსული. მერე პაჭარავების ღ ბოლოს კიდევ შობულისა კარმიდამო იყო. ბმ გზის მეორე მხარეს ცხოვრობდნენ შელიები, სიმონიები ღ პაჭარავები.

სოფლის ცენტრისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ ცენტრამდე იყო შელიების, ბბურჯანიების, ბზიავეების, ბგულაგების, სისკამიების, ჩაჩავეების, შელიების კარმიდამოები...

ბმ ოჯახთა უმრავლესობა ღარიბი იყო, სულ სამიოდეს ედგა ოდა. ღანარჩენები მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ. მრთ-ერთი ასეთი იყო ბ.მსაკიას ოჯახი. მას ოთხი ასული ჰყავდა, ოთხივე გასათხოვარი. მათი მიწური სახლი ორ ოთახიანი იყო. მრთში, პატარაში, შუაცეცხლი იყო, იგივე იყო სასადილოც ბ ცოლ-ქმრის საწოლი. მეორე, უფრო დიდში, ებინა ოთხსავე ქალიშვილს. ბქ ფრიად დიდი სისუფთავე სუფევდა. ლოგინზე გაქათქათებული საბნები ბ ბალიშები, სულ მოქარგულები ბ ბორდიურებით შემკულები იყო. შუაში მაგიდა ბ მერე რამდენიმე უბრალო სკამი იდგა. სტუმრებს აქ ღებულობდნენ. პედელზე ჩონგური ბ გიტარა ეკიდა. ოთხივე ბ უკრავდა ბ მღეროდა. მცვათ საკმაოდ კარგად ბ მოხდენილად,... სუფთად, გაკრიალებულად.

პეტრე დღე ბ ღამეს ასწორებდა მუშაობით. ყანიდან გვიან საღამოს ბრუნდებოდა. ქალიშვილებს, ეზოს პანწანა ბალ-ბოსტანს გარდა, სხვაგან, ყანებში სამუშაოდ არ უშვებდა. მსინცხვილებოდათ სათოხანში გოგოების გაყვანა ბ უმზითვობისა ბ სხვ. მიზეზის გამო მათი გათხოვებაც, თუმცა ლამაზები ბ კარგები იყვნენ, ვერ ხერხდებოდა. შფროსი ვითომ სოფლის მასწავლებელს უნდა შეერთო, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მან მზითევი იცოტავა. ბმ ოჯახს სულ ორი ძროხა ბ უღელი ხარი ყავდა. შმეტესად იჯარით აღებულ მიწას ამუშავებდა ბ მთელი მოსავლის მესამედი მიწის პატრონს მიქონდა. ქალები კი სულ ასაკში შედიოდნენ. მძიმე მდგომარეობა იყო,... უფროს ასულს ჭლექი შეეყარა. ყველაზე უმცროსი, მარია, დედაჩემის მონათლული იყო ბ ჩვენთან წამოიყვანეს - თავის ოჯახს მონადეს. მაგრამ ეს არ იყო საკმაო დახმარება... ტუბრკულიოზი მერე მეორესაც დაემართა... ბ ასე ნელ-ნელა ეს ოჯახი სულ გაქრა, ამოწყდა. მხოლოდ მარია გათხოვდა სხვა სოფელში ბ შექმნა ოჯახი.

1930-იანი წლების შუაში სოფელში რომ ვიყავი, მათ ეზოში ის ერთადერთი სახლიც სახურავჩაქცეული იყო. სრული უპატრონობა სუფევდა იმ კარმიდამოში. 6 სული-საგან შემდგარი ოჯახიდან არაფერი დარჩენილა. წინა წლებში მართას მოუკითხია, ჩვენსას მოსულა და მისი მშობლების ნასახლარიდან, სამახსოვროდ, ერთი ძველი თოხი წაუღია. სხვა ლითონისა და თიხის იარაღ-ჭურჭლეულიდან არაფერი არ უპოვნია. მთელი კარმიდამოს ხისგან ნაკეთები ნივთები ან დამპალი და ან განადგურებული ყოფილა... და ყოველივე გამქრალა.

„...ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე ბაღახი აბიბინდება...“ ოჯახში არ ქონიათ არც ერთი ვერცხლისა ან ოქროს ნივთი. სპილენძის ტასტი ქონდათო, მაგრამ დაკარგულა.

ჭუთაისში ჩემზე ადრე ჩვენი სოფლიდან იყო მხოლოდ ორი მოწაფე. მრთი მღვდლის ვაჟი და მეორე შეძლებული ოჯახის ვაჟი. ისინი 4-5 წლით ჩემზე უფროსები იყვნენ და ფრიად ცნობილი მოქეიფე და დარდიმანდი ბიჭები. როდესაც სოფელში ჩამოდიოდნენ, სულ ქეიფსა და დროისტარებაში იყვნენ, მერე გვანდიის ოფიცრები გახდნენ...

მამას არ უნდოდა, რომ მე მათ წრეში ვყოფილიყავი და ამას ასაკობრივი განსხვავებაც ხელს უწყობდა. მაღე ჩემს კვალზე, მამაჩემის ხელშეწყობით, ორი ჩემი ტოლი ყმაწვილი ჩამოვიდა ქუთაისში სასწავლებლად. ისინი კარგად სწავლობდნენ, მაგრამ რევოლუციებით და სხვა მიზეზით გაძნელებულმა ვითარებამ ჩამოაშორა სკოლას. ისე მოხდა, რომ ყველა ამათგან მხოლოდ მე შევძელი უნივერსიტეტის დამთავრება... – და ამ მხრივ პირველი ვიყავი მთელ სოფელში...

ჭუთაისში ახალი ჩასული ვიყავი. კ.ნიჟარაძის ოჯახში ვიყავი სრული პანსიონატის პირობებში. მგით კ.ნიჟარაძე ს.მადლაკში ცხოვრობდა, ხოლო მისი ორი ვაჟი, პალოდია და შალვა, ქუთაისში, სწორედ [ფ.45] იმ სახლში, სადაც მე ვიყავი მათი ბებიის მეთვალყურეობით. ეს ბებია გვიკეთებდა საჭმელს, გვირეცხავდა საცვლებს და სხვ. პალოდია უფროსი იყო, შალვა ჩემი ტოლი. მრავლად ყოფილ სათავადაზნაურო

გიმნაზიაში სწავლობდნენ. პალოდია უკვე ცნობილი იყო, როგორც დარდიმანდი, მოქეიფე ზე „დამრტყმელი“ ბიჭი.

მრთხელ სკოლაში ჩხუბი მომვიდა ერთ მოწაფესთან. რომ მე პირველ რიგში ვჯდებოდი ზე პარტაზე ვითომ მის ადგილს ვიკავებდი. მრთხელ დამემუქრა: იმ ადგილზე არ დაჯდე, თორემ გცემო. მე მეორე დღეს მაინც იმ ადგილზე დამინახა. მომვარდა, მაგრამ ამ დროს მასწავლებელი შემოვიდა ზე მომეშვა.

შესვენებაზე, სკოლის ეზოში, რიონის ნაპირას, დიდი ჭადრების ქვეშ ვიდექი. მომვარდა ვილაც, მეორე კიდეც მოეხმარა ზე მომერინე, მცემეს... სახლში ხალათშემოხეული დავბრუნდი. შალვამ გამოძკითხა ზე ყველაფერი ვუთხარი. მეორე დღეს შალვამ სკოლაში მოძაკითხა. ის ბიჭები მაჩვენო. მე უარი ვუთხარი. ბრ დამიჯერა: შენ ჩვენი სტუმარი ხარ ზე შენი ცემა ჩვენი ცემაც არისო. პალოდია აქაა, ქუჩაში [ფ.46] სეირნობს, ახლა სადაცაა გაკვეთილები გათავდება ზე გარეთ რომ გამოვლენ, ჩვენ ვუჩვენებთო... ბმ ლაპარაკში რომ ვიყავით, ის ბიჭები თვითონ მოვიდნენ ჩემთან ზე დამემუქრნენ: დღეს ამ მეორე ხალათსაც შემოგახევთო... ბმგვარად, შალვამ გაიგო, თუ ვინ იყვნენ... ბარეთ ვართ ქუჩაზე... სკოლას საკმაოდ დავშორდით. ბმ დროს მოვარდა პალოდია ზე შეგვაჩერა... მალე ის ბიჭები წინ დამიყენა ზე იმათ უთხრა: აბა შემოახიეთ ახლა ხალათითო. ორივე მეცენ... ზე ახლა არც იყვნენ საამისო გუნებაზე. პალოდიამ ერთს საყულოზე წაავლო ხელი ზე განზე გააჩერა: თითო-თითოდ მიდით, ორი ერთის წინააღმდეგ სად გაგონილაო. რაკი ხელში ერთი შემჩრა, მე ის იმნამსვე მოვიგდე ქვეშ ზე გცემე. პალოდიამ მისთვის ხალათის შემოხევა მოითხოვა. მე როგორღაც ეს ვერ გავაკეთე. ოვითონ მივარდა, ეცა ზე ხალათი მთელ ტანზე შემოახია. ბმასობაში მეორე გაიქცა. იმას შალვა დაეწია ზე წააქცია. პალოდიამ მითხრა, მიდი ზე რამდენიც გინდა, ცემეო. მრთი-ორი მაგრად ვუთაქე, მაგრამ ამასობაში ხალხი მოგროვდა ზე ჩვენც დავიშალეთ...

რამდენიმე დღის შემდეგ ვალოდია სკოლის ეზოში ვნახე. იქ მოთამაშე ბავშვებს გამოუცხადა: პაატა ჩვენი, ნიჟარაძეების, სტუმარია და ყველამ იცოდეთ და არა დაუშაოთ რა, თორემ ჩემთან გექნებათ საქმეო... და უთხრა, თუ როგორ გავუსწორდით წინა დღეებში იმ ბავშვებს...

ყოველ შაბათ საღამოს სამივე ბიჭი მაღლაკში მივდიოდით ვალოდიას და შალვას მშობლებთან. პონია ნიჟარაძე თავმოყვარე კაცი იყო. უაფხულ-შემოდგომაზე კვირა დღეს მის ოჯახში სადილი, თუ მზიანი დღე იყო, ეზოში, კაკლის ხის ქვეშ, თუ არა და სახლის ფართო ბალკონზე იმართებოდა... და იყო გრძელი სადღეგრძელოები, სიმღერა, ცეკვა.

პონიას უყვარდა, როდესაც ჩვენი ეტლი მის ჭიშკრის წინ გაჩერდებოდა. დაგვინახავდა თუ არა, ერთ ხმაურს ატეხდა: ბიჭები მოვიდნენ, ეტლით მოვიდნენ, კარები გაუღეთ, ეზოში შემოუშვით, მეეტლეს ღვინო ასვითო და სხვ...

30.10.81

მხოლოდ დღეს, დამის 1 საათზე, ისიც წყნეთში, კვიდებ ხელს ჩემს მოგონებებს და მინდა გავაგრძელო...

...მრთხელ საეტლო ფული არ გვქონდა და დილიუანსს გამოვყევით. ის ცოტა ზემოთ ჩერდებოდა და ნიჟარაძეების სახლში მოვედით... როგორ, ფეხით მოხვედით? – გაიკვირვა პონიამ. ვალოდიამ უთხრა, დილიუანსს გამოვყევითო! როგორ, ნუთუ? – სამ ვაჟკაცს ფაეტონის ფული არ გაგაჩნდათ,... მეორეჯერ არ დავინახო,... ბებიასათვის გეთქვათ და ის მოგცემდათ, თქვე გლახაკებო!

და დაიწყო ქოთქოთი, ხუმრობა, აბა ჩქარა, სუფრა გაშალეთ!... ღვინო შავი გირჩევნიათ თუ თეთრი?! შემწვარი გოჭი შეათბეთ, ჭადები მიაფიცხეთ, ხაჭაპურები გააცხელეთ და სხვ. – ყვირის ბალკონიდან... უნდა, რომ მეზობლებმა გაიგონონ, განსაკუთრებით უნდა დაახარბოს მის ძმას, დათა ნიჟარაძეს – უახლოეს მეზობელს.

ეს დავითი (დათა) მდიდარი იყო ზე კონიას სულ იმის ქონების დარღები აწუხებდა: რად უნდა, რაში უნდა მოიხმაროს; შვილებს მაგი არ ასწავლის ზე ამაში ფულები არ ეხანჯება, საფლავშილა შეუძლია ჩაიტანოს... ზე ზედვე ისევ ხმამაღლა მიაცოლებდა, იძახდა: გაზეთები ხომ ჩამოიტანეთ, რა ახალი წიგნები გიყიდიან, ბიჭებო, აბა მაჩვენეთ, წამიკითხეთ ზე სხვ.

ნამდვილად, ღარიბული სუფრა გაიშლებოდა. სადღა იყო გოჭი, ან ხატაპურები! ის კი უნდა ითქვას, უღვინოდ კონია სადილს არ მიირთმევდა ზე ის ღვინო, როგორც გინდ შელანძღული არ ყოფილიყო, ნახევრად ძმარიც კი,... იძახოდა — ჰოხ! რა ღვინოა, ღვინო კი არა ზიარებაა, ნამდვილი ზიარებაა! ბოლოს სუფრაზე გოჭისა ზე ხატაპურის ორიოდვე ნატერს შემოდგამდნენ ზე — გვეყოფა, მეტი ჭამა არ შეგვიძლიანო!

ოსეც ხდებოდა. სხვა დროს სოფელში ქუთაისიდან ფეხითაც ჩავიდოდით ზე ზედ სოფლის თავზე, მოსახვევში მეეტლეს ერთ აბაზს მივცემდით, რომ ეტლი ერთი გაერეკა ზე ზედ წიუარაძეების ჭიშკართან მიეგდო — ვითომ რაო ზე [ფ. 50] ქუთაისიდან ეტლით ჩამოვედით ზე რომ კონიას თავისი ტრაბახი არ მოეშალა!

1922 წლის მაისია, მე ტექნიკუმს ვამთავრებ... ივნისს საბოლოო გამოცდები მიდის... სკოლის ეზოში მონაფეები ირევიან — გოგონები,... ბიჭები. საღამოვდება. დიდი ნაწილი მივდივართ ბაღში... ბზაზე ლაპარაკია, თუ ვინ როგორ ჩააბარა გამოცდები, თუ ვინ როგორი კარგი იყო გამოცდებზე, თუ ვინ სირცხვილი ნახა გამოცდებზე, თუ ვინ გაგონდა გამოცდებზე ზე ა. შ...

და დაახლოებით იქ, სადაც ახლა ბკაკის ძეგლია, ათიოდე კაცს ერთბაშად სამხედროების ალყა შემოგვეკრტყა,... მილიციაც გაჩნდა და... ბვიბრძანეს მთავრობის სახელით, რომ გვაპატიმრებენ ზე უნდა გავყვეთ... მერე სულ ჩმპას ეზოში შეგვრეკეს — ეს სახლი წინათ ოლდენბურგის სასახლე ყოფილა. უკვე ღამე იყო... ბოგონები მალე

გაუშვებს, ხოლო ჩვენ, ხუთიოდე ბიჭი, ადამიანებით სავსე დიდ დარბაზში შეგვიყვანეს და დილაბდე იქ ვიყავით [ფ.51]. ისე, რომ წამოსაწოლი ადგილიც ზოგს არ ქონდა. იმ ღამეს და მეორე დღესაც აქ ბევრი პატიმარი მოიყვანეს. საერთოდ დიდი სივინროვეც იყო... მესამე დღეს გამოიწვევა, რომ თურმე ჩვენ დაგვაპატიმრეს, რადგან გამოსვლების მომზადებაზე გვქონდა შეკრება და მსჯელობა... ჩვენ რომ გამოცდებზე ვსაუბრობდით, თურმე ასე გაუგიათ... ყველანი გარეთ გამოგვყარეს, სხვებიც ბევრი გაანთავისუფლეს და ასე გამოვიარეთ ეს „დიდი ყაზარმობა.“...

იმავს 1922 წლის ზაფხულში ქუთაისიდან სოფელში დავბრუნდი - უკვე სიმწიფის ატესტატით. მალე ჩვენს ოჯახში დიდი თათბირი გაიმართა. მეზობლები მამას სთხოვდნენ, რათა მე მასწავლებლობა დამეწყო სოფლის სკოლაში, რადგან სხვა არავინ ეგულებოდათ, რომ ეს სამსახური ეკისრა. წინანდელმა მასწავლებელმა უკვე დასტოვა ეს სკოლა... და ახლა ერთი მასწავლებელი აკლდათ. ზელმოკლეობაც გვჭირდა. ობილისში წასვლისა და სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ფული არ გვქონდა. მიწიეს, 2-3 წელიწადი მემასწავლებლა და მერე ფულიც მექნებოდა სწავლის გაგრძელებისათვის. მამა ერთხანს მერყეობდა, მაგრამ ბოლოს მტკიცედ განაცხადა: იქ საფიცრე ხეებზე მევაჭრებიან, იმათ გავყიდი, ერთ ძროხასაც მივაყიდი და ფულს გიშოვნი, რომ ობილისში წახვიდე. იქ ბიძაშენიც (დედის ძმა) გიპატრონებს, უკვე წერილიც მომწერა, როდის ჩამოდიხ და ასე... აქ რომ იმასწავლებლო, როგორც სხვებიც, ჩამოიწები, მერე ვინ იცის, როდის შეელევი მასწავლებლობას და ისიც შეიძლება მოხდეს, რომ მათ მსგავსად ღვინის სმას მიეჩვიო და სხვ. და სხვ. მამას თურმე ადრევე მიეწერა ჩემ შესახებ ბიძიასთან ობილისში.

ბადაწყდა: უნდა წავსულიყავი ობილისში, უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა.

უკვე თბილისში ვარ... რომელ ფაკულტეტზე უნდა შევიდე?
- მათემატიკურზე შევდივარ, მაგრამ სამიოდე თვის მერე
სოციალურ-მკონომიკურ ფაკულტეტზე გადავერიცხე.

საქმე ისაა, რომ მათემატიკურში მეცადინეობა-ლექციები
დილის საათებშია, ხოლო მე უკვე ვმუშაობ. მონტიონი ვარ
ტელეფონის ქსელისა [ფ.53] სადაც მომანყო ჩემმა ბიძა-
შვილმა კ. ზოშტარიაძე, რომელიც ამ დროს თბილისის
ქალაქის ტელეფონის ქსელის კომისარი იყო. ბდრე ბაქოში
მუშაობდა და იქიდან თბილისში უკვე კომუნისტი ჩამოსულა
სამუშაოდ და ახლა აქ მე დამეხმარა. მრთხანს მონტიონად
ვმუშაობდი. ვისწავლე ქსელის მავთულების გაყვანა, ტელე-
ფონის აპარატის რემონტი და სხვა, მაგრამ ჩვენებს მიაჩნდათ,
რომ ეს ჩემთვის საკმაოდ სახიფათო სამუშაო იყო და მერე
იქვე, მონტიონობიდან გადამიყვანეს მოანგარიშის თანამ-
დებობაზე - ისევე ტშმსში, ე.ი. თბილისის ტელეფონების
ქსელის სამმართველოს კანტონაში - ეს უკვე 1923 წლის
გაზაფხულში იყო. ბქედან დაიწყო ჩემი სამსახურებრივი
კარიერა, როგორც ბუღალტერიის მუშაკისა და ბოლოს
საფინანსო განყოფილების გამგის თანამდებობასაც მივაღწიე
სხვა დაწესებულებაში. ...ბმ გზით ჩემი ფინანსური მდგო-
მარეობა საკმაოდ განმტკიცდა, ისე, რომ მამასაც ვეხმა-
რებოდი ცოტას.

მაგრამ, რაკი დღე სამსახურში დავდიოდი, აუცილებელი
შეიქნა გადავსულიყავი სოციალურ-მკონომიკურ ფაკულ-
ტეტზე, სადაც სწავლება იყო, ლექციები იკითხებოდა,
საღამოს საათებში... ეს ნაბიჯიც წარმატებული აღმოჩნდა...

01.11.81

წყნეთი

ბხლა ცოტა უკან უნდა დავიხიო. მრთი საინტერესო
ეპიზოდი გამომჩრა. ეს იყო 1921 წ. თებერვლის ბოლოს თუ
მარტში. რთული პოლიტიკური ვითარების გამო ის იყო,
სოფელში ჩამოვედი ქუთაისიდან, სადაც ვსწავლობდი.

დილას ხმა გაისმა: ბოლშევიკები აბაშაში ჩამოვიდნენო. იმავე საღამოს კოდორშიც ელოდნენ, მით უფრო, რომ აქედან სწორედ წინადღით წავიდა სკოლისა და ეკლესიის შენობასა და ეზოში ჩაბანაკებული მენშევიკური გვარდიის ცხენოსანთა ნაწილი, რომელიც უმეტესად აღმ. საქართველოს თავადაზნაურული ოფიცრებისაგან შედგებოდა: მრისთავები, ციციშვილები, ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები, ბმინეჯიბები, მათაქიშვილები, ბვალიშვილები, მედევანიშვილები, ბაბაშვილები, მესხიშვილები და სხვ.

მართი ვიღაც მათგანი მამაჩემის ნაცნობი აღმოჩნდა და სამიოდე კაციტ სახლში გვესტუმრა. იმ დამეს, ეტყობოდა, ჩვენთან უნდოდათ დარჩენა, მაგრამ მამამ კატეგორიული უარი უთხრა – სადაცაა ბაშიდან აქ გაჩნდებიან ბოლშევიკებიო და საერთოდ, ჩვენი სოფლიდან გასვლა – ბათუმისკენ უნჩია. ოსინიც წავიდნენ და მართლაც წამდენიმე საათის შემდეგ ფაქტიურად „მოხდა ჩვენი სოფლის გასაბჭოება“, როგორც ჩემი ბიძაშვილი, პანტელეიმონ ბუგუშვილი, ირონიულად ამბობდა ხოლმე მერე, როდესაც ამ ამბებს მოვიგონებდით.

მაგრამ სად ვიყავი მე? მენშევიკების გვარდია რომ ჩვენი სოფლის ცენტრში დაბანაკდა, ხმა გავრცელდა, სოფელში ვინც კომუნისტები, მათი თანამგრძნობელნი და კომკავშირელები, ყველას დააპატიმრებენ და „თან გაიყოლებენო“. მე შემეშინდა. ვინ უწყის, რის გაკეთებას იკადრებენო, მითხრეს. მართმა მითხრა, ამაღამ ჩემთან წამოდიო; მეორემაც. ბმასობაში, საღამოვდებოდა, მამასთან, როგორც ყოფილ მამასახლისთან, ვიღაცეები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ოვითონ იგი ძლიერ დაფიქრებული ჩანდა.

მე ჩემი უფროსი დის, ბლექსანდრას დახმარებით, სახლის უკან ეზოში, მარანს იქით მდგარ უზარმაზარ მუხაზე, რომელიც სამიოდე მეტრის ზემოთ წამდენიმე დიდ ტოტად იყოფოდა (თვითთველი ტოტი არსებითად მთელი ხე იყო, მათი განი ნახევარ მეტრს აღემატებოდა, ხოლო თვით მუხის ტანის სისქე 2-3 მეტრამდე იქნებოდა), განშტოებიანზე

ავიტანე ერთი ფიცარი ზე [ფ.56] ისე დავდგი, რომ არა თუ არსებინად წამოფდობა, დანოლაც კი შეიძლებოდა, მით უფრო ის ფიცარი ერთი დიდი ლურსმით ტოტზე მივაჭედე ისე მაგრად, რომ კაცი ძვრასაც ვერ უზამდა. ეს ჩუმად მოხდა, ისე, რომ ჩვენს მეტმა არავინ იცოდა. მე ზემოდ ძველი ნაბადიც ავიტანე ზე აქ ვფიქრობდი გადაღამებას. ჩემს დას არავისთვის არ უნდა ეთქვა ამის შესახებ.

უკვე კარგად დაღამდა. უცებ მამის ხმა ისმის, მე მეძახის... სადღაც წავიდა, მალე მოვაო - უთხრეს. მამა პანტელეიმონს უძახის. ის აქვე ახლოს ყოფილა. ბბა მონახეთ. ჭკუით იყავითო, მამასთან უკვე წამდენიმე კაცი იყო. მეზობელი სოფლიდანაც...

შუალამეს მიტანებული იქნებოდა, რომ ჩვენს ჭიშკართან ხუთიოდე ცხენოსანი გაჩნდა ზე იძახიან: ბესარიონ! - შენთან მოვედითო. მამა გაეგება. მე ყველაფერი მესმის. ზოგიერთ წამესაც ვხედავ ამ სიბნელეში. ზემოთ ავინიე, უფრო მაღალ ტოტზე შევცოცდი ზე იქიდან ვიყურები.

მესმის, ჯაბა კიზირიას ვაჟია ზე თქვენთან ლაპარაკი უნდაო. მე უფრო დავმშვიდდი. ჯაბა კიზირიას ვაჟსა ზე ასულსაც კარგად ვიცნობდი. ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ ახლა ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჩვენი ნათესავები იყვნენ - დედაჩემი ჯაბა კიზირიას ძმის შვილი იყო.

მალე წავიდნენ... ლაპარაკი, მოლაპარაკება, კითხვები ზე პასუხები თითქმის სულ მესმოდა. მამა კვლავ მე მეძახის. საჩქაროდ ჩამოვცოცდი ზე მივედი. სად იყავი? - აქვე, ბოსტანში, მერმე მარანში...

მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ ეცნობებინათ - ხვალ შუადღეზე, უფრო ადრეც, ბბაშიდან სახალხო კომისრების წმენდებულები ზე ჯარის ნაწილები შემოვა. ზალხი დაამშვიდეთ, არავინ რაიმე წინააღმდეგობა ზე ცუდი სიტყვები არ გაბედოს. სჯობია, ყველაფერი მშვიდობიანად ჩატარდეს... ბბაღამ სოფლის ბოლომდე გავლენ ზე სხვებსაც გააფრთხილებენ...

მამას კერძოდ უთხრეს: მთელი შენი გავლენა გამოიყენე, რათა ხალხი დინჯად იყოს, ვინმე არ აჩქარდეს. მენშევიკები უკვე დღეს-ხვალ ბათუმსაც დატოვებენ – მვროპაში განზიან მათი მეთაურებით. მგარდიის ოფიცრების დიდი ნაწილიც მიყვებიანო ზ სხვ.

მეორე დღეს მართლაც დაახლოებით ასე მოხდა ყველაფერი. ჩამოსულებმა თან ჩამოიყვანეს ციხიდან განთავისუფლებული ამ სოფლის რამდენიმე მცხოვრები. ესენი ბოლშევიკებია ზ ამათგან ვინც გირჩევნიათ, ის აირჩიეთო. მრთს ვინტოვკა ქონდა გადაკიდებული ზ წინ წამოიწია, რაიონის წმშუნებულებს მან მიმართა: მე აქ ყველა მიცნობს, მეც ვიცნობ ყველას ზ თუ თანახმა ხართ, შევუდგებით ახალი წესრიგის დამყარებას, ლენინის მოძღვრების მიხედვითო.

სიჩუმე ჩამოვარდა, არავინ ხმას არ იღებდა. რაიონიდან მოსულმა მოულოდნელად ხმამაღლა განაცხადა: ბესარიონ ბუგუშვილი ყოფილი მამასახლისია, ის ჩვენი კაცი არაა, მაგრამ ცნობით ყველაზე უკეთ იცნობს ყველას ზ ვსთხოვოთ, რას იტყვის ამ კაცზეო.

მამა ხმას არ იღებდა, გაჩუმებული იდგა, ბოლოს წამოამახეს: სოქვი, რაც სათქმელია მაგ კაცზეო! მამა წინ წამოდგა ზ განაცხადა: თითქმის თხუთმეტი წელიწადია ამ თემისა ზ სოფლის მამასახლისი ვარ [1902-1917 წ.; მხოლოდ 1907-1908 წელს არ იყო არჩეული. მაშინ, რეაქციის პერიოდში, მამასახლისს ბოქაული (მაზრის) ან მაზრის უფროსი ნიშნავდა, ხოლო მერე, როცა ნება მისცეს, თემმა კვლავ იგი აირჩია], ზ თუ სიმართლე [ფ.59] გინდათ, – მიმართა მან რაიონიდან ჩამოსულ უფროსებს, – ეს კაცი, მართალია, ციხეში იჯდა, მაგრამ არა კომუნისტობისათვის. ბარე სამჯერ მეც მყავს ციხეში გაგზავნილი ქურდობისათვის. და, თუკი დამიჯერებთ, ქურდის მიერ დამყარებული წესრიგი ჩვენთვის არ იქნება მისაღებიო.

ოს წინ წამოვარდა ზ ვინტოვკა მხრებიდან მოიხსნა, ოღონდ ის იყო, მაშინვე მივარდნენ ზ იარაღი, რევოლვერიც ქონია ჯიბეში, ახადეს... ზ როდესაც ხალხი ყვიროდა:

ქურდია, ქურდი ღ აქედან მოგვაცილეთო, წაიონის წმუნე-
ბულმა განკარგულება გასცა, უკანვე წაეყვანათ ციხეში.
მღონდ ის იყო, იგი მამას დაემუქრა: გამოვალ ღ გავის-
წორდებიო!..

ბხლა ამის თაობაზე ის მახსენდება, რომ ის, მაშინ სულ
ახალგაზრდა კაცი, ოთხიოდე წლის შემდეგ ობილისში
ქუჩაზე წინ გადამიდგა... ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ის ჩემზე
ბევრად უფროსი იყო ღ ღონიერიც. მე ხელი რომ გამენთა-
ვისუფლებინა, ჩემოდანი ტროტუარზე დავდგი და... ის წელი
ნაბიჯით მომიახლოვდა, ჩემი ჩემოდანი აიღო ღ მეუბნება:
სახლში მიგატანინებ, საკმაოდ მძიმეა თქვენთვისო!

ჩემს გაცემას საზღვარი არ ქონდა. ვკითხე, რად ჩამო-
სულიყო ობილისში. მიპასუხა, ღონი ღ გოჭები დავკალი ღ
გასაყიდად ჩამოვიტანე, უკვე გავყიდე კიდევაც,... მამაშენის
დიდი მადლობელი ვარ... მაშინ მალე გამომიშვეს მისი
თავდებობით ღ დარწმუნებული იყავი, რომ არ შევარცხვენ
მის წვერებსო!

მამაჩემმა ხშირად იცოდა წვერისა ღ განსაკუთრებით
ულვაშების დაფიცება - მის წარმოდგენაში ესენი ვაჟუცობის
ატრიაბუტები იყო: ულვაში შემირცხვეს!...

23.07.82

ოთქმის წელიწადია, რაც „მოგონებისათვის“ ხელი არ
მიხლია, დრო არ მქონდა. ბმ საღამოს მთლიანად გადა-
ვიკითხე, მხოლოდ ვფიქრობ, აწი კიდევ გავაგრძელო; მალე
შვებულებაში ვიქნები ღ ლიტ.-მეცნ. მუშაობისაგანაც ცოტა
უნდა დავისვენო.

12.04.83

მაინც ვერ მიხერხდება დღიურებსა ღ მოგონებებს
მივხედო. ბხლა ერთი წამ გამახსენდა ღ მინდა ჩავსწერო.
1930-იანი წლების შუა იყო. საშობაოდ მამა ჩამოვიდა სოფ-

ლიდან ფრიად დატვირთული: ხურჯინით, კალათით, კიდევ ცალკე შეკრული მოზრდილი ფუთა ეჭირა ზე ცალკე დოქი თაფლით სავსე.

მე ჩემ დასთან, შურასთან, ერთად ლიბკნეხტის ქუჩაზე გცხოვრობდი. მართი ოთახი ზე „ოთახისვე უფლებებში“ გრძელი შემინული აივანი, რომელსაც პატარა ანტრე, იგივე „სამაზარეულო“ ქონდა, რომელიც ფარდით იყო გამოყოფილი.

მამამ იმდენი ხორაგი მოიტანა, რომ ხეირიანად ვერც კი გავშალეთ ჩვენს ბინაში... სუფრაზე, სადილობისას მე მამას ვუთხარი:

— ეს ნამეტანი შეწუხებულხარ. ზომ ხედავ, მე თითქმის არაფერი მაკლია ზე შენ კი ამდენი რამ მოგიტანია. მთხოვ, შემდეგში ასე არ გაიჭირვო ზე სხვ. [ფ.62] მახსოვს, მამა ერთხანს გაკვირვებული მიყურებდა, მერე მან სთქვა (სუფრას ის, ჩემი ზე და მე ვუსხედით):

— შვილო, ამას როგორ მეუბნები, ხომ იცი, მე თქვენს მეტი არავინა მყავს (ჩემი ერთი ზე ლიუბა – იმავე სოფელში იყო გათხოვილი, ხოლო ძლექსანდრა – თბილისში). ზე აბა თუ არა შვილებზე, რაზე უნდა ვიფიქრო ზე ვიშრომო?! – ჩემს ცხოვრებას, განაგრძობს იგი – ახვა აზრი არა აქვს. მე აწი არც შვილი მეყოლება ზე სხვა ძირი. მართო იმისათვის, რომ ვაკეთო ზე მევე მოვიხმარო, კაცმა როგორღა უნდა გავსძლო.

— მე მიხაროდა ამეებს რომ წამოსაღებად გამზადებდი, თქვენთვის მომქონდა ზე მხოლოდ ის მაღარდებდა, რომ მეტის წამოღება არ შემეძლო, რათა კიდევ უფრო გამეხარებინეთ, რადგან იცოდეთ, რომ მე მხოლოდ ზე მხოლოდ თქვენი გახარებით შემიძლია გავიხარო ზე სხვა არაფერი მახადია. რომ მითხრეს, ერთი თვის წინ, გაზეთში შენი დიდი ნაწერი იყო დაბეჭდილი, მე სიხარულისაგან არ ვიცოდი, რა მექნა. საჭმელიც ვერ ვჭამე ზე წავედი, რომ ის გაზეთი მენახა, ჩემი შვილის საქმე მენახა, შენი უკვდავი საქმე მენახა. ზე მე სულ ისღა მინდოდა, რომ კიდევ სხვებს ზე სხვებს ეთქვა:

— ბესარიონ! ნახე? წაიკითხე?

— ბესარიონ, ერთი მეც მათხოვე, წავიციხო.

— ბესარიონ, ჩვენ ყველანი ვამაყობთ ზ სხვ.

და ხშირად ჩავურთავდი, ეს რა გიკვირთ, განა არ იცით, რომ ამის სისქე წიგნები აქვს დაბეჭდილი?! ზ სხვ.

— ბრა შვილო, ამას ნუ მეუბნები. ეს იგივეა მითხრა, ნუ მოხვალ, იქ იყავიო... ჩემი სიცოცხლე თქვენშია, შვილებო, ზ უთქვენოდ აბა რა გამაძლებინებს ზ რომ გავძლო, ჩემი გაძლების აზრი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ჩემი ნახელავით ცოტა რამ გასიამოვნეთ. მე თუ ვცოცხლობ, მხოლოდ იმ აზრით, რომ თქვენ რაიმე, თუნდაც ძლიერ მცირე რამ გასიამოვნოთ ზ ამას ნუ დამიშლით...

შაჰაჩემს, ნიკოლოზ იოსების ძეს ბუგუშვილს, საბოლოოდ ჰყავდა ორი ასული ზ ოთხი ძე — ბიორგი, მრისთე, იოსები ზ ბესარიონი, რომელთაც, დების გათხოვების შემდეგ თავიანთი ოჯახები შექმნეს. მთხთავეს ჰყავდა მხოლოდ თითო ვაჟი ზ სამ-სამი (სამს) ზ ორი ასული.

მამაჩემი, ბესარიონი, შაჰის (ნიკოლოზის) ყველაზე უმცროსი შვილი იყო. მე კარგად მახსოვს მამა ზ მისი უფროსი ძმა იოსები როგორ გაიყარნენ. მათ დიდი სახლი, ოდა (ოთოთახიანი, ოთხთვალიანი) გაყიდეს ზ ეს ფული, ისე, როგორც შინაური პირუტყვი, გაინაწილეს. იოსებს, როგორც უფროს ძმას, სამზარეულო — მოზრდილი მიწური სახლი ერგო, თავისი ეზოს ნაწილით, ხოლო მამას ხულა ზ სასიმიინდე.

ბმ დროიდან ჩვენი ოჯახი, ქეკის სული, ერთხანს სასიმიინდის, ე. ი. ნალიის, ჩვეულებრივ მაღალ ბოძებზე შედგმულ ზ შემოფიცრულ მიწურ-ოთახში (ბინაში) ცხოვრობდა... მერე მამამ ეზოში, გზის გაყოლებით მდგარი დიდი ალვის ხეები მოჭრა ზ რაჭველ ოსტატებს ფიცრებად დაახერხინა ზ ოდის ადგილას მოზრდილი მიწური სახლი ააშენა, რაც ისლით იყო დაფარული. მას წინ ერთი ფანჯარაც ჰქონდა დატანებული ზ მოელს სიგანეზე აივანი, ისიც, ცხადია, მიწური.

ნალიიდან გამოსულებისათვის, როგორც მამა ოხუნ-
ჯობდა, ეს უკვე კარგი ზე ფართო ბინა იყო.

მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ მოხდა ხულის
გაფართოება, რეკონსტრუქცია ზე აშენდა ნაწილობრივ ქვის
ბოძებზე შედგმული, სამოთახიანი + საკუჭნაო, ოდა, რომე-
ლიც კრამიტით იყო დახურული.

ამგვარად, მამის კანმიდამო საკმაოდ კარგად მოეწყო.
მას აკლდა მხოლოდ... ზულა.

ბქ უნდა ითქვას, რომ როგორც ოდად გადაკეთებული
(ფრიად გაფართოებული) ხულა, ისე ის დიდი მინური სახლი,
რომელიც ბიძაჩემს ერგო, აშენებული იყო არა დახენხილი,
არამედ ხის დაპობილი (დახეთქილი) ზე მერმე ნაჯახით გათ-
ლილი ფიცრებისაგან, რასაც ეს აშკარად ეტყობოდა. სამ-
ზარეულო (მინური) მუხისა, ხოლო ხულა წაბლის ხისა იყო.
მათი კედლის კუთხეების ფიცრები ურთიერთში ჩაჭედილ-
ჩადგმული იყო, რითაც კედლები იკვრებოდა კიდევაც. ყოვე-
ლივე ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი ადრე, ჯერ კიდევ მაშინ
იყო აშენებული, როდესაც ხის მორების ფიცრებად დახენხვა
არ ყოფილა გავრცელებული, თუ შემოდებული.

შფრო ადრე, სახელდობრ 1916 წელს, ჩვენს ოჯახს დიდი
უბედურება დაატყდა - გარდაიცვალა დედაჩემი. ბმ დღიდან
ბებიაბ, დედის დედაბ, ერთხანობით მე წამიყვანა აქედან ზე
მათთან მბილისში ვცხოვრობდი... მერე ბბაშაში ვსწავ-
ლობდი, შემდეგ 1917-1922 წწ. ფოთსა ზე ქუთაისს, სადაც
დავაბთავრე საშუალო, ხოლო 1923-1928 წწ. - მსუ -
მკონომიკური ფაკულტეტი.

ბმ ხანებში მე მსუ სოც-ეკონ. ფაკულტეტის კურსი უკვე
დამთავრებული მქონდა ზე სამსახურშიაც ვიყავი. მს-ის იყო,
რომ ჩემი „ქართული წიგნი 1629-929“ გამოიცა (1929) ზე
მისი ერთი ეგზემპლიარი ზე ჰონორარიდან კიდევ 200 მან.
ფოსტით გავუგზავნე მამას კოდორში.

როგორც კარგა ხნის მერე სოფელში მეზობლებმა
მითხრეს, მამაჩემი თურმე სულ იმას ტრბახობდა: შვილი
მომესწრო, წიგნებს ბეჭდავს ზე ფულებსაც ბლომად

მიგზავნის, ასე რომ, ოდა-სახლის აშენება იმის დახმარებით
შევსძელიო...

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

12.09.84

ბენეალოგია - ბერძნული სიტყვაა

ბენე = ოჯახი

ლოგოს = სიტყვა სიტყვა ოჯახზე - წარმომავლობაზე,
გვაროვნობაზე

ჩემი პაპის მამა იყო - ოსებ ბუგუშვილი, პაპა (ბაბუა) კი
- ნიკოლოზ ბუგუშვილი - მისი ძე, ნიკოლოზის ძე, იყო
ბესარიონი - ჩემი მამა.

მამაჩემი ზე მისი უფროსი ძმა ოსები იყვნენ ნიკოლოზ
ბუგუშვილის შვილები მეორე ცოლისაგან - ეს, ჩემი ბებია
იყო ბეგენავას ასული ზე ზოშტარიას ქვრივი (ნაცოლარი).

დედაჩემი - მარიამ ბიტოს ასული კიზირია. ჩემს მახ-
სოვრობაში მისი დედა, ძმა ზე დები ცხოვრობდნენ ჯერ
ფოთში (ერთი ც სოფ.?, ბაბუის რაიონში), ხოლო შემდეგ,
1914 წლიდან - თბილისში. მათთან მე კარგა ხანს ვყო-
ფილვარ ფოთსა ზე თბილისშიაც, სადაც სტუდენტობის
[ფ.70] პირველ წლებში ხან ბებიასთან ზე ხან დეიდასთან
ვცხოვრობდი.

ჩემს მშობლებს ყავდათ 4 შვილი: მე - პაატა (1905) ზე
სამი ასული - ბლექსანდრა (1908), ლიუბა (1912) ზე შურა
[შუშანიკი] (1914).

დედაჩემი გარდაიცვალა 1916 წელს სულ ახალგაზრდა,
დაახლოებით 30 წლისა.

მამაჩემიც ადრე მოკვდა, 1938 წელს, სულ
ორმოცდათვრამეტი წლისა (1879-938). ბადმოცემით ვიცი:
პაპაჩემს დიდხანს, ოთხმოცდაათ წელზე მეტი უცოცხლია,
მგონი 97 წლის მომკვდარა ზე ისიც ცხენიდან გადავარდნის
შედეგად - სახლიდან დილას პირუტყვი გაურეკია რიონის-
პირის საბალახოზე. შბელო (უუნაგირო) ცხენზე მჯდარა
(სოფელში მეც ხშირად ვმჯდარვარ ქეჩა ან ტომანაგადაფა-

რეზულ ცხენზე), რომ სახლში დაბრუნებულა, ჭიშკართან
ძაღვებს ცხენი დაუფრთხიათ და ის მოულოდნელად გადა-
ვარდნილა.

09.05.86

ბხლა გხედავ მოგონებებისათვის 1,5 წელიწადია ხელი არ
მომიკიდია — არაფერი ჩამიწერია.

დღეს სახლში დავიდარბა იყო, წიგნებს ვერ ვათავსებ,
იმდენი მაქვს, რომ არ ეტევა ჩემს ბინაში, ვერც აქ, ვერც
წყნეთში — აგარაკზე.

შნებლიედ გამახსენდა, ქუთაისში მოწაფეობის დროს
შენატროდი წიგნებს, რაც გიმნაზიის, მერე ტექნიკუმის
ბიბლიოთეკაში საკმაოდ იყო და მენატრებოდა ამ ბიბლი-
ოთეკის უფროსი ყყოფილიყავი და მაშინ ხომ ამდენი წიგნი
ჩემთვის სულ ყველა ადვილად მისაწვდომი იქნებოდა...

რა ბედნიერი იყო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე... მეც,
უანგარო ყმაწვილი, რატომღაც ბედნიერი ვიყავი იმის ბედნი-
ერებით, რომ ყველა წიგნი, როდესაც და როგორც მოეპ-
რიალებოდა, ისე შეეძლო ეკითხა აქაც და სახლშიც წაეღო
წასაკითხავად,... უზომოდ და უვადოდ...

17.06.86

1959 წ. თურქეთში მოგზაურობისას, იზმირში (სმირნაში),
უკეთ ვთქვათ, მის მახლობლად, სულ ცოტა ხნით სტუმრად
ვიყავი ოჯახში თურქეთის ფლოტის მაღალი ჩინის ოფი-
ცერთან. ის ქართველი იყო, ლაზი, სულიაშვილის ქართულ
გვარს ატარებდა. ბზაზე, გემბანზე, სტამბოლიდან იზმირი-
საკენ რომ მივდიოდით, მკითხა, მეორენაირი ქართული თუ
იცით. ეს თურქე ყოფილა ლაზური, ე.ი. მეგრული და ცხადია,
ვიცოდი.

მან მაშინ ლექსი მითხრა, გამოსაცდელად, თუ გავიგებდი:

„მა სი მიყორქ

სი ვაგიჩქუ,

სქანოთ ვორექ დონაბადი,

მიინალე გოლვაფირო

მუჭოთ ცხენი

დო ნაბადი...”


მითხრა ზე მომაჩენდა... მუთხარი, ყველაფერი გავიგე-
მეთქი... მითხრა: ჩვენ ორივე კოლხები ვართ (ლაზები) ზე
ბედმა ისე განსაჯა, რომ ორივე სხვადასხვა დიდი იმპერიების
ძლიერებას ვემსახურებით, მე — ოურქეთისას, თქვენ —
რუსეთისასო...

ბმაზე არაფერი მითქვამს, თუმცა ეტყობოდა, ძლიერ
უნდოდა, რაიმე მეთქვა.

ბოლოს მისი ოჯახიდან წასვლისას, როდესაც ერთი ფეხი
კარის ზღუნბლზე გადავაბიჯე, ის თვალებს არ მაშორებდა,
მე ჩემს ფეხებს დავხედე... რაც იმან შეამჩნია ზე შეიმჩნია
ისიც, რომ შეამჩნია ზე მითხრა, გავიგე, თუ რა პასუხი
გამეციო...

ბქვე მისი ცოლი იდგა ზე გვისმენდა. მე მაშინ ის მეგრული
ლექსი მკვეთრი, გარკვეული, სიტყვებით გავიმეორე... ოურ-
ქის ქალმა მკლავზე ხელი მაგრად მომიკიდა ზე თვითონაც
ლექსი სიტყვასიტყვით, გაიმეორა... ზე ქმარს თურქულად
ჩაულაპარაგა. მასპინძელმა მითარგმნა: „ეტყობა, მართლად
დიდი მოაზროვნე მეცნიერი კაცი ყოფილა, თორემ ერთი
მოსმენით ამ ლექსს როგორღა დაიმახსოვრებდა, როდესაც
მე ათ წელზე მეტი მომინდა კარგად მესწავლაო!”

დიასახლისს მე ქათინაურისათვის ზე საერთოდ, გულ-
სრული მიღებისათვის დიდი მადლობა მოვახსენე ზე ასე
დავშორდი ერთმანეთს, ადამიანები... მსოდენ ახლობელნი
ზე ესოდენ შორეულნი, რომელნიც როგორც აქამდე, ისე
ამიერიდან, ერთმანეთს ველარ ვიხილავთ, ცხადია, ზე ვითარც
ფრიად ძნელად შესახვედრებელი...



შინაარსი

წინასიტყვაობა	5
რედაქტორისაგან	7
მეცნიერებაში „გლადიატორის“ დრამატული ცხოვრება	
მის დღიურებში	9
დღიურები	15
მოგონებები	99

წიგნი დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

გარეკანის მხატვარი ნინო ებრალიძე

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36
www.press.tsu.edu.ge

2-00

317.582

3

УДК 317.582
317.582